

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY OF ZUGDIDI

ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესადმი
მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
(სამართლის მიმართულება)

INTERNATIONAL CONFERENCE DEDICATED TO THE 100TH
ANNIVERSARY OF GEORGIAN PARLIAMENTARISM
(LAW DIRECTION)



თბილისი / Tbilisi/ 2019

2019 წლის 15 მარტს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სამართლის მიმართულებით. კრებულში შევიდა კონფერენციის მასალები, რომელიც დააინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს.

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

თეონა ხუფენია

სამეცნიერო - სარედაქციო საბჭო:

ნუგზარ სარია, ანა ფირცხალაშვილი, დევი ხვედელიანი, ირაკლი თაბორიძე, იორგ ჰარდი.

ტომის რედაქტორი:

დევი ხვედელიანი

Chairman of the scientific-editorial board:

Teona Khupenia

Scientific-editorial board:

Nugzar Saria, Ana Pirtskhalashvili,
Devi Khvedeliani, Irakli Taboridze, Joerg Hardy.

Editor of the volume:

Devi Khvedeliani

ISBN 978-9941-8-1732-8

შინაარსი / Contents

ანა ფირცხალაშვილი, გიორგი მირიანაშვილი /
Ana Pirtskhalashvili, George Mirianashvili

ექვივალენტური დაცვის დოქტრინა – ევროპული
კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების პრივილეგია?
Is the equivalent protection doctrine a privilege for the
European Union and its member states? 4

თეო კობუში / Theo Kobusch

თომა აქვინელის სწავლება სამართლიანობის შესახებ
The theory justice of Thomas Aquinas 24

გეორგ ლომანი / George Lohmann

ადამიანის კულტურული უფლებები და ბრძოლა
უსამართლობის წინააღმდეგ
Cultural Rights and struggle against injustice 37

იორგ ჰარდი / Joerg Hardy

ეთიკური რეფლექსიის გაგება
Understanding Ethical Reasoning 51

დევი ხვედელიანი / Devi khvedeliani

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, როგორც
ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი
Addiction to the Gambling Games as the Ground for Restriction the
Individual Free Action 72

ნუგზარ სარია / Nugzar Saria

ძირითადი უფლებების ეროზია
Erosion of the basic human rights 79



ანა ფირცხალაშვილი
სამართლის დოქტორი,
პროფესორი
Ana Pirtskhalashvili
Doctor of law, prof



გიორგი მირიანაშვილი
თსუ იურიდიული ფაკულტეტის
დოქტორანტი
George Mirianashvili
TSU PhD student of the Faculty of Law

ექვივალენტური დაცვის დოქტრინა – ევროპული კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების პრივილეგია?

IS THE EQUIVALENT PROTECTION DOCTRINE A PRIVILEGE FOR THE EUROPEAN UNION AND ITS MEMBER STATES?

1. შესავალი

ექვივალენტური დაცვის თანამედროვე დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კავშირის სამართალთან მიმართებაში განვითარებული კონცეფციაა, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებას კავშირის სამართლისთვის პრივილეგიის მინიჭების გზით. საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში ხშირია დოქტრინის კრიტიკა. ზოგიერთი მეცნიერის მიერ იგი განიხილება, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპრომისი, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტიანობის შემცირებას იწვევს.

რების ხარჯზე, თუმცა საკუთარი რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით იქნა მიღწეული¹. დოქტრინა ხშირად მოიაზრება ევროპული კონვენციით დაცული სისტემის ფარგლებში ევროპული კავშირის პრივილეგიად². ცალკეულ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ დოქტრინა კავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და ევროპის საბჭოს სამართლებრივ სისტემებს შორის არსებული პრობლემების რაციონალურად გადანაცვების მექანიზმია³. მათი მოსაზრებით, იგი არ წარმოადგენს სასამართლოებს შორის არსებული კონფრონტაციის აღმოფხვრის ინსტრუმენტს⁴.

ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ფორმირებით მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის ურთიერთობა არაფორმალური თანამშრომლობის განახლებულ ეტაპზე გადავიდა⁵, რაც კავშირისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ნდობის ფართო და არა აბსოლუტური მანდატის მინიჭებაში გამოიხატა. თუმცა, დოქტრინის აბსტრაქტული და ბუნდოვანი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მანდატის ფარგლების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც პოზიტიურად აისახება კავშირის სამართლის ავტონომიურობაზე, მაგრამ ნეგატიურად ზემოქმედებს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში – ევროპული კონვენცია) ეფექტიანობაზე.

წინამდებარე სტატიის მიზანია მიმოიხილოს ექვივალენტური დაცვის დოქტრინის განვითარების ექსკურსი, მნიშვნელობა, ბუნება, შემადგენელი ელემენტები და მოქმედების ფარგლები. სტატია მიზნად ისახავს შეაფასოს ანიჭებს თუ არა დოქტრინა კავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს იმუნიტეტს, პრივილეგიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

1. *Hert, P.,/Korenica, F.* (2012) Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, *The German Law Journal*, gv. 875.

2. *O'Meara, N.* (2011) More Secure Europe of Rights _ The European Court of Human Rights, the Court of Justice of the European Union and EU Accession to the ECHR, *German Law Journal*, gv. 1817.

3. *Hert, P.,/Korenica, F.* (2012) იქვე, gv. 894.

4. იქვე.

5. *Chronowski, N.* (2013) Integration of European Human Rights Standards – Accession of EU to the ECHR, *Law of Ukraine: Legal Journal*, gv. 269.

გარდა ამისა, სტატიაში მსჯელობა წარიმართება ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების შემდეგ დოქტრინის მოქმედების პერსპექტივაზე, შეფასდება ამ პროცესის დასრულების შემდგომ დოქტრინის არსებობის საჭიროება. სტატიის შემდეგ ნაწილში საუბარია ექვივალენტური დაცვის დოქტრინის გენეზისზე, განვითარების დინამიკაზე. ამ საკითხების მიმოხილვისას მსჯელობა ეფუძნება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებებს. სტატიის მესამე ნაწილში მიმოხილულია ექვივალენტური დაცვის თანამედროვე დოქტრინის არსი, ელემენტები და მოქმედების ფარგლები. ამ ნაწილში მოცემული საკითხების განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება. სტატიის მეოთხე ნაწილში საუბარია ეხება დოქტრინის კრიტიკას. მოცემულ ნაწილში საუბარია დოქტრინის საფუძველზე კავშირის ფარგლებში დადგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ევროპულ კონვენციის სისტემის ექვივალენტურად შეფასების შეუძლებლობაზე. სტატიის მომდევნო ნაწილში განხილულია ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების შემდეგ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის პერსპექტივა. სტატიის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია განხილული საკითხების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები.

2. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის გენეზისი

ექვივალენტური დაცვის დოქტრინა 1986 წელს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ე.წ. *Sollan-ge II-ის საქმეზე* იქნა შემუშავებული. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, ევროპული გაერთიანებების დონეზე, კერძოდ, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ზოგადად უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვა. შესაბამისად, იგი მიჩნეული უნდა იქნეს გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვის მოდელის სუბსტანციურად მსგავს სისტემად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უარი თქვა ევროპული გაერთიანების აქტებთან მიმართებაში იურისდიქციის განხორციელებაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მომავალში არ განიხილავდა ევროპული გაერთიანების მეორადი სამართლის

წყაროების გერმანიის ძირითადი კანონით დადგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ წარდგინებებს, სარჩელებს და მათ სცნობდა დაუშვებლად¹.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ევროპული ინტეგრაციის სამართალთან მიმართებაში გამოხატა პატივისცემა და აღიარა ერთი მხრივ, გერმანიის ძირითად კანონთან მიმართებაში კავშირის სამართლის პრიმატი და მეორე მხრივ, მისი უშუალოდ მოქმედების ძალა. თუმცა, სასამართლომ აღნიშნული საკითხის განხილვის სუვერენული უფლება შეინარჩუნა. იმ შემთხვევაში თუ იგი მიიჩნევს, რომ გაერთიანების დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის მოდელი არ წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის სუბსტანციურად მსგავს სისტემას, სასამართლო პრეფერენციას მიანიჭებს ძირითად კანონს².

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ *M. & CO საქმეზე*. კომისიამ მიუთითა, რომ „სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის კომპეტენციების გადაცემა არ გულისხმობს კონვენციის დარღვევას, თუ ასეთი ორგანიზაციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვა ევროპული კონვენციის ექვივალენტურად ხორციელდება“³. აღნიშნული გადანყვეტილებით კავშირის სამართალს ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ სისტემასთან მიმართებაში მიენიჭა იმუნიტეტი⁴. ამ გადანყვეტილებაში ექვივალენტური დაცვის დოქტრინის თაობაზე მსჯელობა კომისიამ განავითარა ორი მიმართულებით. იგი მიიჩნევდა, რომ კავშირში ხორციელდებოდა ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვა, რადგან მას გააჩნდა ერთი მხრივ, შესაბამისი ნორმატიული ბაზა და მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციური მექანიზმი – მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, რომელიც კავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებას

1. იხ.: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე: *Wünsche Handelsgesellschaft*, 197/83, „ფ“ პარაგრაფი.

2. იქვე.

3. იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადანყვეტილება საქმეზე: *M. & Co. v. Federal Republic of Germany*, No. 13258/87, [1990].

4. *Hert, P./Korenica, F.* (2012) იქვე, გვ. 880.

უზრუნველყოფდა¹. ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *Waite & Kennedy-ისა და Beer & Regan-ის საქმეებში* გადანყვეტილება ასევე ექვივალენტური დაცვის დოქტრინის საფუძველზე მიიღო. ამ საქმეებში დოქტრინის შინაარსთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიდგომა სასამართლომ სრულიად გაიზიარა². ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის თანამედროვე კონცეფცია განავითარა *Bosphorus-ის საქმეში*, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

ჰერტისა და კორენიცას აზრით, კონვენციის სისტემაში ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ინტეგრაციით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კავშირის სამართლის სასარგებლოდ დათმო იურისდიქცია³, თუმცა ისინი არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ევროპული კონვენციის სისტემაში ექვივალენტური დაცვის დოქტრინა დაინერგა *Hauer-ის საქმეზე* მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების გათვალისწინებით⁴. აღნიშნულ გადანყვეტილებაში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ ევროპული გაერთიანების ინსტიტუტების მიერ ადამიანის უფლებების სავარაუდოდ დარღვევის საკითხი განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ გაერთიანების სამართლის შესაბამისად⁵.

3. ექვივალენტური დაცვის თანამედროვე დოქტრინის არსი *Bosphorus-ის საქმის* მიხედვით.

ექვივალენტური დაცვის თანამედროვე დოქტრინა *Bosphorus-ის საქმეზე* მიღებული გადანყვეტილებით განვითარდა. ხსენებული გადანყვეტილება მნიშვნელოვანია ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. მიუხე-

1. ix.: adamianis uflebaTa evropuli komisiis gadawyvetileba saqmeze: M. & Co. v. Federal Republic of Germany, No. 13258/87, [1990].

2. ix.: adamianis uflebaTa evropuli sasamarTlos gadawyvetileba saqmeebze: Waite & Kennedy v. Germany, No. 26083/94, [1999]; Beer & Regan v. Germany, No. 28934/95, [1999].

3. Hert, P./Korenica, F. (2012) iqve, gv. 880.

4. ix.: marTlmsajulebis evropuli sasamarTlos gadawyvetileba saqmeze: Hauer v. Land Rheinland-Pfalz, C-44/79 [1979].

5. იქვე, მე-15 პარაგრაფი.

დავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში კავშირის სამართალს ევროპული კონვენციის ექვივალენტურად განიხილავდა, სასამართლომ ინდივიდუალური საჩივარი პირველად სცნო დასაშვებად. ამ საქმეში აპლიკანტს წარმოადგენდა თურქული ჩარტერული ავიაკომპანია, რომელსაც იუგოსლავიის ავიახაზებისგან იჯარით გადაეცა ორი ბოინგი. ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) მიერ იუგოსლავიას არაერთი სანქცია დაეკისრა, რომლის იმპლემენტაციას ევროპული გაერთიანება ახორციელებდა. 1993 წლის 17 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით¹ წევრ სახელმწიფოებს დაეკისრათ მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა იმ თვითმფრინავის ჩამორთმევის ვალდებულება, რომელიც იმყოფებოდა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში მცხოვრები ან/და დაფუძნებული იურიდიული პირის საკუთრებაში ან ასეთ პირს გააჩნდა მისი კონტროლის ინტერესი. რეზოლუცია ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში გაერთიანების რეგულაციებით იმპლემენტირდა², რომელთა საფუძველზე ირლანდიამ აპლიკანტს თვითმფრინავები ჩამოართვა. თურქული ავიაკომპანიის მიერ აღნიშნული გადანყვეტილება ორჯერ გასაჩივრდა ირლანდიის უმაღლეს სასამართლოში. გარდა ამისა, საქმე წინასწარი გადანყვეტილების პროცედურის ფარგლებში გადაეგზავნა მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს. გამომდინარე იქიდან, რომ სტატიის მიზნებისთვის რელევანტურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის განვითარების საკითხი, ირლანდიის უმაღლესი სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ გაერთიანების რეგულაციის ინტერპრეტაციაზე მსჯელობა არ წარიმართება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ საჩივარში აპლიკანტი მიიჩნევდა, რომ ევროპული გაერთიანების რეგულაციის იმპლემენტაციით ირლანდიამ

1. იხ.: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 820 (1993).

2. იხ.: ევროპული გაერთიანების N1432/92, N3534/92, N990/93, N2472/94, N2815/95, N462/96, N2382/96 რეგულაციები.

დაარღვია ევროპული კონვენციის პირველი მუხლი და პირველი დამატებითი პროტოკოლის პირველი მუხლი. შესაბამისად, სასამართლოს უნდა განეხილა კავშირის მეორადი სამართლებრივი აქტის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სასამართლომ საქმე აბსტრაქტულად განიხილა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხელახლა მიუთითა, რომ ცალკეულ სფეროებში ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციისთვის სუვერენული კომპეტენციების გადაცემა არ ეწინააღმდეგება კონვენციას, თუმცა ასეთ სფეროებში კონვენციის ხელშემკვრელი სუბიექტის კომპეტენციის არარსებობა მას კონვენციის წინაშე არსებული ვალდებულებებისგან არ ათავისუფლებს¹. ამ შემთხვევებში ვალდებულებისგან გათავისუფლება პირდაპირ ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებსა და ამოცანებს². გარდა ამისა, სასამართლომ განაცხადა, რომ ევროპულ გაერთიანებაში არსებობს ადამიანის უფლებების დაცვის კონვენციით გათვალისწინებული სისტემის ექვივალენტური მოდელი³. ექვივალენტური მოდელის ცნებაში სასამართლო გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის შედარებით მსგავს და არა იდენტურ სისტემას⁴. მისი თქმით, ევროპული კონვენციით დადგენილი რეჟიმის იდენტური მოდელის ფორმირების მიზნით ევროპული გაერთიანებისთვის მოთხოვნის წაყენება საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს ეწინააღმდეგება⁵. სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ თურქული კომპანიისთვის თვითმფრინავების ჩამორთმევა უკავშირდებოდა გაერთიანების წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულებას და გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, ვალდებულების შესრულების პროცესში ირლანდიას არ გააჩნდა დისკრეციული უფლებამოსილება და მეორე მხრივ, ევროპული გაერთიანება ევროპული კონვენციის ექვივალენტუ-

1. იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეებზე: *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland*, No. [45036/98](#), [2005], 154-ე პარაგრაფი.

2. იქვე.

3. იქვე, 155-ე პარაგრაფი.

4. იქვე.

5. იქვე.

რად იცავს ადამიანის უფლებებს, არსებობს პრეზუმფცია, რომ ირლანდიის მოქმედებით ევროპული კონვენცია არ დაირღვა¹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თქმით, იგი თითოეულ საქმეში შეაფასებდა ევროპული გაერთიანების ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემის ევროპული კონვენციის მოდელთან შესაბამისობას, რაც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი მიდგომისგან ფუნდამენტურად განსხვავდება².

Bosphorus-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კავშირის მეორად სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი სცნო დასაშვებად და ირიბად განიხილა მისი ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი. გარდა ამისა, დაზუსტდა ექვივალენტური დაცვის დოქტრინის მოქმედების ფარგლები. კერძოდ, ევროპულ კონვენციასთან მიმართებაში იმუნიტეტით სარგებლობს არა მხოლოდ კავშირი, აგრეთვე კავშირის წევრი სახელმწიფოც იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის მეორადი სამართლის იმპლემენტაციის პროცესში მას არ გააჩნია დისკრეცია. აღსანიშნავია, რომ დოქტრინა ვრცელდება კავშირის სეკუნდარულ სამართლებრივ წყაროებზე და იმ სფეროებზე, რომლებიც ე.წ. „ტაძრის სტრუქტურის პირველ სვეტში“ მოიაზრებოდა³. კავშირის პირველადი სამართლის აქტის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *Matthews-ის საქმეში* იმსჯელა და ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა. ევროპული კავშირის პრიმერულ სამართალზე დოქტრინა არ ვრცელდება იქიდან გამომდინარე, რომ წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი ნებით დადეს კავშირის დამფუძნებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები და მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს არ გააჩნია კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და იდენტური სამართლებრივი რანგის მქონე აქტების ნორმების გაუქმების კომპეტენცია⁴.

1. იქვე, 156-ე პარაგრაფი.

2. შეად.: Flaherty, John P./Lally-Green E. (1998) Fundamental Rights in the European Union, Duquesne Law Review, 1998, გვ. 313.

3. Hert, P./Korenica, F. (2012) იქვე, გვ. 883.

4. იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Matthews v. The United Kingdom*, no. [24833/94](#), [1999], 33-ე პარაგრაფი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული საქმეების გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ კავშირის სამართლებრივი სისტემა ევროპული კონვენციის რეჟიმის ექვივალენტურად მიიჩნევა, რადგან კავშირში არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც კავშირის ფარგლებში უზრუნველყოფენ ევროპული კონვენციის მსგავსი სტანდარტების ჩამოყალიბებასა და დაცვას. სამართლებრივ ინსტრუმენტში სასამართლო გულისხმობს კავშირის წევრ სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციურ ტრადიციებსა და კავშირის სამართლის აქტებს, ხოლო ინსტიტუციურ მექანიზმად მიიჩნევა კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელიც განიხილავს ადამიანის უფლებათა სადავო დარღვევის შესახებ საქმეებს, მათ შორის წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში.

თეორიული თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია კონკრეტულ საქმეზე განაცხადოს, რომ კავშირის სამართლის ცალკეულ სფეროებში არ არსებობს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტი ან სახელმწიფოს მიერ კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულების პროცესში დაადგინოს ევროპული კონვენციის დარღვევა, თუმცა ბუნდოვანი და აბსტრაქტულია ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული მექანიზმი. სასამართლოს თქმით, ექვივალენტური დაცვის დოქტრინა უარყოფილი იქნება თუ იგი მიიჩნევა, რომ კავშირის ფარგლებში ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა იქნება „აშკარად არასაკმარისი“¹. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესს გადანონის ევროპული კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტის,“ როლი და მიზნები². სტატიის მიზნებისთვის რელევანტურია ექვივალენტური დაცვის დოქტრინის, მათ შორის ადამიანის უფლებების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვის ცნების განხილვა, რომლებიც სტატიის მომდევნო ნაწილში იქნება მიმოხილული.

1. იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland*, No. [45036/98](#), [2005], 156-e paragrafi.

2. იქვე.

4. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის კრიტიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის სისტემის ევროპული კონვენციის ექვივალენტურ მოდელად განხილვა არ შეესაბამება წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ პრაქტიკას. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ევროპულ კონვენციაში დეკლარირებულია ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალური სტანდარტები¹. *Bosphorus*-ის საქმეში აღინიშნა, რომ „ექვივალენტის“ ცნება გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის „შედარებით მსგავს“ და არა იდენტურ სისტემას. თუ კავშირის სამართალი ევროპული კონვენციის იდენტურად არ იცავს ადამიანის უფლებებს ლოგიკურია, რომ იგი ამ მიმართულებით უნდა ადგენდეს უფრო მაღალ სტანდარტებს, ვიდრე ევროპული კონვენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კავშირის სამართალი ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოდ ჩაითვლება. *Bosphorus*-ის საქმის განხილვის პერიოდში ევროპულ გაერთიანებას იმპლიციტური და ექსპლიციტური კომპეტენციები არ გააჩნდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. გარდა ამისა, სუპრანაციონალურ დონეზე არ არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთო კატალოგი. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით შეზღუდული იყო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს უფლებამოსილებები. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კავშირის სამართალს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ევროპულ კონვენციაზე მაღალი სტანდარტების მქონე სისტემად ვერ განიხილავდა. ამრიგად, ბუნდოვანია კავშირის დონეზე არსებული ადამიანის უფლებათა სტანდარტების მიმართება ევროპულ კონვენციასთან.

განსაკუთრებით პრობლემური საკითხია კავშირის მეორადი სამართლებრივი აქტის ან სახელმწიფოს მიერ კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული მოქმედების ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოდ გამოცხადება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული „აშკარად არასაკმარისობის“ კონცეფცია მისი აბსტრაქტული და ბუნდოვანი

1. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 53-ე მუხლი.

შინაარსიდან გამომდინარე, ევროპული კონვენციის დარღვევის ფაქტის დადგენის საფუძველი ვერ იქნება. ჰოფმაისტერი მიიჩნევს, რომ ამ კონცეფციის განვითარებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კავშირის სამართალში ინტერვენციის ძალაუფლება შეიძინა, რომელსაც მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების უკანასკნელ საშუალებად გამოიყენებს¹. კუნჰერტი არ ეთანხმება ამ შეხედულებას. მისი მოსაზრებით, *Bosphorus*-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება არ მიაწინებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გააჩნია „საბოლოო სიტყვა“ ადამიანის უფლებათა კავშირის სამართალთან და მექანიზმებთან მიმართებაში². ჰერტისა და კორენიცას აზრით, „აშკარად არასაკმარისობის“ კონცეფცია წარმოადგენს კავშირის სამართლებრივი აქტის განხილვის უფრო ზედაპირულ, ბუნდოვან ინსტრუმენტს, ვიდრე პრაქტიკულ მექანიზმს³. მათი მოსაზრებით, იმ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ კავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვა არ ხორციელდება ევროპული კონვენციის ექვივალენტურად და ინტეგრაციის ინსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმები აშკარად არასაკმარისად ჩაითვლება, გაურკვეველია ევროპული კონვენციის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება კავშირს თუ მის წევრ სახელმწიფოს⁴. ცალსახაა, რომ „აშკარად არასაკმარისობის“ კონცეფცია არასრულყოფილია. იგი ვერ ჩაითვლება ადამიანის უფლებების დაცვის კავშირის სისტემის ევროპული კონვენციის მოდელთან ექვივალენტურობის უარყოფის რეალურ მექანიზმად. თუმცა, თუ სასამართლო ევროპული კონვენციის დარღვევას დაადგენს, სადავო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს – კავშირის წევრ სახელმწიფოებს. მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით შესაძლებელია შეიქმნას პრო-

1. Hoffmeister, F. (2006) *Bosphorus Hava Yollari Turizm v. Ireland*, App. No.45036/98, The American Journal of International Law, gv. 447.

2. Kuhnert, K. (2006) *Bosphorus - Double standards in European human rights protection?*, Utrecht Law Review, გვ. 188.

3. Hert, P./Korenica, F. (2012) იქვე, გვ. 886.

4. იქვე, გვ. 886-887.

ბლემები¹. თუკი ევროპული კონვენციის დარღვევა განაპირობა სახელმწიფოს მიერ დირექტივის ან რეგულაციის იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებულმა მოქმედებამ და მას ამ პროცესში გააჩნდა დისკრეცია, შესაძლებელია კავშირის საკანონმდებლო აქტები ისე განიმარტოს, რომ ერთი მხრივ, ევროპულ კონვენციასთან არ მოვიდეს წინააღმდეგობაში და მეორე მხრივ, მიღწეულ იქნეს აქტებით გათვალისწინებული მიზანი. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მათი ევროპულ კონვენციასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან თავსებადი ინტერპრეტაცია საკმაოდ რთულია. თუ ევროპული კონვენციის დარღვევა გამოიწვია კავშირის საკანონმდებლო აქტმა, წევრი სახელმწიფოების ძალისხმევა არ იქნება საკმარისი, რადგან ასეთი აქტის მიღების ან მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ ევროპულ პარლამენტსა და კავშირის საბჭოს. წევრი სახელმწიფოები მონაწილეობენ მხოლოდ საბჭოს საქმიანობის პროცესში. საკანონმდებლო ინიციატივას წარდგენის კომპეტენციას ექსკლუზიურად ფლობს ევროპული კომისია. გარდა ამისა, კავშირის სამართლებრივი აქტის გაუქმების უფლებამოსილება მხოლოდ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გააჩნია. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პერსპექტივა საკმაოდ მცირეა და იგი მხოლოდ კავშირის ორგანოების ნებაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ თუ სახელმწიფო აღასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ შეასრულებს კავშირის სამართლით ნაკისრ ვალდებულებას, ევროპული კომისია ან კავშირის სხვა წევრი ქვეყანა უფლებამოსილი იქნება ასეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელი წარადგინოს მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოში და მოითხოვოს კავშირის სამართლით ნაკისრი ვალდებულების შესრულება². ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს და სახელმწიფოს დააკისრებს სანქციას და მოთხოვს ვალდე-

1. მაგ.: *Matthews v. The United Kingdom*-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება 7 წლის შემდეგ აღსრულდა.

2. ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 258-ე და 259-ე მუხლები.

ბულების შესრულებას. სახელმწიფო აღმოჩნდება სამართლებრივი დილემის წინაშე – შეასრულოს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება თუ კავშირის სამართლის შესაბამისად დადგენილი ვალდებულება. ამგვარი შემთხვევები შეაფერხებს კავშირის დონეზე სახელმწიფოთა თანამშრომლობას, საფრთხეს შეუქმნის კავშირის სამართლის ერთიანობას, პრიმატს და ავტონომიურობას ან ნეგატიურად აისახება ევროპული კონვენციის სისტემის ეფექტიანობაზე. „აშკარად არასაკმარისობის“ კონცეფციის ერთ-ერთ ნეგატიურ ასპექტად აგრეთვე მიჩნეულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ იგი არ იძლევა საქმის *in concreto* განხილვის საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის არსი ფუნდამენტურად განსხვავდება ევროპული კონვენციის იდეისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან, სასამართლომ მიიღო ოპტიმალური, რაციონალური გადაწყვეტილება. იგი ვერ მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში კავშირის სამართალი ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების იდენტურია, რადგან გამოირიცხება კავშირის მეორადი სამართლებრივი აქტისა და სახელმწიფოს მიერ კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული მოქმედებების ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვის პერსპექტივა. კავშირის სამართლისთვის აბსოლუტური იმუნიტეტის მინიჭება დაარღვევს ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის საბჭოსა და ევროპულ კავშირს შორის არსებულ ბალანსს. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ გააჩნია ევროპული კონვენციის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის კავშირისთვის დაკისრების კომპეტენცია, რადგან იგი კავშირთან მიმართებაში არ ფლობს *rationae personae* იურისდიქციას. თუ იგი ევროპული კონვენციის დამრღვევ სუბიექტად მიიჩნევს კავშირის წევრ სახელმწიფოს, გადაწყვეტილების აღსრულება სერიოზულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელი იქნება კავშირის ინსტიტუტების მონაწილეობა. გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შემთხვევაში, სერიოზული ზიანი მიადგება, როგორც ევროპული კონვენციის ეფექტიანობას, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეპუტაციას.

5. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის საჭიროება ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების შემდეგ

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტი კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან შეუსაბამოდ გამოცხადდა და კიდევ ერთხელ შეფერხდა მიერთების პროცესი. შეთანხმების პროექტის განხილვისას სასამართლომ შეაფასა გააჩნია თუ არა შეთანხმების პროექტს უარყოფითი ეფექტი კავშირის სამართლის სპეციფიკურ მახასიათებლებზე და რამდენად შეესაბამება პროექტით გათვალისწინებული ინსტიტუციური და პროცედურული მექანიზმები კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებებით დადგენილ პირობებს¹. სასამართლომ აღიარა, რომ ევროპულ კონვენციაზე მიერთების შემდეგ კავშირის ინსტიტუტები, მათ შორის მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო დაექვემდებარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საგარეო კონტროლს, რომელიც იურისდიქციას ევროპული კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად განახორციელებს². გარდა ამისა, სასამართლომ ხელახლა მიუთითა, რომ ევროპული კავშირის მიერ საერთაშორისო შეთანხმების დადება, რომელიც ასეთი შეთანხმების ინტერპრეტაციისა და გამოყენების მიზნით აფუძნებს სპეციალურ სასამართლოს, პრინციპში არ ეწინააღმდეგება კავშირის სამართალს, თუ კავშირს ასეთი შეთანხმების დადების კომპეტენციას მკაფიოდ ანიჭებს დამფუძნებელი ხელშეკრულებები³. შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსთვის არ არის სადავო, რადგან დამფუძნებელი ხელშეკრულებებით კავშირი ექსპლიციტურად ფლობს ამგვარ კომპეტენციას.

1. იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მოსაზრება: Opinion 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties [2014], 178-ე პარაგრაფი.

2. იქვე, 181-ე პარაგრაფი.

3. იქვე, 182-ე პარაგრაფი. აგრეთვე იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მოსაზრება: Opinion 1/91 [1991], 70-ე პარაგრაფი.

მიუხედავად ამისა, კავშირის უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით გამოთქვა ისეთი შენიშვნები, რომლებიც ევროპული კონვენციისა და კავშირის სამართლის ამჟამინდელი სისტემის პირობებში მიერთებას გამორიცხავს¹. თუმცა, ლისაბონის ხელშეკრულებით კავშირს დაეკისრა ევროპულ კონვენციაზე მიერთების ვალდებულება². შესაბამისად, ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთება დროის საკითხია. აქედან გამომდინარე, ამ პროცესის დასრულების შემდგომ აქტუალური იქნება ევროპული კონვენციის სისტემაში ექვივალენტური დაცვის დოქტრინის მოქმედების პერსპექტივა.

მიერთების შემდეგ ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კავშირთან მიმართებაში შეიძენს რატიონაე პერსონაე იურისდიქციას. შესაბამისად, იგი ვალდებული იქნება წარმოებაში მიიღოს ევროპული კავშირის წინააღმდეგ წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრები³. საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ევროპულ კავშირთან მიმართებაში მოქმედებს, როგორც საქმის განხილვის *rationae personae da rationae materiae* სტანდარტი⁴. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დოქტრინას ზეეროვნული ორგანიზაციის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის დაუშვებლად ცნობასთან კავშირი არ გააჩნია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასეთ საჩივრებს არ განიხილავს იქიდან გამომდინარე, რომ კავშირი არ არის ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარე⁵. ექვივალენტური დაცვის დოქტრინა რელევანტურია იმ

1. ვრცლად იხ.: *Editorial Comments* (2015) *The EU's Accession to the ECHR – a 'NO' from the ECJ!*, *Common Market Law Review*, gv. 1-16; *Krenn, C.*: (2015) *Autonomy and Effectiveness as Common Concerns: A Path to ECHR Accession after Opinion 2/13* [comments] *German Law Journal*, gv. 147-168; *Lazowski, A./Wessel, R. A.*: (2015) *When Caveats Turn into Locks: Opinion 2/13 on Accession of the European Union to the ECHR*, *German Law Journal*, gv. 179-212; *Peers, S.*: (213-222) *EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare*, *German Law Journal*, გვ. 213-222.

2. ლისაბონის ხელშეკრულების მე-8 პარაგრაფი.

3. *Hert, P./Korenica, F.* (2012) იქვე, gv. 891.

4. იქვე.

5. იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე: *Confédération Française Démocratique du Travail v. the European Communities*, alternatively: their Member States a) jointly and b) severally case, No. 8030/77 [1978].

შემთხვევაში, როდესაც საჩივარი ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევა კავშირის მეორად სამართლებრივ აქტს ან სახელმწიფოს კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებულ მოქმედებას და იგი შეტანილია კავშირის წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ. სასამართლო ექვივალენტური დაცვის დოქტრინას იყენებს საქმის განხილვის *rationae personae* და *rationae materiae* სტანდარტს მხოლოდ კავშირის წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებში. ამ საკითხის მიმოხილვა აუცილებელი იყო იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლებელია ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების შემდეგ დოქტრინა შენარჩუნდეს და გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ კავშირის წევრ სახელმწიფოებთან, არამედ კავშირთან მიმართებაშიც. თუ დოქტრინის მოქმედება ძალაში დარჩება, იგი კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიმართ იმოქმედებს როგორც საქმის განხილვის *rationae materiae* სტანდარტი.

ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების შემდეგ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ფუნქციონირება ცალსახად ეწინააღმდეგება მიერთების იდეას. დოქტრინის არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფორმალურად განახორციელებს ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საგარეო კონტროლს. კავშირის სამართლის ან კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედებების იმთავითვე ევროპულ კონვენციასთან შესაბამისად მიჩნევა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სისტემის ეფექტიანობას. მოვლენების ამგვარი განვითარებით მართებული აღმოჩნდება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს ყოფილი გენერალური ადვოკატის ჯაკობსის მოსაზრება. მისი განცხადებით, ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთებას გააჩნია ლიმიტირებული ეფექტი ადამიანის უფლებათა სტანდარტების განვითარებაზე და იგი უფრო ღირებულია პოლიტიკური მიზნებისთვის¹. გარდა

1. Jacobs, F. (2007) Accession of the European Union to the European Convention on Human Rights, Hearing organized by the Committee on Legal Affairs and Human Right, xelmisawvdomia veb-gverdze: <http://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201003/20100324ATT71249/20102010ATT71249EN.pdf> (ukanasknelad nanaxia: 07.03.2019).

ამისა, ევროპული კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ ასეთი პრივილეგიებით სარგებლობა პირდაპირ ეწინააღმდეგება კონვენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – ხელშემკვრელ მხარეთა თანასწორუფლებიანობას, რომელიც აგრეთვე მიერთების შესახებ ხელშეკრულების პროექტის ძირითად მაქსიმას წარმოადგენს¹.

6. დასკვნა

ექვივალენტური დაცვის დოქტრინის არსის, ელემენტებისა და მოქმედების ფარგლების განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იგი არ წარმოადგენს კავშირის სეკუნდარული სამართლებრივი აქტების ან სახელმწიფოების მიერ კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით განხორციელებული მოქმედებების (ან უმოქმედობის) ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის შეფასების ეფექტიან ინსტრუმენტს. დოქტრინის შემადგენელი ელემენტების აბსტრაქტული ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია საქმის როგორც *in concreto* განხილვა, ასევე ევროპული კონვენციის დარღვევისთვის კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი – „აშკარად არასაკმარისობის“ ინსტრუმენტით შეუძლებელია ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან ობიექტურად შეფასდეს ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის სისტემის ექვივალენტურობა. შესაბამისად, თუ ევროპული კავშირის მეორადი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების პროცესში დაირღვევა ევროპული კონვენცია წევრი სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ისარგებლებენ იმუნიტეტით. აქედან გამომდინარე, დოქტრინა კავშირის წევრ ქვეყნებს ევროპული კონვენციის სხვა ხელშემკვრელ მხარეებთან შედარებით აყენებს პრივილეგიურულ მდგომარეობაში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თუ ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების პროცესის დასრულების შემდეგ დოქტრინა არ იქნება უარყოფილი ერთი მხრივ, შენარჩუნდება

1. იხ.: Draft explanatory report to the Agreement on the Accession of the European Union to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 2013, მე-6 პარაგრაფი.

კავშირის ნეგრი ქვეყნების პრივილეგირებული კონდიცია და მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე კავშირიც ისარგებლებს იმუნიტეტით. თუმცა, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების შემდეგ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის მოქმედების საჭიროება არ იარსებებს.

ბიბლიოგრაფია

Chronowski, N.: Integration of European Human Rights Standards – Accession of EU to the ECHR, Law of Ukraine: Legal Journal, 2013, გვ. 265-277;

Editorial Comments: The EU's Accession to the ECHR – a “NO” from the ECJ!, Common Market Law Review, 2015, გვ. 1-16;

Flaherty, John P./Lally-Green E.: Fundamental Rights in the European Union, Duquesne Law Review, (Vol. 36), 1998, გვ. 249-364;

Hert, P./Korenica, F.: Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, The German Law Journal, (Vol. 13), 2012, გვ. 874-895;

Hoffmeister, F.: Bosphorus Hava Yollari Turizm v. Ireland, App. No.45036/98', The American Journal of International Law, (Vol. 100), 2006, გვ. 442-449;

Jacobs F. G.: Accession of the European Union to the European Convention on Human Rights, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201003/20100324ATT71249/20100324ATT71249EN.pdf> (უკანასკნელად ნანახია: 07.03.2019);

Krenn, C.: Autonomy and Effectiveness as Common Concerns: A Path to ECHR Accession after Opinion 2/13 [comments] German Law Journal, Vol. 16, 2015, გვ. 147-168;

Kuhnert, K.: Bosphorus - Double standards in European human rights protection? Utrecht Law Review, (Vol. 2), 2006, გვ. 177-189;

Lazowski, A./Wessel, R. A.: When Caveats Turn into Locks: Opinion 2/13 on Accession of the European Union to the ECHR, German Law Journal, Vol. 16, 2015, გვ. 179-212;

O'Meara, N.: More Secure Europe of Rights _ The European Court of

Human Rights, the Court of Justice of the European Union and EU Accession to the ECHR, German Law Journal, (Vol. 12), 2011, გვ. 1813-1832;
Peers, S.: EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare, German Law Journal, Vol. 16, 2015, გვ. 213-222.

2. ნორმატიული მასალა:

Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community (The Reform Treaty) 2007;
TFEU (Treaty on the Functioning of the European Union) 2007;
TEU Treaty (Treaty on the European Union) (Maastricht Treaty) 1992;
European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms 1950;

Regulation 2382/96/EC (of 9 December 1996 of the Council on repealing Regulations (EEC) No 990/93 and (EC) No 2471/94 and concerning the termination of restrictions on economic and financial relations with the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro), the United Nations Protected Areas in the Republic of Croatia and those areas of the Republic of Bosnia and Herzegovina under the control of Bosnian Serb forces);

Regulation 462/96/EC (of 11 March 1996 of the Council on suspending Regulations (EEC) No 990/93 and (EC) No 2471/94, and repealing Regulations (EC) No 2472/94 and (EC) No 2815/95, concerning the interruption of economic and financial relations with the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro), the United Nations Protected Areas in the Republic of Croatia and those areas of the Republic of Bosnia and Herzegovina under the control of Bosnian Serb forces);

Regulation 2815/95/EC (of 4 December 1995 of the Council suspending Regulation (EEC) No 990/93 with regard to the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro) and repealing Regulation (EC) No 2472/94);

Regulation 2472/94/EC (of 10 October 1994 of the Council on suspending certain elements of the embargo on the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro));

Regulation 990/93/EEC (of 26 April 1993 of the Council concerning trade between the European Economic Community and the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro);

Regulation 3534/92/EEC (of 7 December 1992 of the Council on amending Regulation (EEC) No 1432/92 prohibiting trade between the European Economic Community and the Republics of Serbia and Montenegro);

Regulation 1432/92/EEC (of 1 June 1992 of the Council on prohibiting trade between the European Economic Community and the Republics of Serbia and Montenegro);

Resolution 820, UN Security Council (1993).

3. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Opinion 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties [2014];

Opinion 2/94 Re European Convention on Human Rights [1996];

Opinion of the Court of justice 14 December 1991, Opinion 1/91;

Hauer v. Land Rheinland-Pfalz, C-44/79 [1979].

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Bosphorus Hava Yollari Turizm Ve Ticaret Anonim Sirketi v Ireland, No. 45036/98, Grand Chamber [2005];

Matthews v The United Kingdom, No. 24833/94, Grand Chamber [1999];

Waite & Kennedy v. Germany, No. 26083/94, Grand Chamber [1999];

Beer & Regan v. Germany, No. 28934/95, Grand Chamber [1999].

5. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებები:

M. & Co. v. Federal Republic of Germany, No. 13258/87, European Commission of Human Rights, [1990];

Confédération Française Démocratique du Travail v. the European Communities, No. 8030/77, European Commission of Human Rights, [1978].

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

BVerfGE 73, 339 2 BvR 197/83 Wünsche Handelsgesellschaft.

სხვა:

Draft explanatory report to the Agreement on the Accession of the European Union to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 2013.

თეო კობუში

პროფესორი (დოქტორი)

THEO KOBUSCH

Professor, Doctor

გერმანიის, ბონის რაინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის, ფილოსოფიის ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი; სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს ტიუბინგენის, ბოხუმის, ბონის უნივერსიტეტებში. გერმანიაში ხელმძღვანელობს ფილოსოფიის ინსტიტუტს. არის ფილოსოფიის ისტორიული ლექსიკონის პასუხისმგებელი რედაქტორი და მასში შესული რამდენიმე სტატიის ავტორი, გერმანულ ფილოსოფოსთა ასოციაციის



თავმჯდომარე, ანტიკური ფილოსოფიის შემსწავლელი საზოგადოების ხელმძღვანელი. ფლობს ძველბერძნულსა და ლათინურ ენებს. მისი პუბლიკაციები ანტიკურ ფილოსოფიაში დიდი ხანია პოპულარულია არა მხოლოდ ფილოსოფოსთა პროფესიონალურ წრეებში.

თეო კობუში 2016 წლიდან ნაყოფიერად თანამშრომლობს ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

https://de.wikipedia.org/wiki/Theo_Kobusch

თომა აკვინელის სწავლება სამართლიანობის შესახებ

THE THEORY JUSTICE OF THOMAS AQUINAS

აბსტრაქტი: სტატიის ავტორი, თეო კობუში, საუბრობს იტალიელი თეოლოგისა და სამართალმცოდნის თომა აკვინელის სამართლიანობის იდეისა და ცნებების შესახებ. სამართლიანობის არსის გასაგებად, ავტორს სტატიაში მოშველიებული ჰყავს თომა აკვინელის მთავარი და ცნობილი ნიგნი *Summa Theologiae* (თეოლოგიის ჯამი), რომლის მიხედვითაც ხსნის სამართლიანობის ცნების და არსის საჭიროებას, ადამიანურ თანაცხოვრებასთან მიმართებაში. აღნიშნულ სტატიაში საუბარია, როგორც პოზიტიურ სამართალზე, რომელიც ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად იქმნება, ასევე ბუნებით სამართალზე, რომელიც ღმერთის ცნებიდან და ადამიანური ბუნებიდან გამომდინარეობს.

სტატიაში საუბარია ბუნებით და პოზიტიურ სამართლიანობაზე, ანუ სამართლიანობაზე, რომელიც ადამიანში თანდაყოლილია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მას შეძენილი აქვს, სამართლიანობის ცნების პოზიტიურად გაგებისა და შემეცნების შედეგადად. საუბარია სიქველეებზე და სათნოებებზე, რომელიც ერთის მხრივ ადამიანს უბიძგებს სამართლიანი მოქმედებებისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ კი ავალდებულებს მას მორალურად კეთილშობილური მოქმედებებისაკენ, ანუ მოქმედებებისაკენ, რომელიც მეორე ადამიანისათვის არა საზიანოა; აღსანიშნავია, რომ ცნება „დავალდებულებაში“ არ არის გარეგანი იძულება, არამედ შინაგანი პოზიტიური სათნოების ბიძგია.

სტატის ავტორის მიხედვით, თომა აქვინელის სამართლიანობის სწავლების შესახებ, სამართლიანობის არსის გათვითცნობიერების საჭიროება, იმთავითვეა აუცილებელი რომ მოხდეს ადამიანთა შორის ერთ მთლიან საზოგადოებად ჩამოყალიბება, რომლებსაც ექნებათ ერთმანეთის თანასწორობისა და სამართლიანობის განცდა, ანუ სამართლიანობის შედეგად მოხდება ურთიერთალიარება; ეს კი შესაძლებელია, რადგანაც სამართლიანობა მომდინარეობს სათნოებიდან, რომელიც ქმნის ჰაბიტუსს, ჰაბიტუსი კი კარგი ჩვევების ერთობლიობაა.

აღნიშნული სტატია, საინტერესოა იმთავითვე, რომ სტატის ავტორი ცდილობს სამართლიანობის სწავლებით შექმნას პოზიტიური, გონებრივი ურთიერთდამოკიდებულება ადამიანებს შორის, რადგან სამართლიანობა, მხოლოდ გონიერ არსებებს მიემაართება, სხვასთან მიმართებით კი იქმნება საზოგადოება. ადამიანი, რომელიც ბუნებით არის ბოროტი, მას ვერ ექნება სამართლიანობის განცდა, შესაბამისად ავტორის აზრით იგი ვერ იქნება საზოგადოების წევრი; საზოგადოება კი, არის გონიერ ადამიანთა ის ერთობლიობა, რომლებსაც გააზრებული და გათვითცნობიერებული აქვთ თავიანთი თავებისა და სხვების სათნოებების მნიშვნელობა. ეს კი არის გარანტი, მშვიდობიანი ღია საზოგადოების, რომელიც კეთილგონიერებაზე დგას.

ავტორის აზრით, სამართლიანობით, სხვისი, როგორც ცალკეულის კეთილდღეობაა უზრუნველყოფილი, ეს კი არის სწრაფვა თანასწორობისაკენ.

სტატიაში საუბარია ასევე საზოგადო სიკეთეზე, რომელიც არის არა ღმერთი, არამედ საზოგადოების საყოველთაო სიკე-

თეა, რადგან სწორედ სამართლებრივ საზოგადოებაში არიან ადამიანები ღმერთის მსგავსნი.

ავტორის აზრით, სამართლიან საზოგადოებაში, კანონი სხვა არაფერია, თუ არა გონების განკარგულება საზოგადო სიკეთეზე.

სწორედ იმ გზებზე საუბრობს აღნიშნულ სტატიაში ავტორი, თუ როგორ უნდა მოხდეს სამართლიანობის გაგება და მორგება საზოგადოებაზე. ერთის მხრივ, იგი საუბრობს ცალკეულ ინდივიდებზე, ადამიანურ ჰაბიტუსზე, რომელსაც აქვს მიდრეკილებები, ეს შეიძლება იყოს ნეგატიურიც, თუმცა კი, ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც არის თავისუფალი და ამავედროულად გონიერი, მას შეუძლია მიიღოს საყოველთაოდ პოზიტიური გადაწყვეტილებები, რომლებიც უმრავლესობისთვის მისაღები იქნება; მას ანუ ადამიანს, ამავე მიდრეკილებებით შეუძლია ასევე უცოდინრობას დააღწიოს თავი.

ავტორი, თავის სტატიაში ცდილობს დაასაბუთოს სამართლიანობის სწავლების საჭიროება, როგორც პოზიტიური, ასევე ბუნებითი სამართლიანობის სწავლების მიხედვით, რათა ადამიანებმა შეძლონ ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრება, რაც ნიშნავს ერთმანეთისთვის ზიანის არ მიყენებას.

თომა აქვინელი დაიბადა 1225 წელს, **როკასეკას**¹ კომუნაში, რომელიც რომსა და ნეაპოლს შორის მდებარეობს. 1230 წლისთვის ის „ობლათის“, ანუ (ოჯახმის მიერ) „მიძღვნილის“ სახით მიაბარეს მონტე კასინოს მონასტერში. 1239 წლიდან თომა ეუფლება შვიდ თავისუფალ ხელოვნებას² (**სეპტემ არტეს ლიბერალეს**) (გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, მუსიკას და ასტრონომიას) **ნეაპოლის** იმპერატორ ფრიდრიხ II – ის უნივერსიტეტში³. სწორედ აქ იწყებს

1. **Roccasecca** – კომუნა იტალიაში, ფროზინეს პროვინციაში, ლაციოს რეგიონში.

2. **შვიდი თავისუფალი ხელოვნება** (ლათ. septem artes liberales) წარმოადგენს ანტიკურ ხანაში შექმნილ კანონს შვიდი სასწავლო დისციპლინისა, რომელთა დაუფლება, მაშინდელი წარმოდგენის თანახმად, „თავისუფალ ადამიანს ეგებოდა /საკუთარი თავის/ გასანათლებლად“. შუა საუკუნეებში *studia liberalia*-ს დაუფლებას თეოლოგიური, საიურისპუდენციო და სამედიცინო დარგების შესწავლისათვის საჭირო აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდნენ. (ვიკიპედია)

3. **Universität Neapel Federico II**, ფრიდრიხ II შტაუფენის (შტაუფენის დინასტია) მიერ 1224 წელს დაფუძნებული უნივერსიტეტი. ფრიდრიხ მეორე იყო სიცილიის მეფე, შემდგომ 1212 წლიდან რომაელთა და გერმანეთლა მეფე, 1220 წლიდან კი საღვთო რომის იმპერატორი.

ის არისტოტელეს ფილოსოფიის შესწავლას და ურთიერთობას ამყარებს დომინიკელთა ორდენის წევრებთან. **1244** წელს ის შედის დომინიკელთა ორდენში. **1245** წლიდან **1248** წლამდე თომა აქვინელი პარიზში სწავლობს, ხოლო **1248** წლიდან **1252** წლამდე ის კიოლნში ალბერტუს მაგნუსის¹ (ალბერტ დიდის) მოსწავლეა. **1252** წელს თომა კვლავ ბრუნდება პარიზში და სწორედ პარიზში **1253-1257** წლებში ქმნის თავის მონუმენტურ **კომენტარებს პეტრე ლომბარდიელის² სენტენციებზე**. **1256** წელს ის ხდება თეოლოგიის მაგისტრი (პროფესორი) პარიზში, შემდგომ კი **1259-1268** წლებში – იტალიაში მოღვაწეობს. **1268** წელს კი ის მეორედ მოღვაწეობს მაგისტრი პროფესორის სახით პარიზში. **1268-1273** წლებში ის ქმნის თავის ნაშრომს *Summa Theologiae* („თეოლოგიის ჯამი“), **1273** წელს კი მას ინვევენ მრჩევლად რომის პაპის (გრიგორი X-ის) მეორე კრებაზე ლიონში, თუმცა ის **1274** წლის მარტში აღესრულება, **ფოსანოვას** (Fossanova) მონასტერში. **1369** წელს მისი ნეშტი გადაასვენეს ტულუზაში იაკობინელთა ეკლესიაში, **1567** წელს კი პაპმა პიუს V-მ მისი სწავლება საეკლესიო სწავლების რანგში აიყვანა.

თომა აქვინელის ცნობილი *Summa Theologiae* („თეოლოგიის ჯამი“) სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ეხება **ღმერთსა და შესაქმეს**, მესამე – **ქრისტოლოგიასა და საიდუმლოებებს (საკრამენტებს)**, მეორე წიგნი კი, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა, ყველაზე მნიშვნელოვანია დანარჩენებს შორის, ვინაიდან ამ წიგნში წარმოდგენილია **მოქმედების თეორია**, რომელიც ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე სწავლებად მიიჩნევა, რაც კი შუა საუკუნეების პრაქტიკულ ფილოსოფიაში შექმნილა, და ამასთან, სწორედ თეოლოგიურ კონტექსტში. რა არის საკუთრივ **მოქმედება**? რა არის დანიშნულება კანონისა, მარადიული კანონისა, ბუნებითი კანონისა და პოზიტიური კანონისა? სწორედ ამ და სხვა მსგავს საკითხებს შეეხება Sum-

1. ალბერტუს მაგნუსი, იგივე ალბერტ დიდი, გერმანელი სწავლული, თეოლოგიის მაგისტრი და ეპისკოპოსი, ქრისტიანული არისტოტელიზმის ფუძემდებელი.

2. XII საუკუნის კათოლიკე თეოლოგი და ფილოსოფოსი სქოლასტიკოსი, მოღვაწეობდა პარიზის ნოტრ-დამის ტაძარში, შექმნა სენტენციათა ოთხწიგნეული და ინოდეობდა სენტენციათა მაგისტრად (Magister sententiarum).

ma Teologiae-ს მეორე წიგნის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილი კი სიქველევებს შეეხება, და პირველ რიგში, სამ თეოლოგიურ სათნოებას: **რწმენას, იმედსა და სიყვარულს**, შემდგომ, კარდინალურ/ყველაზე მნიშვნელოვან სიქველევებს, როგორიცაა **გონიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და ზომიერება**. სამართლიანობა არც მეტი და არც ნაკლები 65 Quaestion'-ის, ანუ სადისკუსიო საკითხის სახითაა განხილული. ამავდროულად, ის შუა საუკუნეების ყველაზე გრძელ და მრავლისმომცველ განაზრებას წარმოადგენს სამართლიანობის თემაზე.

სამართლიანობა სათნოებაა. მაგრამ რა არის სათნოება? თომა მთლიანად ეყრდნობა ამ ცნების არისტოტელესეულ განსაზღვრებას: ესაა შუალედი/საშუალო შესაძლებლობას, როგორც წმინდა პოტენციალსა და ნამდვილს, ანუ Actus-s (lat. სინამდვილე, რეალური, აქტუალური მდგომარეობა) შორის. სათნოებები ის უნარებია, რომლებიც უკვე შესრულებულ აქტებს/მოქმედებებს ემყარება. მაგალითად, ის, ვისაც აქვს უნარი, დაუკრას ფორტეპიანოზე, მას უკვე მრავალჯერ დაუკრავს, უვარჯიშია ანუ მას ფორტეპიანოზე დაკვრის აქტი ბევრჯერ აქვს შესრულებული. ასევეა სათნოებების შემთხვევაშიც. სათნოს (ანუ სათნოების მატარებელს) შესაბამისი სათნოება ბევრჯერ აქვს ჩადენილი. ანუ ესაა მისი უნარი, რომელიც მას ნებისმიერ დროს შეუძლია განახორციელოს. ხოლო ამგვარი შესაძლებლობის ფორმას, რომელიც დიდი ხნის ვარჯიშის შედეგად შეიძლება იქნას მიღწეული, თომა აქვინელი, არისტოტელეს კვალად, ჰაბიტუსს უწოდებს. ამ აზრით, სათნოებები ქმნის ჰაბიტუსს, ანუ კარგ ჩვევებს, რომლებიც თითოეულ ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, რომ გარკვეულ სიტუაციებში დაუყოვნებლად, ადვილად და სიამოვნებით, ე.ი. სიხარულით გააკეთოს ის, რაც ჯერ არს. რა თქმა უნდა, ცუდი ჩვეულებებიც არსებობს, რომელთა შემთხვევაშიც ჩვენ მანკიერებაზე/ნაკლზე ვსაუბრობთ, რომლებიც ადამიანებს არათვისუფალს ხდის და მათგან ადამიანს ძნელად თუ ძალუძს თავის დაღწევა.

ამგვარად, სათნოებები ადამიანურ ნებას გარკვეულ ფორმას სძენენ და ესაა მათი „საუკეთესო ფორმა“ (Bestform). სამართლიანობა სხვა სათნოებებისგან, განსაკუთრებით კი სიმამაცის,

1. Quaestion - ზეპირსიტყვიერ დისკუსიაში დასმული და გადაჭრილი სამეცნიერო სადისკუსიო საკითხები სქოლასტიკაში.

თავშეკავებისა, ან ზომიერებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი არსობრივად სხვა ადამიანს, ან უკეთ რომ ვთქვათ, სხვა გონიერ არსებას მიემართება. სამართლიანობის შემთხვევაში კი მოქმედი პირის თვალსაწიერში **სხვა** შემოდის. თავის ნაშრომში ცუესტიონეს დისპუტატაე („სადაო/სადისკუსიო საკითხები“) სათნოებების შესახებ თომა აქვინელი წერს: „სამართლიანობა, რომლის წყალობითაც ჩვენ სხვებს მივემართებით, ჩვენს საკუთარ ვნებებს კი არ უკავშირდება, არამედ იმ მოქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ვქმნით [გარკვეულ] საზოგადოებას/ერთობას სხვა ადამიანებთან, როგორც ხდება, მაგალითად, ყიდვის ან გაყიდვის დროს. ზომიერების დაცვა და სიმამაცე კი საკუთარ ვნებებს მიემართება.“

თუმცა, სამართლიანობის თვალსაზრისით, სხვა ადამიანს შეიძლება ორგვარად მივემართებოდეთ. ერთ შემთხვევაში: როდესაც მე, როგორც ცალკეული სხვას როგორც ცალკეულს ისე მივემართები, მეორე შემთხვევაში კი – როდესაც მე საზოგადოებას ისე მივემართები როგორც მთელს. სამართლიანობის პირველ ფორმას პარტიკულარული ეწოდება, ხოლო მეორეს საყოველთაო, ან კანონიერი სამართლიანობა. პარტიკულარული სამართლიანობა, რომლის წყალობითაც სხვისი როგორც ცალკეულის კეთილდღეობაა უზრუნველყოფილი, ესაა სწრაფვა თანასწორობისკენ. საზოგადოების წევრებს შორის მიმართებაში არსებობს თანასწორობის გაკრვეული წესრიგი, რომელსაც არისტოტელეს მიხედვით, გათანაბრებულ/დაბალანსებულ სამართლიანობას უწოდებენ. თუმცა, ასევე არსებობს სხვა რიგის თანასწორობა, რომელიც საზოგადოების წევრების დამსახურებების შესაბამისად, გადანაწილებული, ანუ დისტრიბუციული სამართლიანობა ეწოდება. ამ უკანასკნელის, ანუ, დისტრიბუციული სამართლიანობის შემთხვევაში, ცალკეული ითხოვს საზოგადოებისგან, რომ მისგან შესაბამისი დაფასება მიიღოს. ანუ დისტრიბუციული სამართლიანობის შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოებრივი სიკეთების დანაწილებასთან. თუ სამართლიანობის ეს ფორმა ხორციელდება, მაშინ ცალკეული პირი საზოგადოებისგან ღებულობს, მისი დამსახურების შესაბამისად. ამის საპირისპიროდ, გათანაბრებული/დაბალანსებული სამართლიანობის შემთხვევაში, საქმე არ გვაქვს საზოგადოებრივი სიკეთეების დანაწილებასთან, არამედ საქმე

გვაქვს ორი პერსონის/პიროვნების ურთიერთმიმართებასთან. პარტიკულარული სამართლიანობის ეს ორივე ფორმა შეგვიძლია ასევე ვალის და მოვალის კრიტერიუმებით განვასხვაოთ ერთმანეთისგან: კერძოდ, დისტრიბუციული სამართლიანობა იმის დადგენაზეა მიმართული, თუ რითია დავალებული საზოგადოება ცალკეულისგან, ხოლო დაბალანსებული სამართლიანობა იმას ადგენს, თუ რითია დავალებული ცალკეული პირი მეორე პირისგან.

ახლა კი საჭიროა, პარტიკულარული სამართლიანობა განვასხვაოთ საყოველთაო კანონისმიერი სამართლიანობისგან. კანონიერი სამართლიანობა იმიტომ ეწოდება სამართლიანობის ამ ფორმას, რომ ის სწორედ კანონის ამოცანასა და ფუნქციას ასრულებს, რომელიც იმის განსაზღვრაში მდგომარეობს, თუ რა არის საზოგადო სიკეთე (*bonum commune*). კანონიერი სამართლიანობის საბოლოო მიზანი ღმერთი კი არ არის, არამედ საზოგადოების საყოველთაო სიკეთე. აქ თომა შემდეგ კითხვას სვამს: „ყოველთვის არის თუ არა კანონი საყოველთაო სიკეთეზე მიმართული?“ და მისი პასუხი ამ კითხვაზე ცალსახაა: „დიახ, ყველა კანონი საყოველთაო სიკეთეზეა მიმართული“. იმისათვის, რომ ეს კავშირი უფრო ცხადყოფს, თომა საყოველთო სიკეთის ცნების ინტეგრირებას ახდენს თვითონ კანონის ცნებაში: „კანონი სხვა არაფერია, თუ არა გონების განკარგულება (*Anordnung*) საზოგადო სიკეთეზე...“

მაგრამ საკუთრივ როგორ კანონებზე გვაქვს აქ საუბარი? სწორედ ამ კითხვას მივყავართ თომა აქვინელის ცნობილ სწავლებასთან კანონის შესახებ, რომელიც *Summa Theologiae*-ს მეორე წიგნის პირველ ნაწილშია წარმოდგენილი. ამასთან, კანონის ეთიკა (*Gesetzethik*) თომას სათნოების ეთიკის დამატებას წარმოადგენს. სათნოება და კანონი მოქმედების ორ პრინციპს წარმოადგენს. სათნოება შინაგან პრინციპს გულისხმობს, კანონი კი – გარეგანს. გარეგანი პრინციპი, რომელიც სიკეთისკენ გვიბიძგებს, მხოლოდ ღმერთია, რომელიც ჩვენ გვასწავლის კანონის მეშვეობით და გვეხმარება მადლით – წერია თომას ზემოაღნიშნულ ტრაქტატში, კანონის შესახებ. აქედან გამომდინარეობს კანონის ცნების პირველი მნიშვნელობა, რომელსაც თომა „მარადიულ კანონს“ უწოდებს. მარადიული კანონი გულისხმობს ყველა მისი ქმნილების ღვთის განგების შესაბამისად

წარმართვას. ეს არის სწორედ ღვთის მბრძანებლობა სამყაროში, ღვთიური გონების განკარგულება. და ეს ღვთიური გონების განკარგულება ყველა ყოფიერს განკარგავს ღმერთის მიხედვით, როგორც „სამყაროს საყოველთაო სიკეთეს“. შესაბამისად, ყველა კანონი ამქვეყნად მარადიული კანონიდან იღებს სათავეს. ყველა კანონი გამოყვანილია მარადიული კანონისგან, როგორც მეორე რიგის მიზეზი გამოდის პირველი რიგის მიზეზისგან. მარადიული კანონის ეს იდეა და ცნება, რა თქმა უნდა, არ მიეკუთვნება პრაქტიკულ ფილოსოფიას, ანუ ადამიანის/ადამიანური მოქმედების ფილოსოფიას. არამედ ის პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების გააზრებიდან წარმოიქმნება.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ განაზრებას, ჩვენი კონკრეტული ზნეობრივი გამოცდილების შესახებ, უნდა ვუმაღლოდეთ ბუნებითი კანონის შესახებ წარმოდგენასაც. ისიც სწორედ ამ მარადიულ კანონთანაა წილნაყარი. მაგრამ ადამიანი, როგორც გონიერი არსება არა მხოლოდ მარადიულ, ანუ საღვთო კანონს ემორჩილება, არამედ მას თვადაც შეუძლია განუსაზღვროს საკუთარ თავს ქცევის წესები. სწორედ ამ აზრითაა ადამიანი განსაკუთრებულ მიმართებაში მარადიულ კანონთან. ბუნებითი კანონი უკვე ნაგულისხმევია იმ საყოველთაო წესებში/კანონებში, რომლებიც ადამიანის სურვილს/ნებელობას და მოქმედებას განსაზღვრავს. ადამიანური გონებისთვის [ბუნებითი კანონი] იმთავითვე შინაგანია, ანუ, ბუნებითვეა მასში ჩანერგილი და ამდენად, როგორც მისი ბუნებითი აღჭურვილობა, ხელშეუვალია. ჩვენი მოქმედების განმსაზღვრელი უმაღლესი კანონი უკვე შეიცავს თავის თავში მოვალეობის მოთხოვნას (შოლლენსანს-პრუცკ) და ეს თომას ძალიან ცნობილ გამონათქვამში გვხვდება, რომელიც თავისთავადი სიცხადის მქონეა: „**სიკეთე უნდა ვაკეთოთ, ბოროტი კი დავუტევოთ.**“ ისევე როგორც თეორიული გონების სფეროში არსებობს ყოველგვარი პრინციპის პრინციპი, ანუ ყოფნის ცნება, რომელთანაც არის დაკავშირებული მისი საწინააღმდეგოც (არყოფნა), ამგვარადვე არსებობს პრაქტიკულის სფეროში პირველყოფილი ცნება კეთილისა და შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული მცნებაც. („**სიკეთე უნდა ვაკეთოთ, ბოროტი კი დავუტევოთ.**“). თუმცა, მათთან ერთად, არსებობს უმაღლესი მატერიაც, ანუ შინაარსით დატვირთული მცნებებიც, რომლებიც ყოველი ჩვენგანისთვის ცნობილია და თავისთავად

ცხადი, მაგალითად, **ათი მცნება**. თუმცა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვინმემ, იქნება ეს ცალკეული ადამიანი, თუ ადამიანთა ჯგუფი, ვერ შეძლოს ამ მცნებებიდან სწორი დასკვნების გამოტანა. „როგორც, მაგალითად, გერმანების შემთხვევაში, რომლებიც თავდაპირველად ყაჩაღობას არ მიიჩნევდნენ უსამართლობად, მიუხედავად იმისა, რომ ის ცალსახად ეწინააღმდეგება ბუნებით კანონს. და რაც უფრო დაკონკრეტებულია სიტუაცია, მით უფრო იზრდება შეცდომაში შესვლის საფრთხე.“

ბუნებითი კანონის შინაარსი განსაზღვრულია იმ ბუნებითი მიდრეკილებების შესაბამისად, რომლებიც ადამიანს ახასიათებს. **თომასთვის ბუნებითი კანონის დაცვა ადამიანური მიდრეკილებების გონებით წარმართვას ნიშნავს**. ვინაიდან ადამიანი თავისი ბუნებრივი მიდრეკილებების მიმართ თავისუფალია, მას შეუძლია ამ მიდრეკილებების გაკონტროლება და თავის სასიკეთოდ მათი მორგება. ამ რიგის ყველაზე ელემენტარული ძირითადი მიდრეკილება თვითგადარჩენაა, რომელიც ბუნების ყველა არსისთვის არის დამახასიათებელი. მეორე ძირითადი მიდრეკილება სექსუალობაა, მამრობითის დაკავშირება მდედრობითთან, რომელიც ასევე ყველა ბუნებრივ არსებას ახასიათებს. ამ რიგის მესამე ბუნებითი მიდრეკილება კი ესაა მიდრეკილება შემეცნებისა, ბუნებითი სწრაფვა შემეცნებისკენ და სწრაფვა გონივრული ადამიანური თანაარსებობისკენ. „შესაბამისად, ბუნებით კანონს იმგვარი რაღაცეებიც განეკუთვნება, რაც ამა თუ იმ მიდრეკილების ობიექტთან არის დაკავშირებული, კერძოდ: ადამიანების მიერ უცოდინრობისგან თავის დაღწევა, თავის არიდება სხვების შეურაცხყოფისთვის, ვისთანაც მას საუბარი და ურთიერთობა უნევს და სხვა მსგავსი რამ.“

თუ ბუნებითი კანონი მხოლოდ ზოგად წესებს გვიცხადებს, ადამიანის მიერ შექმნილი პოზიტიური კანონის მიზანია, ყველა იმ კონკრეტული განსაზღვრების განცხადება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ბუნებით კანონს, ან პირიქით, უფრო ცხადყოფს კიდევ მას. პოლიტიკური გაერთიანების სამართლიანი პოზიტიური კანონი, თუკი ის შესაბამისობაშია ბუნებით კანონთან, იგი მორალურადაც ავალდებულებს როგორც მოქალაქეს, ისე ვასალს (Untertanen). ხოლო სამართლიანი მაშინაა კანონები, როდესაც ისინი საყოველთაო სიკეთეს ემსახურება, როდესაც ისინი კანონიერი მთავრობის მიერ არის განკარგულების სახით გაცემული,

როდესაც [ეს კანონები] გონივრულად დასაბუთებული განაწილების პრინციპის შესაბამისად აკისრებს ცალკეულ პირებს საყოველთაო სიკეთის ტვირთის ტარებას და ამ სიკეთეებით ასარგებლებს კიდევ მათ. ხოლო უსამართლოა ის კანონები, რომლებიც ამ პირობებს არ ასრულებს, ან თუნდაც ერთ-ერთს მაინც არ იცავს. ასეთი კანონები კი მორალურადაც არ ავალდებულებს ადამიანებს. უსამართლოა აგრეთვე ის კანონიც, რომელიც ღვთისგან მომდინარე სიკეთეებს კრძალავს, მაგალითად, როდესაც ტირანული კანონები ღვთისმსახურებებს განკარგავს, ან სხვა მსგავს საკითხს ეხება, რაც ღვთის კანონს ეწინააღმდეგება.

ადამიანის კანონი ვერ მიემართება ცალკეულ შემთხვევას, რამდენადაც ის ზოგადი განაწესია, რომელიც „ბევრ რამეს უნდა მოიცავდეს, პიროვნებების, მათი საქმეებისა თუ დროებათა შესაბამისად.“ კანონები რაღაც მუდმივს უნდა შეიცავდეს. კანონთა მუდმივი ცვლილება ანგრევს კანონთა ავტორიტეტს და ამასთან ერთად, ადამიანთა სამართალცნობიერებასაც. ამიტომაც, კანონის ცვლილება გონებისთვის მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც ამ ცვლილებიდან საყოველთაო სიკეთისთვის დიდი და ცხადი სარგებლის მოტანაა მოსალოდნელი, ან როდესაც ამ ცვლილებით დიდი უსამართლობისა ან სერიოზული ზიანისთვის თავის დაღწევაა შესაძლებელი.

ადამიანის მიერ შექმნილი კანონის ფუნქცია, თომა აქვინელის მიხედვით, არ არის ადამიანების სათნოდ აღზედა, არამედ მისი ამოცანა იმ წესრიგის შექმნაა, რომელშიც და რომლის მიხედვითაც ადამიანები მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებენ. თომა ამბობს: „ადამიანის [მიერ შექმნილი] კანონი სწორედ იმ ადამიანთა ერთობისთვისაა დადგენილი, რომელთა უმრავლესობაც, სათნოების თვალსაზრისით, არასრულყოფილია. ამიტომაც, ადამიანური კანონი ვერ აკრძალავს ყველა იმ მანკიერებას, რომელთაგანაც სათნოებს შეუძლიათ თავის შეკავება, არამედ მათგან [ამ მანკიერებათაგან] მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს, რომელთაგანაც თავის შეკავება ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია; უმთავრესად კი იმ მანკიერებებს, რომლებიც სხვებისთვის ზიანის მომტანია და რომელთა აკრძალვის გარეშეც ადამიანთა საზოგადოება ვერ იარსებებს. ამიტომაც, რომ, ადამიანის მიერ შექმნილი კანონი კრძალავს, მაგალითად, მკვლელობას და ქურდობას“.

ბუნებითი კანონი და ბუნებითი სამართალი თომა აქვინელ-

თან ერთმანეთისგან ძნელად გასამიჯნია. ამის მიზეზი ისაა, რომ ორივე მათგანი თომასთვის ობიექტური ხასიათისაა. ზოგიერთ ადგილას ერთმანეთთანაა გაიგივებული, ერთი მხრივ, გონებიდან მომდინარე კანონი როგორც ყველა ადამიანური მოქმედების მასშტაბი და საზომი/დამდგენი (Regel) და მეორე მხრივ, ბუნებითი სამართალი. სამართალი კი უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლიანობასთან: სამართალი სამართლიანობის ობიექტია, ამბობს თომა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლიანი/მართალი ისაა, რაც სამართლიანობის მოქმედებაში ვლინდება. ანალოგიურადაა, მაგალითად, ხელოვნებისა და ხელოვანის მიმართებაშიც: როგორც ხელოვანის სულში, ან მის ჩანაფიქრებსა და იდეებში უკვე [წინადაწინაა] მოცემული ის, რაც შემდგომში მისი განხორციელების პრინციპს წარმოადგენს, სწორედ ამგვარადვეა კანონი წერილობითი მასშტაბი სამართლისა. ამგვარად, სამართალი ესაა საგნობრივად მართალი, კანონი კი მხოლოდ სამართლის განსაზღვრებაა, მისი წესია. ბუნებითი სამართალი თომა აქვინელთან განმარტებულია როგორც ის, რაც ბუნებამ ყველა ცოცხლ არსებას ასწავლა. თუმცა, მისი პოზიცია ბუნებით სამართალთან მიმართებაში, მკვეთრად ორაზროვანია: ერთ შემთხვევაში თომა ბუნებით სამართალს იმის საჩვენებლად იყენებს, რომ ბუნებით ყველა ადამიანი თანასწორია, და როგორც ძველი იურიდიული სახელმძღვანელოს, Digesten-ის¹ დასაწყისში წერია, აღნიშნავს თომა, ბუნებითი სამართლის მიხედვით, მონობა არ არსებობს. მეორე ადგილას კი თომა ცალსახად ამართლებს მონობას. როგორ შეიძლება ეს ერთმანეთთან შევათავსოთ? ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ბუნებითი სამართლის ტერმინს, რომელიც ორგვარი მნიშვნელობით გამოიყენება, კერძოდ: ის, რომ რაღაც ბუნებით სამართალს მიეკუთვნება, ნიშნავს, რომ ბუნებამ თავად ჩამოაყალიბა ასე, ან რომ გარკვეული მიდრეკილება ბუნებითაა თანდაყოლილი. ასეთად შეიძლება განვიხილოთ ის, რომ არ შეიძლება სხვას მივაყენოთ უსამართლობა. თუმცა, შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც ბუნებას თვითონ არ მოუცია ასეთად, არამედ ის ადამიანურმა გამოგონებამ/შემოქმედებამ

¹ **Digesten** (ლათ. *digesta*, „მონესრიგებული“) გვიანანტიკური პერიოდის ამონარიდების კრებული რომაელი სამართალმცოდნეების ნაშრომებიდან, რომელიც მოგვიანებით სასწავლო სახელმძღვანელოდ იქცა და შევიდა ე.წ. *Corpus iuris civilis* – ში.

დაამატა. ასეთია, მაგალითად, ტანსაცმელი და ამ აზრით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კერძო საკუთრებაც და ყმათა ყოლაც ბუნებით სამათალში შედის. აქვე თომა დასძენს: „ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ კარძო საკუთრების საზღვრები და ყმათა ყოლა ბუნებიდან არ მომდინარეობს, არამედ ადამიანის გონებამ დააგინა, მისივე ცხოვრებისეული საჭიროებისთვის.“ (შ.თჰეოლ. I-II ქ.94 ა5 ად 3). ამგვარად, თომა ამართლებს მონობის ინსტიტუტს. თუმცა ამის უკან თეოლოგიური დასაბუთებებიც დგას: არისტოტელესეული წარმოდგენა „ბუნებით მონაზე“, თომას მიხედვით, უნდა გავიგოთ როგორც სასჯელი პირველცოდვისა. ზოგიერთი ადამიანი ამ (*მონური*) თვისებით იბადება, ისე რომ ის წინასწარგანსაზღვრულია ყმობისთვის. და თვითონ ყმებისთვისაც სასარგებლოა, რომ მათ ბრძენი ადამიანი ხელმძღვანელობდეს. რალა თქმა უნდა, აქედან, თავის მხრივ, ბატონებსაც აქვთ სარგებელი. აქ თვლნათლივ ჩანს, ის რაც თომას სწავლებას აკლია: ესაა ცნობიერება იმისა, რასაც ჩვენ სუბიექტურ უფლებას ვუწოდებთ, და ცნობიერება თუნდაც იმ ბუნებითი უფლებისა, რომლის მიხედვითაც ადამიანი არ შეიძლება იყოს სხვისი საკუთრება. თუმცა, სუბიექტური უფლების ცნობიერება უკვე არსებობდა მე-12 საუკუნის იურისტებსა და კანონისტებში.

სამართლიანობის შესახებ ტრაქტატის ბოლოში, თომა ეპიკიას (**Epikie** – მართლზომიერება (*Billigkeit*)) კონცეფციის შემოტანით, თითქოს, სამართლიანობის თეორიაში სუბიექტური ასპექტის შემოტანას ცდილობს. გერმანულში ეს ცნება – *Epikie* უმეტესწილად ითარგმნება როგორც *Billigkeit* (მართლზომიერება), და ესაა მსჯელობა ცალკეულზე და ცალკეულ შემთხვევასთან მიმართებაში, იმდენად რამდენადაც ის ცალკეულია. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანური ქმედებები, რომლებიც ადამიანის მიერ შექმნილი კანონის ობიექტს წარმოადგენს, ცალკეულ შემთხვევით ვითარებებში ხორციელდება. კანონები კი აუცილებლობის ნესით, საყოველთაოა, ამიტომაც, ისინი მხოლოდ იმისთვის გამოდგება, რაც „უმეტეს შემთხვევაში“ ხდება. ეპიკია კი სწორედ შემთხვევით მოქმედებას მიემართება, როგორც ცალკეულს და შემთხვევითს. თომა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ შემთხვევითობის სფეროში უსასრულოდ ბევრი ვარიანტი არსებობს. ხოლო რამდენადაც ეპიკია ცდილობს, რომ

ცალკეულ შემთხვევას გაუმკლავდეს, ამდენად, ამით კანონი კი არ უქმდება, არამედ ყველაზე ზუსტი/ზედმიწვევითი ფორმით ხორციელდება. თომა მაგალითს გვთავაზობს, რომელიც პლატონიდან მოყოლებული გამოიყენება: კანონი ბრძანებს, რომ დეპოზიტი,¹ ანუ ნივთები, რომლებიც შესანახადაა მიბარებული, კვლავ უკან უნდა იქნას დაბრუნებული, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში, სამართლიანია, რომ ასე მოხდეს. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვინმე შლეგმა თავისი ხანჯალი მოგაბაროს და სიშლეგის დროს გამოგთხოვოს უკან, ვითომც სამშობლოს დასაცავად. ამ შემთხვევაში ცუდი/არასწორი იქნებოდა ამ პოზიტიური კანონის დაცვა, ხოლო კარგი ის იქნებოდა, საყოველთაო სიკეთისა და სარგებლის თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში ამ კანონის სიზუსტე დაგვერღვია და ისე მოვეცუელიყავით, რასაც საკუთრივ სამართლიანობა გულისხმობს, ანუ, ეს (მიბარებული) ნივთი არ გაგვეცა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ კანონის, ეს იგი კანონის წერილობითი სიზუსტის წინააღმდეგ ვიმოქმედებით, მაგრამ ამით ჩვენ კანონის ნამდვილ არსს შევასრულებდით. ამგვარად, ეპიკიე (Epikie, მართლზომიერება) არ არის სუბიექტური გეგმა, არამედ ესაა შეგნება იმისა, რაც ობიექტურად ჯერ-არს და რასაც კანონი ვერ სწვდება. ეს კი უნდა განვასხვაოთ იმისგან, რაცაა „შენწყნარება/შერბილება(Nachsicht“). კონკრეტული სასჯელის გონივრული შემსუბუქების (Nachlassung) შემთხვევაში, ეპიკია ესაა ობიექტური შერბილება/შემსუბუქება სასჯელისა, მაშინ როცა „შენწყნარება“(Nachsicht) ის სუბიექტური გრძნობაა, რომელიც მას საფუძვლად უდევს. იგივე ეხება სასჯელის გადაჭარბებულად შესრულებასაც, რაც ობიექტური თვალსაზრისით, უსამართლობაა, ხოლო მისი სუბიექტური საფუძველი სასჯელის გაზრდის მიდრეკილებაა, რასაც ჩვენ „სისასტიკეს“ ვუწოდებთ. ხოლო ეპიკია ესაა შევსება იმისა, ანუ გამახვილება (Zuspitzung) იმისა, რაც ობიექტურ კანონშია მოცემული.

თარგმნილია ქეთევან რჩეულიშვილის მიერ

1 Depositum – შესანახად ჩაბარებული ნივთი, გირაო, საბანკო დეპოზიტი

გეორგ ლომანი

პროფესორი (დოქტორი)

GEORGE LOHMANN

Professor, Doctor

1968-დან 1974 წლამდე ფილოსოფიას სწავლობდა ბოხუმის, ფრანკფურტის, მიუნხენის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. 1974 წელს მიიღო არტიუმ მაგისტრის ხარისხი. 1974-75 წლებში სწავლობდა სოციოლოგიას ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. 1978-1983 წლებში მუშაობდა ფილოსოფიის სამეცნიერო ასისტენტად ჯერ ბერლინის პედაგოგიურ სკოლაში, ხოლო შემდგომ ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში. 1986 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი. სამეცნიერო ასისტენტი (1987-1993 წლებში) და ფილოსოფიის უმაღლესი ასისტენტი (1993-1996 წლებში) პროფესორ მიხაელ ტოინისენთან ფილოსოფიის ინსტიტუტში ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში. 1992 წელს მოხდა მისი ჰაბილიტაცია. 1994-1996 წლებში იყო მაგდენბურგის ასოცირებული პროფესორი. 1996 წელს იყო მონვენლი პროფესორი ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1996 წლიდან კი პრაქტიკული ფილოსოფიის (c3) პროფესორი მაგდენბურგის ოტო ფონ გოერიკეს უნივერსიტეტში. 2006 წელს დააფუძნა თავისი სამუშაო ადგილი ადამიანის უფლებების მიმართულებით, მაგდენბურგის უნივერსიტეტში. 2013 წლიდან, რაც ლომანი ემერიტირდა(პენსიაზე გავიდა), იგი იკვლევს ძირითადად ადამიანის უფლებების ფილოსოფიას, ასევე მორალის ფილოსოფიასაც. იგი, ასევე ერთ-ერთი დირექტორთაგანია ყოველწლიური საზაფხული სკოლის- თემაზე „Diversity of Human Rights“(ადამიანის უფლებების მრავალფეროვნება), ხორვატიაში ინტერ-უნივერსიტეტში დუბროვნიკის ცენტრში. გეორგ ლომანი 2016 წლიდან ნაყოფიერად თანამშრომლობს ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

<http://www.georglohmnn.de/>



ადამიანის კულტურული უფლებები და ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ

აბსტრაქტი: სტატიის ავტორის, გეორგ ლომანის აზრით ადამიანის უფლებები, არის უმთავრესი წინაპირობა, საზოგადოების არსებობისა, როგორც თანასწორი, ღირებული და თავისუფალი ერთობლიობის გაერთიანება; წინააღმდეგ შემთხვევაში, კი იქნება უთანასწორო და უსამართლო გარემო.

ავტორს მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებების მატარებელნი, თავად ცალკეული ინდივიდები არიან და მხოლოდ მათი ერთმანეთთან მიმართებისა და ერთმანეთთან ურთიერთალიარების შედეგათაა შესაძლებელი, ადამიანის უფლებების, როგორც ცნებისა და იდეის გამოყენება თუ განხორციელება.

ავტორი უღრმავდება ადამიანის უფლებების ცნების საფუძვლებს და საუბრობს თავის სტატიაში კულტურულ ღირებულებაზე, რომელიც ადამიანის უფლებების ცნებასა და არსს აძლევს სიმყარის განცდას; კულტურის უფლების ცნებაში ავტორი მოიაზრებს, ისეთ უფლებებს, როგორიცაა განათლების უფლება, რომელიც ერთიორად ზრდის ადამიანის კულტურის უფლების ცნებას ღირებულად. ამ უფლებაში, მოაზრებულია მსოფლიო საზოგადოებათა კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები, რომლებიც თავად ადამიანთა მიერ არის განხორციელებული.

კულტურის უფლებები არის არა ადამიანის ბუნებაში თანდაყოლილი თვისებები, არამედ ადამიანთა თანაცხოვრების შედეგად შეძენილი თვისებები, რომელიც ადამიანის უფლებებს აძლევს, მეტ შესაძლებლობას და სტიმულს ჩაერთოს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში. ავტორის აზრით, ადამიანის უფლებები განათლებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან ერთის მხრივ განათლებით იქმნება ადამიანის უფლებების, როგორც კულტურის ღირებულების განსაზღვრება, ხოლო მეორეს მხრივ განათლებით იძენს ინტელექტუალურ და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც ავტორის აზრით საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას უფრო ღირებულს და ტოლერანტულს ხდის. შესაბამისად მცირდება გენდერული უთანასწორობისა თუ სხვა სოციალური უთანასწორობის რისკი.

კულტურის ღირებულების რელევანტურობა კი, რომელიც

განათლებაზე და ურთიერთალიარებაზეა დაფუძნებული, ავტორის აზრით, არის საშუალება, რომლის მეშვეობით, შესაძლებელია სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის დამარცხება.

საკვანძო სიტყვები: ადამიანი, უფლებები, ღირებულება, განათლება, ურთიერთალიარება, კულტურა, უთანასწორობა.

GEORGE LOHMANN

CULTURAL RIGHTS AND STRUGGLE AGAINST INJUSTICE

Abstract: *The Author, George Lohmann believes that Human Rights are mane source of existence of society as a union of equal, valuable and free members. The opposite of which is unequal and unjust environment.*

Farther he has no doubt, that those who have human rights are individuals and only relation of them with each other makes possible use or realization of Human Rights as a notion and as an idea.

In term of cultural Rights the author means Right such as: Right on education, which boosts volubility of the notion of cultural Right.

Cultural Rights are not naturally born but they appear in process of human cohabitation. They should be oriented on education, because on the one hand the education determines the definition of cultural Rights as a cultural value, and on the other, education gives intellectual and practical skills, which make the cultural life of the society more tolerant. As a result the risk of inequality on the base of gender or other social inequality will be reduced.

The relevance of the value of culture, based on education and reciprocal recognition is a mean, which makes possible to combat social and political injustice.

Keywords: *human, rights, culture, value, education, inequality, recognition*

კულტურული უფლებების მატარებელი ყოველთვის ცალკეული ადამიანები არიან, იმის მიუხედავად, რომ მათ თავიანთი ამ უფლებების განხორციელება მხოლოდ საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან ერთად შეუძლიათ.

ადამიანის უფლებები, რომლებიც კულტურას მიემართებიან, ადამიანის უფლებათა რიგში, გასაკვირად, კიდეში არიან წარმოდგენილნი. ყოველ შემთხვევაში, ექსპლიციტურია მხოლოდ ერთი მუხლი, რომელიც „საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის“ უფლებას შეეხება (მუხლი 27, ნაწილი 1, 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; მსგავსი შინაარსისაა 1966 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლი, ნაწილი 1 ა). მაგრამ ვინაიდან კულტურის ცნება რთული განსაზღვრია და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დოკუმენტებსა და პრაქტიკაში ფართოდ და პლურალისტურად არის ფორმულირებული, ადამიანის დანარჩენი უფლებების კიდე ერთი რიგი გახლავთ რელევანტური კულტურაში თანამონაწილეობისთვის: მაგალითად, ისეთი უფლებები, როგორიცაა განათლების, აზრის, აღმსარებლობის, ინფორმაციისა და სამეცნიერო თავისუფლებები, უმცირესობათა უფლებები, აბორიგენულ მოსახლეობათა უფლებები და სხვა. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლება კულტურულ თანამონაწილეობაზე უნდა იქნას დანახული ადამიანის სხვა უფლებათა კონტექსტში. მაშინ უფრო გასაგები გახდება, თუ რატომ არის ის ასეთი მნიშვნელოვანი უფლება, თუ რატომ არის სათანადო განხორციელება ადამიანის კულტურული უფლებების, ანუ ისეთი უფლებების, რომლებიც ფართო გაგებით მსოფლიოში საზოგადოებათა კულტურულ ცხოვრებაში თავისუფალ და ქმედით მონაწილეობას შეეხება, ასე მნიშვნელოვანი და ამდენად დიდი ზემოქმედების მქონე სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, და თუ რატომ არის ისინი ასეთი პოლიტიკური და კულტურული დავისა და ბრძოლის საგანი.

აქ უნდა გავაშუქოთ ადამიანის კულტურული უფლებების მნიშვნელობა და ზემოქმედება მათ როლთან დაკავშირებით უსამართლობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. თავად სამართლიანობის ცნება ალბათ იმდენადვე რთული განსაზღვრია, როგორც კულტურის ცნება, თუმცა, მოცემული გააზრებების მიზნიდან გამომდინარე გირჩევდით, რომ უსამართლობის ცნების ქვეშ გაგვეგო გაუმართლებელი უთანასწორობა და გაუმართლებელი შეზღუდვები სიცოცხლის, ღირსებისა და თავისუფლების. საბაზისო აზრით, ყოველივე ის არის უსამართლო, რაც ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება. თუ რა უნდა გავიგოთ უფრო

ზუსტად ამის ქვეშ, იმედია შემდგომ ტექსტში ნათელი გახდება.

კულტურისა და უსამართლობის გადაჯაჭვა ხორციელდება გამართლების ცნების გავლით. სახელდობრ, ჩვენ ვამართლებთ უსამართლობებს, როდესაც გარკვეული კულტურული შეფასებებისა და მნიშვნელობების შუქზე მათ გამართლებულად წარმოვაჩენთ. ასე მაგალითად, მე-19 საუკუნეში კაცსა და ქალს შორის უთანასწორობა სამართალთან მიმართებაში, სხვასთან ერთად ქალის კულტურულად გაშუალებული სურათით იყო გამართლებული, რომლის მიხედვითაც ქალებს „მათი ბუნების“ შესაბამისად უპირატესად გრძნობები მიენერგოდათ, ხოლო აქტიურ ხმოსან მოქალაქეს (Wahlbürger) უნდა ჰქონოდა უნარი რაციონალური აზროვნების და ეს კი მხოლოდ მამაკაცებთან იყო დაკავშირებული. ამ კულტურული შეფასებებისა და ადამიანის სურათების შუქზე („კაცები რაციონალურნი“ არიან „ქალებს გრძნობები აქვთ“) სულაც არ გამოიყურებოდა უსამართლოდ, რომ ქალებს საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ. როგორც კი „ქალის ბუნების“ ეს კულტურული გაგება აღარ ჩაითვალა მისაღებად, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოვიდა სხვა კულტურულად დომინირებულ შეხედულებებთან, უკვე შეუძლებელი გახდა, ყოველ შემთხვევაში ამ პერსპექტივიდან, ქალებისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვა. ბუნებრივია, ამგვარი ცვლილებების პროცესი არ გახლავთ უბრალოდ კულტურული ღირებულებების ცვლილების შედეგი, არამედ ამდენადვე დიდია მათზე ქალთა აქტიური პოლიტიკური ბრძოლის, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნების (Erfordernisse) და პოლიტიკური, გარკვეულწილად ხელსაყრელი ისტორიული კონსტელაციების გავლენა. მაგრამ სოციალური და პოლიტიკური პროცესები, რომლებშიც უსამართლობათა და უთანასწორობათა გამართლება სადაო ხდება, ამავე დროს ყოველთვის კულტურული შეფასებებით არის თანაგანსაზღვრული. მათ, თითოეულს კონსტელაციის მიხედვით, გააჩნიათ დიდი სუბვერსიული ძალა, ანდა უფრო მასტაბილიზირებელი, ან კიდევ უსამართლობათა მალეგიტიმირებელი ფუნქცია. მხოლოდ სხვა კულტურული შეფასებების შუქზეა შესაძლებელი მათი, როგორც გაუმართლებელთა და ამდენად უსამართლოთა გამოაშკარავება. აქედან ჩნდება კითხვა, არის თუ არა თავსებადი ადამიანის უფლებების მიერ კულტურულ შეფასებებთან (kulturelle Wertungen).

ადამიანის უფლებები აყენებენ პრეტენზიას იმაზე, რომ უნივერსალურად და საყოველთაოდ იქნენ მიჩნეული და ამით მათი პირველი დეკლარაციებიდან მოყოლებული დაძაბულ მიმართებაში იმყოფებიან (in Spannung stehen) მსოფლიოს ყოველ განსხვავებულ კულტურასა და საზოგადოებასთან. კულტურები არიან კომპლექსური პრაქტიკები საზოგადოებრივად გაზიარებული ღირებულებითი შეხედულებებისა, რომლებიც თავის თავში არ არიან არც მონოლითურნი, უცვალებელნი და კონფლიქტურობისგან თავისუფალნი, არც ერთმანეთისგან ყოველთვის კარგად გამიჯნულნი. მაგრამ იმ სახით, რა სახითაც კულტურული ღირებულებითი შეხედულებები მათი წევრების თვითშეგნებასა და მათ კულტურულ საერთო იდენტობას აყალიბებს, სახასიათო განსხვავებები ხომ მაინც დადგენადია იმგვარად, რომ ჩვენ მსოფლიოში კულტურათა პლურალიზმზე ვსაუბრობთ. თავად ადამიანის უფლებათა იდეები ისტორიულად მსოფლიოს ყველა კულტურაში არ განვითარებულა, არამედ განსაზღვრულ, ევროპულად ჩამოყალიბებულ კულტურულ სივრცეებში ისტორიულად წარმოიშვა, რომლებმაც ისინი განსაზღვრა კიდეც. ისინი გულისხმობენ გარკვეულ ღირებულებით ამოსავალს (Werthaltungen) და თავის მხრივ ასტიმულირებენ (fördern) გარკვეულ ღირებულებით შეხედულებებს, რომლებიც მსოფლიოს ყველა კულტურაში თანაბრად დაფასებული და პრაქტიცირებული არ გახლავთ. ასე მაგალითად – იყო და არის მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებანი დაკავშირებული იმის ფორმულირებასთან, თუ რა არის სამართალი (law) და რა არის უფლებები (rights), ან ინდივიდუალური თვითგამორკვევის კულტურულ აღიარებასთან (Wertschätzungen) დაკავშირებით, ასევე სხეულის ხელშეუხებლობასთან, პრიორიტეტულ მიმართებებთან ინდივიდსა და საზოგადოებას შორის (მაგ. ოჯახი, კლანი, ერი), კაცებისა და ქალების თანასწორობის იდეის, რელიგიური ტოლერანტობის ან დემოკრატიული მონაწილეობის შეფასებისას და სხვა.

ყველა ეს პუნქტი, ევროპის ისტორიაშიც სადაო იყო და მხოლოდ თანდათან, წინააღმდეგობებსა და ხანგრძლივ დაპირისპირებაში მოხდა მათი კულტურულ ინსტიტუტებად (Gestaltungen) განვითარება, რომლებსაც დღეს ჩვენ ადამიანის უფლებათა უნივერსალიზმის დასაბუთების მცდელობისას ათვლის წერტი-

ლად ვიყენებთ. ასეთი, ჩემი აზრით მისაღები დასაბუთებანი, ადამიანის უფლებების უნივერსალობის ნამდვილობის პრეტენზიისა, გახლავთ ყოველ ჯერზე განსაკუთრებული ისტორიული გენეზისისგან დამოუკიდებლად შესაფასებელი.

მაგრამ ადამიანის უფლებათა დეკლარაციების პათოსი ამ კულტურული შეფასებებით იკვებება, რომელთაგან ადამიანის უფლებები გარკვეულწილად წარმოდგება და რომლებიც შემდეგში თუკი განხორციელდებიან – წახალისებენ და მოითხოვენ (*fördern und fordern*). აქ მათ რეზიუმირებას მოვახდენ ისე, როგორც ეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულასა და მის პირველ მუხლშია: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“. 1948 წლის ისტორიული სიახლე არის ღირსებისა და უფლებების დაკავშირება, რომლებიც შემდგომ 1966 წლის საერთაშორისო პაქტებში ღირსებასა და უფლებებს შორის დამფუძნებელ მიმართებათა (Begründungsverhältnisse) კი განისაზღვრა (იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის პრეამბულა). აქედან შესაძლებელია ამ, ადამიანის უფლებათა დისკურში მანამდე არ წარმოჩენილი (*nicht vorkommenden*) ადამიანის ღირსების ცნების, როგორც ყველა კულტურული შეფასების დანახვა, რომლებსაც ადამიანის უფლებების ქონა გარკვეულწილად შეუძლიათ განაპირობონ (ვორაუსგეჰენ), დაასაბუთონ ისინი და მოახდინონ მათი მოტივირება (იხ. გეორგ ლომანი, *ადამიანის ღირსება, როგორც ადამიანის უფლებების „ბაზისი“*, ადამიანის ღირსება და მედიცინა, გამომც. იან კ. იორდენი, ბერლინი 2013).

ამჟამად კულტურულად არტიკულირებული ადამიანის სურათი მოიაზრება, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი, მხოლოდ იმიტომ რომ ადამიანია, თანასწორი და თავისუფალია ღირსებასა და უფლებებში, და ამით ანულირდება ყველა აქამდე მოქმედი კულტურული შეფასება, რომელიც ცდილობდა, „რასაზე, კანის ფერზე, სქესზე, ენაზე, რელიგიაზე, პოლიტიკურ ან სხვაგვარ კუთვნილებაზე, ეროვნულ ან სოციალურ წარმოშობაზე, ქონებაზე დაბადებასა ან სხვაგვარ მდგომარეობაზე“ აპელირებით სამართლებრივი უთანასწორობისა და საბაზისო

(ბასალ) დისკრიმინაციის ლეგიტიმირებას (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლი). აქედან მოყოლებული, ეს უსამართლოდ გვევლინება და წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებათა ნორმატიულ მოთხოვნებთან.

კულტურული ადამიანის უფლებების განხორციელებას ამჟამად (nun) გააჩნია საყურადღებო (beachtlich) მნიშვნელობა და შედეგები. უპირველეს ყოვლისა, კულტურულმა უფლებებმა უნდა მოახდინონ ცალკეულთა სტიმულირება და მათი შესაძლებლობების გაფართოვება (ermächtigen und befähigen) (ინგლისურად empowerment), რათა მათ საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ეს ნიშნავს, რომ იგი არა მხოლოდ პასიურად, როგორც მომხმარებელი უნდა იყოს შეუზღუდავად შემძლე მიიღოს მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებსა და კულტურულ მედიაში (პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი), არამედ აგრეთვე მან თავადაც უნდა ჩაიყენოს საკუთარი თავი იმ მდგომარეობაში, რომ კულტურული ცხოვრება აქტიურად თანაგანსაზღვროს. საამისოდ მას არა მხოლოდ კითხვა და წერა უნდა შეეძლოს, არამედ იგი უნდა ფლობდეს ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების განუსაზღვრელად დიდ არეალს (Spannweite). ამ კონტექსტში ადამიანის უფლება განათლებაზე განსაკუთრებულად რელევანტურია. იმის მიუხედავად, ღარიბია იგი თუ მოქალაქეობის არ მქონე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ სქესის ან წარმომავლობისაა, თითოეული ადამიანის უფლებებს განეკუთვნება შესაბამისი აღზრდა და ჯეროვანი სასკოლო და პროფესიული განათლება, რომელიც ხელმისაწვდომი (verfügbar, zugänglich), მისაღები და მოქნილი (ადაპტირებადი) უნდა იყოს. ამ მნიშვნელოვან უფლებებს უკავშირდება სახელმწიფოს პოზიტიურ მოვალეობათა რიგი, რომლებიც მაგალითად, შესაბამისმა სასკოლო და განათლების ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ. ამასთან საგულისხმოა, რომ არა ნებისმიერი საგანმანათლებლო შინაარსი უნდა იქნას მიწოდებული, არამედ ადამიანის უფლება განათლებაზე მიზნად ისახავს, ისევე როგორც ადამიანის სხვა კულტურული უფლებები, ცალკეულ ადამიანს მიაწოდოს თვითგამორკვევის უნარი. ამ მიზანდასახულობით, რაზეც კიდევ იქნება საუბარი, აღჭურვავენ კულტურული ადამიანის უფლებები ცალკეულ ადამიანს, აქტიური მონაწილეობით

ერთობლივ გადანყვეტილებებსა და იმის თანაგანსაზღვრაში, თუ როგორი უნდა იყოს, ან როგორ განვითარდეს მათი კულტურული ცხოვრება. ფართო კულტურული განათლება, ასეა ცნობილი ემპირიული კვლევებიდან, ხანგრძლივ პერსპექტივაში საუკეთესო ღონისძიებებია სილატაკის, სოციალური იზოლაციისა და აგრეთვე, ავტორიტარული სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგ.

მართალია არ არსებობს ავტომატიზმი, რომლის მიხედვითაც უკეთესი განათლება ავტომატურად დემოკრატიზაციისა და კეთილდღეობისკენ წაგვიყვანს, მაგრამ კულტურული მონაწილეობის empowerment-ეფექტი ხანგრძლივად არის მნიშვნელოვანი საშუალება სოციალური და პოლიტიკური უსამართლობების დასამარცხებლად. თუმცა, ეს მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, როდესაც განათლების მიზნები და შინაარსები და კულტურულ უფლებათა აღქმა სათანადოდაა მიმართული და ეგალიტარულია.

ადამიანის კულტურული უფლებების ამ ღირებულებით ორიენტირებასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ „განათლება უნდა იყოს მიმართული ადამიანის პიროვნების სრულყოფილი განვითარებისაკენ“ (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლი, ნაწილი პირველი). შემდგომ ამ ბაზისზე უნდა წარიმართოს ხალხთა, „ეთიკურ და რელიგიურ ჯგუფებს“ შორის „გაგება, ტოლერანტობა და მეგობრობა.“ ამით ნორმატიული მიზნები, რომელთა მიღწევა განათლებისა და კულტურული თანამონაწილეობის უფლებებმა უნდა გახადოს შესაძლებელი (zu denen befähigen sollen) არამც და არამც არ გახლავთ კულტურულად ნეიტრალური. ისინი სრულიად გარკვევით ეწინააღმდეგებიან კულტურაზე ან განათლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ფუნდამენტალურ რელიგიურ ან ტრადიციულ ავტორიტარულ, ანაც პატრიარქალურ წარმოდგენებს იმდენად, რამდენადაც ისინი ახდენენ იმის უაპელაციო კარნახს, თუ როგორ უნდა იცხოვროს ცალკეულმა ან როგორ მიიღოს მან მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი, ისევე როგორც საერთოდ ადამიანის უფლებები, კონცენტრირდებიან ცალკეული ადამიანის ავტონომიურობაზე, რომელსაც უპირატესად თავად (in überlegender Weise) ე.ი. გააზრებულად შეუძლია გადანყვეტოს, თუ როგორ სურს იცხოვროს, რომელი

საზოგადოების ნაწილი იყოს – რელიგიურის თუ სეკულარულის, როგორ სურს მას განეკუთვნებოდეს და როგორ სურს მიიღოს ამა თუ იმ კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა. საერთოდ ადამიანის უფლებები, და მათთან ერთად კულტურული უფლებები, „სუბიექტური უფლებებია“ – იმ აზრით, რომ ისინი წარმოადგენს უფლებებს საზოგადოებათა საპირისპიროდაც, რომელზეც ერთეული ამავე დროს აუცილებლობით დამოკიდებული არის და რჩება. სწორად გაგებული, ადამიანის კულტურული უფლებების აღქმა, ამით ცალკეულს ხდის ავტონომიურს, სენსიბილურს და კრიტიკულს მის საკუთარ მიმდინარე (seiner jeweils vorgefundenen) კულტურასთან მიმართებაში. ისინი მას უქმნიან შესაძლებლობებს, არა მხოლოდ გათვითცნობიერდნენ ამა თუ იმ კონტრეტული კულტურული ცხოვრების წესის შესახებ, არამედ ხელს უწყობენ ცოდნასა და შემეცნებას სხვა კულტურული პრაქტიკების შესახებ და აცნობენ კულტურული ცხოვრების პლურალიზმს. ამიტომ ისინი ხდიან შესაძლებელს, გარკვეული კულტურული საზოგადოებების ყოვლისმომცველობის ტოტალიტარულ პრეტენზიის კრიტიკული ანალიზისა – ეს შეიძლება იყოს სექტანტობა, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, პატრიარქალიზმი, მაგრამ ასევე პოლიტიკური ჯგუფების ფანატიზმი. არავინაა წევრი მხოლოდ ერთი საზოგადოების. ჩვენ ვიზრდებით განსხვავებულ კულტურულ საზოგადოებებში და ვავითარებთ ჩვენს პერსონალურ იდენტობას ზუსტად განსხვავებულ, ნაწილობრივ დიასაც წინააღმდეგობრივ კულტურულ შეფასებებთან (Wertungen) ჭიდილში (in Auseinandersetzung). არასწორი, არსებითად უსამართლო კულტურული დამოკიდებულებებისგან გათავისუფლების ამ პროცესისთვის, რომელიც ძალიან ხშირად სქესთა უთანასწორო დაფასების (Bewertung) და ქალთა ჩაგვრის პარალელურად მიედინება, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კულტურული მონაწილეობის უფლებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ავტონომიასა და პლურალიზმის აღიარებას.

ამ (პლურალისტული) მიდგომის საწინააღმდეგოდ უთქვამთ, რომ ადამიანის უფლება კულტურულ მონაწილეობაზე სიტყვასიტყვით უღერს: „თითოეულს აქვს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში თავისუფლად მონაწილეობის უფლება“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლის ნაწილი 1). ვინაიდან აქ საუბარია ერთ და არა მრავალ საზოგადოებაზე, ეს

ისეა ინტერპრეტირებული, რომ აქ მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული კულტურის დაცვაზეა საუბარი. განსაკუთრებით კულტურულმა უმცირესობებმა და აბორიგენულმა ხალხებმა, რომლებშიც თავს აიგივებენ ამა თუ იმ კონკრეტულ კულტურულ ტრადიციასთან და რომელთათვისაც „მათი“ კულტურის შენარჩუნება იდენტობის დაცვისა და ხშირად გადარჩენის მნიშვნელობის მატარებელია, კულტურული მონანილეობის უფლება ამგვარად გაიგეს. გარკვეულ პირობებში ეს აბსოლუტურად სწორია, სხვა პირობებში კი ამდენადვე ძირეულად მცდარი. ეს სწორია, როდესაც კულტურული უფლებები ფორმულირებულია, როგორც ინდივიდუალური უფლებები. ამის მიხედვით ეს გახლავთ თითოეულის უფლება, რომ მისი კულტურა ან მისი კულტურული საზოგადოება, რომელთანაც ის თავისუფლად(!) არის დაკავშირებული, რესპექტირებული, დაცული და მხარდაჭერილია. კულტურული უფლებების მატარებელნი ყოველ ჯერზე ცალკეული ადამიანები არიან, მაშინაც თუკი მათ თავიანთი უფლებების განხორციელება მხოლოდ სხვა ადამიანებთან საზოგადოებაში შეუძლიათ. მხოლოდ მათი თავისუფალი თანამონანილეობის პირობით არის აქედან გამომდინარე მათი ესა თუ ის კულტურა თანა დაცული. და მინიმალური კრიტერიუმი კულტურულ (ან რელიგიურ ან პოლიტიკურ) საზოგადოებაში წევრობის ნებაყოფლობითობისა, არის მისი დატოვების შესაძლებლობა. მაინც (nun) არსებობს საზოგადოებები, რომლებშიც ჩვენ ვიბადებით (მაგალითად ენობრივი საზოგადოებები) და მათი დატოვება პირდაპირი მნიშვნელობით ამ სიტყვისა, არ შეგვიძლია, ვინაიდან ისინი ჩვენი ბიოგრაფიის იმ ნაწილებად ქცეულა, რომლებიც ვერ უარყოფადია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ საზოგადოებათა კულტურული სტანდარტებისგან დისტანცირება, მათგან მოწყვეტა და საკუთარი თავის განსხვავებული ფორმით გაგება და შესაბამისი ცხოვრება. „Exit-ის ოპციები“ აქედან უაღრესად განსხვავებულია, მაგრამ გადამწყვეტი კრიტერიუმი გახლავთ, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონანილეობა ნებაყოფლობითია, არის დაცული ეს კულტურული ცხოვრება ინდივიდუალური ადამიანის უფლების მეშვეობით. ამ წინაპირობას ამსხვრევს ის პოზიცია, რომელიც კულტურული უფლებების მატარებლად ამათუიმ საზოგადოებას მოიაზრებს, იქნება იგი ეთნიკური თუ

რელიგიური. მიუხედავად იმისა, რომ ფესვგადგმულია (*eingebürgert*), რომ ე.წ. „მესამე თაობის“ ადამიანის უფლებების მატარებელი კოლექტივი უნდა იყოს (მაგალითად განვითარებისა და კოლექტიური თვითგამორკვევის უფლებისას), მე ეს ცნებობრივად და აგრეთვე სისტემურად მცდარად და მადეზორიენტირებლად მიმაჩნია. თუ კულტურული უფლებები ამ ფორმით, კულტურული კოლექტივის უფლებებად იქნებოდა გაგებული, მაშინ სინამდვილეში კულტურები, როგორც ასეთი აღმოჩნდებოდნენ „სახეობრივი დაცვის„ (*Artenschutz*) ქვეშ, როგორც ეს იურგენ ჰაბერმასის მიერ არის ფორმულირებული. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ადამიანის უფლებათა ნორმატიულ ღირებულებით ორიენტირებასთან, იმ ფორმით, როგორადაც ჩვენ მას ზემოთ გავუკეთეთ დემონსტრირება – შეუთავსებელია. აქედან კულტურები მხოლოდ იმდენადაა ადამიანის უფლებრივად (*menschenrechtlich*) დაცული, რამდენადაც ისინი დაცულია თითოეულის ინდივიდუალური უფლებების მეშვეობით.

ჩვენ შეგვიძლია საზოგადოებებს, რომლებშიც ზემორე (*obige*) მინიმალური პირობა თავისუფალი დატოვებისა შესრულებულია, მინიმალურად-ლიბერალური საზოგადოებები ვუწოდოთ.

ისინი ფუძემდებლურ საკითხში სამართლიანია, ვინაიდან რესპექტირებენ თანაბარ უფლებას – თითოეულის უფლებას ნებაყოფლობით წევრობაზე. ამ საფუძველზე შემდგომ შესაძლებელი ხდება ლიბერალურ საზოგადოებათა სიმრავლე, რომლებიც მათ საზოგადოებრივ კულტურულ შეფასებებში შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. ამჟამად არსებობს მრავალი საზოგადოება, რომელიც როლების უთანასწორობით, ავტორიტარული მმართველობითი მიმართებით (*Herrschaftsverhältniss*) ან სიკეთეთა უთანასწორო განაწილებით, კომპეტენციებითა და სოციალური სტატუსით ხასიათდება. ტრადიციული ოჯახები ან ეთნიკური კლანები და ტომები, მაგრამ ასევე თანამედროვე საზოგადოებები, განსაკუთრებით მრავალი რელიგიური საზოგადოება ასეა სტრუქტურირებული. შემოკლებით მე მათ არა-ლიბერალურ საზოგადოებებს ვარქმევ, ვინაიდან და იმდენად, რამდენადაც ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების შესრულებისას (*Vollzug*) და თავიანთ მანერაში მათი წევრების როლების უთანასწორობით ხასიათდებიან. განსაკუთრებით ხშირია აქაც სქეს-

თა განსხვავებული როლები და ფუნქციონალური მითითებები, რომლებიც უმეტესად გარკვეულ კულტურულ შეფასებებსა და კულტურულად გაშუალებულ სამყაროსა და ადამიანის სურათს, განსაკუთრებით ქალთა სურათს ემყარებიან. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ადამიანის უფლებების იმანენტური ღირებულებითი ორიენტირება ამ არა-ლიბერალურ საზოგადოებებთან კოლიზიაში იმყოფებიან. შეგვეძლო გვევარაუდა, რომ კულტურული ადამიანის უფლებებს მხოლოდ ლიბერალურ საზოგადოებრივი კულტურის კონფორმულად შეუძლიათ სვლა. მაგრამ ეს ასე არ არის. თუკი ვინმე ნებაყოფლობით განეკუთვნება არა-ლიბერალურ საზოგადოებას, და თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების განხორციელებისას მისი ადამიანის უფლებები დაცული იქნება, ეს პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან, ტოლერირებული უნდა იქნას. ტოლერანტობა ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმასაც, რომ ერთი შეფასებითი პერსპექტივიდან შესაბამისი არა-ლიბერალური ღირებულებები და პრაქტიკები მცდარად ან არამორალურად ჩაითვალოს და გაკრიტიკებულ იქნას, მაგრამ იგი *მეორე* სამართლებრივი პერსპექტივიდან ადამიანის უფლებებისა – მიღებული (*hingenommen*) და შეწყნარებული იქნას. თუმცა, მხოლოდ იქამდე, სანამ პირობები ზემოთ აღწერილი მინიმალურ-ლიბერალური საზოგადოებრიობისა დაცული იქნება. ამის მაგალითია გერმანული სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება, ბიჭებისა და გოგონებისთვის საერთო ცურვის გაკვეთილისთვის სავალდებულოობის დადგენისა, თუმცა, ამავდროულად მკაცრად ისლამური საზოგადოების წარმომადგენელი გოგონებისთვის ე. წ. ბურკინის ტარების ნების დართვა. ამიტომ კულტურული უფლებების აღქმას სავსებით შეიძლება კულტურული და სოციალური ცვლილებათა კატალიზატორის როლის თამაში არა-ლიბერალურ საზოგადოებებში, მაგრამ ისინი ყველა კულტურას არ ათანაბრებენ, არამედ განკუთვნილნი და სავალდებულონი არიან ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, სწორედ კულტურათა სიმრავლის მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განვითარებისთვის, როგორც ლიბერალურის, ისე არა-ლიბერალურის.

დასასრულისთვის საჭიროა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის მიმოხილვა, რაც უკავშირდება კულტურული ადამიანის უფლებებსა და უსამართლობებს. კულტურულ ცხოვრებაში თა-

ვისუფალი მონაწილეობა ხშირად სოციალურად არათანასწორად არის უზრუნველყოფილი, ის გახლავთ სქესის, სოციალური სტატუსისა და ეკონომიკური შემოსავლის მიხედვით დისკრიმინაციის მეშვეობით უთანასწოროდ განაწილებული, და ამის გასამართლებლად არცთუ იშვიათად გამოიყენება განსაზღვრული კულტურული შეფასებები (kulturelle Wertungen). კულტურულ უფლებათა აღქმაში მსგავსი უსამართლობების დასაძლევად, ადამიანის უფლებათა ნორმატიული ნესტარი (Stachel) გარკვეულწილად რეფლექსიური უნდა გახდეს. კულტურულ ადამიანის უფლებათა სუბვერსიული ძალა აქ მიმართულია უთანასწორობის ყალბი და გაუმართლებელი ლეგიტიმაციის წინააღმდეგ, როგორც ის დისკრიმინაციულად, განსაკუთრებით გოგონებისა და ქალების, პაუპერიზირებული ფენების, საზოგადოების მარგინალიზირებული ჯგუფების, უმცირესობებისა და აბორიგენული ხალხების წინააღმდეგ არის პრაქტიცირებული. აქ არის ბრძოლა უსამართლობათა წინააღმდეგ, ამავდროულად ბრძოლა კულტურულ ცხოვრებაში თანასწორი, საყოველთაო და თავისუფალი მონაწილეობისთვის.

თარგმნილია ირაკლი თაბორიძის მიერ

In: Matthias Hoesch, Sebastian Laukötter (Hg.), Natur und Erfahrung. Beiträge zu einer.

praktischen Philosophie der Gegenwart, Münster 2017 (Festschrift für Ludwig Siep).

იორგ ჰარდი

1987-1997 წლებში სწავლობდა ზოგად ლინგვისტიკას, ფილოსოფიას, გერმანულ ფილოლოგიასა და სამართალს, 1998 წელს მიუნხენში დოქტორანტურაზე – ზოგად ენათმეცნიერებას. 1998-2006 წწ. ასისტენტ პროფესორის რანგში წარმატებით თანამშრომლობდა ბერლინისა და ბოხუმის უნივერსიტეტებთან (გერმანია). 2004-2005 წწ. იყო მონვეული პროფესორი (ფულბრაიტ-სტიპენდიანტი) შამინადის უნივერსიტეტში, ჰაგაი (შვერთებული შტატები). 2005 ფულბრაიტ მონვეული ლექტორი ტეხასის უნივერსიტეტში, სან-ანტონიო, ტექსასი (შვერთებული შტატები). 2005 წლიდან სოციალურ მეცნიერებათა სფეროში აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან და პეტერზურგის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. 2010 - 2017 იყო აღმასრულებელი დირექტორი კერძო ფონდისა „Menschenwürde Weltweit“, Neuss, დიუსელდორფი, (გერმანია). 2011-წლიდან დღემდე არის მონვეული პროფესორი მიუნსტერის უნივერსიტეტში, (გერმანია), სადაც სხვადასხვა დროს მიჰყავდა ეთიკის კურსი და იყო ბიოეთიკის ცენტრის უფროსი მეცნიერი. 2016-დღემდე ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის უფროსი ლექტორია (გერმანია). 2017-დღემდე არის მკვლევარი ჩრდილოეთ არიზონას უნივერსიტეტში, Flagstaff, არიზონა (შვერთებული შტატები). აქტიურად თანამშრომლობს დასავლეთ ევროპისა და აშშ ბევრ უნივერსიტეტთან. არის ოქსფორდის უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი (დიდი ბრიტანეთი).



2016 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ქართულ უნივერსიტეტებთან. არის მონვეული პროფესორი ტექნიკურ უნივერსიტეტში (თბილისი, საქართველო). 2016-დღემდე მონვეული პროფესორი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (საქართველო).

2019-დან არის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (საქართველო).

<https://www.uni-muenster.de/KFG-Normenbegrueundung/en/jhardy.html>

ეთიკური რეზოლუციის გაგება UNDERSTANDING ETHICAL REASONING

1. შესავალი: მორალური პოზიცია და ადამიანური მდგომარეობა

როდესაც ჩვენ გაცნობიერებულად (deliberately) ვახორციელებთ მორალურ ქმედებას, რომელსაც თვითმიზნური ხა-

სიათი გააჩნია, ჩვენ ვახდენთ მორალურ პოზიციონირებას. მორალური პოზიცია არის პირის უნარი და სტაბილური მოტივაცია საზოგადო სიკეთეთა აღიარებისა, მორალურ მოთხოვნათა მიღებისა და სხვა პირთა ბედნიერების მასტიმულირებელი (conducive) ინტერესების პატივისცემისა. მორალური ქმედებებისთვის ადამიანებს სხვადასხვა მამოტივირებელი მიზეზი გააჩნიათ, როგორიცაა მაგალითად დაინტერესება წარმატებულ ეკონომიკურ თანამშრომლობაში, სოციალური აღიარების მისწრაფება, რელიგიური რწმენა, ალტრუიზმი. თუმცაღა თვითმიზნურ მორალურ ქმედებებს მხოლოდ მაშინ ვახორციელებთ, თუკი დავიკავებთ მორალური პოზიცია.

მორალურ პოზიციონირებას სამი ასპექტი აქვს:

(i) მორალური პოზიციის დაკავებით, ჩვენ ვზღუდავთ საკუთარ ინტერესს. ასეთი მორალური აგენტები არიან შემძლე, რომ იქონიონ მეორე რიგის ნებელობა (volitions). მორალური პოზიციონირება მოიცავს პრაქტიკული რეფლექსიის პარტიკულარულ უნარს. პრაქტიკული რეფლექსიის გზით ჩვენ ვაფორმირებთ ინტენციებს, რომლებიც შედგებიან რწმენისა და მისწრაფებისგან. მაშასადამე პრაქტიკული რეფლექსია წარმოადგენს ორივეს – კოგნიტიურ და ნებელობით უნარს; რამეთუ განზრახვას რწმენის გარეშე არ ექნებოდა ჭეშმარიტებად მიჩნეული შინაარსი for an intention without a belief would lack propositional content), ხოლო განზრახვა მისწრაფების გარეშე – ნაკლული მამოტივირებელი ძალით.¹

(ii) მორალურ აგენტებად ჩვენ ვაღიარებთ საზოგადო სიკეთეებს, რომელთა დაცვა წარმოადგენს მორალური ქმედებების მიზანს.

(iii) მორალური გამოცდილებები ქმნის სპეციალურ მორალურ სიახლოვეს იმ პირთა შორის, რაც არის ინტერმედიული, ინტერ-პერსონალური, ემოციური პოზიცია კონტრაქტუალურ ვალდებულებებსა და კერძო სიახლოვეს (მეგობრობა, სიყვარული) შორის. მორალური აგენტები ერთმანეთს განიხილავენ არა უბრალოდ ხელშემკვრელ მხარეებად, რომლებიც ხელშეკრულების გარკვეულ პირობებზე თანხმდებიან, არამედ მათ ამავედროულად გააჩნიათ გარკვეული დამოკიდებულება

1. პრაქტიკული რეფლექსიის შესახებ ამ თეზისს ვხსნი Hardy-ში 2011, გვ. 344-352.

ერთმანეთის მიმართ, როგორიცაა რესენტიმენტი, მადლიერება, პატივისცემა ან მორალური აღშფოთება (indignation).¹ მორალურობა ადამიანთა ერთმანეთთან შეხვედრის (encountering) მოდუსია. ჩვენთვის, როგორც მორალური აგენტებისთვის, საერთოა მისწრაფება პატივისცემის, სოლიდარობის, გულწრფელობისა და ნდობის საერთო გამოცდილებათა მიმართ.

კაცთა მოდგმა მიისწრაფვის ბედნიერებისკენ და ყოველი ჩვენი ბედნიერების მასტიმულირებელი განზრახი (deliberate) აქტივობა სასიამოვნოა და შესაბამისად შინაგანად სასურველი.² ეს დაშვება *conditio humana*-ს (ადამიანის მდგომარეობის) თაობაზე, რომელიც მე სადაოდ არ მეჩვენება, მნიშვნელოვანი საზრისის მატარებელია მორალურობის გასაგებად. ბედნიერებისაკენ მისწრაფების გათვალისწინებით, ჩვენ მორალური პოზიციის შენეარჩუნება შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, თუ მორალური ქმედება (agency) სასიამოვნო და ბუნებრივად სასურველია, სხვა შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია მთელი სიცოცხლის მანძილზე შევინარჩუნოთ მორალური პოზიციონირება. არსებობს ნაირნაირი სახის სიამოვნება. მორალურობის სიამოვნებაა ის, რასაც შეგვიძლია მოდალური სიამოვნება ვუწოდო.

2. მორალური მოთხოვნები

მორალურ მოთხოვნებს გააჩნიათ ოთხი გადამწყვეტი თვისება:

(i) მორალური მოთხოვნები მიზნად ისახავენ საზოგადო სიკეთეების დაცვას, როგორიცაა სხეულის მთლიანობა და ავტონომია. ამ მიზეზით, ეთიკური მოთხოვნის არგუმენტაცია უნდა ეყრდნობოდეს ზოგად, შეფასებით დაშვებებს, რომლებზეც იდეალურ შემთხვევაში (ideally) შეიძლება შეთანხმდეს თითოეული პირი. მას მერე, რაც მორალური მოთხოვნის აქცეპტირება გამოხატავს პირის ნებას, ზოგადი შეფასებითი დაშვებები ეთიკური არგუმენტაციისა – რომელსაც ასევე შეგვიძლია ეთიკური პრინციპები ვუწოდოთ – გვევლინებიან საერთო შეთანხმებად.

1. Cf. იხ. პეტერ სტრავსონის ახსნა იმისა, რასაც ის უწოდებს „რეაქტიულ დამოკიდებულებებს“ (სტრავსონი 1962).

2. მე ვიზიარებ ანტიკური ევდემონიზმის და გარკვეულწილად მოდერნული უტილიტარიზმის ამ დაშვებას, მაგრამ ადამიანური მდგომარეობის ჩემული ხედვა არ განეკუთვნება რომელიმე პარტიკულარულ თეორიას. აუდი 2017, კვანტი 2003, ზიპი 2004 და შტემერი 2000 გვანვდიან ძირითადი მათემატიკური საკითხების ბრწყინვალე განხილვას.

(ii) მორალური მოთხოვნები *ევიდენტურია*: ის რაც ჩვენ ერთმანეთის გვმართებს, ცხადი რამეა, ვინაიდან ყველა ვიცნობთ საზოგადო სიკეთეებს, რომელთა დაცვაც არის მორალურ მოთხოვნათა მიზანი. მორალურობა არის, როგორც კანტი ამბობს, გონების ფაქტის საკითხი („ein Faktum der Vernunft“). მაშასადამე, ჩვენ არ გვესაჭიროება კომპლექსური და სააღბათო (fallible) რეფლექსია მორალური მოთხოვნების შინაარსის გასაგებად. მაგრამ ჩვენ გვჭირდება კომპლექსური რეფლექსია პარტიკულარული ეთიკური პრობლემების გამოსავლის საპოვნელად.

(iii) მორალის მოთხოვნები *უნვერსალურია*: ისინი ნარჩუნდება თითოეული პირისა და ქმედებისთვის ნებისმიერ სიტუაციაში – მიუხედავად ინდივიდუალური პირის პარტიკულარული მახასიათებლებისგან.

(iv) მორალური მოთხოვნები *კატეგორიულია* (ან შესაბამისად უპირობო). მორალური ქმედებები არ არის დამოკიდებული პარტიკულარულ პირობებზე და ისინი უპირველესად არ გახლავთ რაიმეს მიღწევის საშუალება, არამედ მიზანი თავისთავად. ეს მართალია; ჩვენ ძალიან ხშირად ვახორციელებთ მორალურ ქმედებებს, რომლებიც თვითმიზნურია, აგრეთვე სიციალური სიკეთის მიზნით, ვინაიდან ჩვენ ვესწრაფით სოციალურ აღიარებას და გვსურს სირცხვილისა და სასჯელის თავიდან არიდება. თუმცა ჩვენ დავიკავებთ რა მორალური პოზიცია ჩავდივართ მორალურ ქმედებებს თვითმიზნურად, ვინაიდან მათ შეაქვთ თავიანთი წვლილი ბედნიერებისაკენ ჩვენს მისწრაფებაში.

წიაღსვლები მორალური მოთხოვნების ამ ასპექტებში სრულ თანხმობაშია ერთმანეთთან. ავხსნათ: თუ ჩვენ ვაღიარებთ მორალურ ქმედებებს თვითმიზნურად, მაშინ ჩვენ ვიცავთ მორალურ კანონებს, რომელთა მიზანია საზოგადო სიკეთეთა დაცვა. ყველა ადამიანი თანასწორია ბედნიერების ძიებაში; ჩვენ ყველას გვაქვს კარგი ცხოვრების წარმართვის სურვილი. და ჩვენი საერთო ბუნების ნაწილია ერთნაირი *მოწყვლადობა*. ვიცით, რომ ჩვენ ყველას გვახასიათებს მსგავსი მოწყვლადი თვისებები, ვაცნობიერებთ რა იმ ფაქტს, რომ მორალური კანონები შექმნილია ადამიანის მოდგმის მოწყვლადი თვისებების დასაცავად, გვესმის, რომ მორალური კანონები უნივერსალური უნდა იყოს. ტკივილმა შეიძლება ყველა დატანჯოს და სურვილით კი ეს არავის სურს. ეს არის ის, რაც ჩვენ

1. კანტი: პრაქტიკული გონების კრიტიკა 5:31.

ყველამ ვიცით. მაშასადამე, თუკი ჩვენ ვაღიარებთ ინდივიდუალური პირის მოთხოვნას, ზიანის მიუყენებლობაზე, ვინაიდან განვიხილავთ ამ მოთხოვნას *მორალურ მოთხოვნად*, მაშინ ჩვენ მას თითოეულის მოთხოვნად ვაღიარებთ. თუ მე დარწმუნებული ვარ რომ ადამიანისთვის ტკივილის მიუყენებლობა მორალურად სწორია, მე ყველა სხვისაგანაც ველი, რომ ასე იფიქროს. უბრალოდ ის იდეაც კი, რომ მორალურად მოქცევის ვალდებულება მხოლოდ ჩემთვის, ან ადამიანთა პარტიკულარული ჯგუფისთვის შეიძლება არსებობდეს – აზრს მოკლებულია. მას მერე, რაც ვაცნობიერებთ, იმ ფაქტს, რომ მორალური კანონები შექმნილია საერთო (*common*) სიკეთეთა დასაცავად, ჩვენ ვიცით, რომ მორალური კანონები უპირობო უნდა იყოს. თუ ჩვენ სხვა ადამიანების ბედნიერების მასტიმულირებელ ინტერესებს სერიოზულად ვცემთ პატივს, ჩვენ ვისურვებთ ამის გაკეთებას *ნებისმიერ* შესაძლო პირობებში – მაშინაც კი, თუ ზოჯერ შეიძლება არ გამოგვივიდეს მორალურად სწორი ქმედებების განხორციელება დაუდევრობის გამო. აზრს მოკლებული იქნებოდა მორალური მოთხოვნების მიღება და მორალური ქმედებების განხორციელება მხოლოდ როგორც გარკვეული პარტიკულარული მიზნის მისაღწევ საშუალებათა, რომელთა მიღწევაც სხვა ვითარებაში არ მოგვინდებოდა. საერთო სიკეთეთა დაცვა – კანტიანურად თუ ვიტყვით – მიზანს საკუთარ თავში ატარებს. როდესაც გვსურს საერთო სიკეთეთა დაცვა, მაშინ მორალურ მოთხოვნებს განვიხილავთ, როგორც უნივერსალურსა და უპირობოს.

არსებობს შესაძლო შეწინააღმდეგება კატეგორიული მორალური მოთხოვნის მიმართ: წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომელშიც ვიღაც ტკივილს აყენებს მეკვლელს იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს მას დაუცველ ადამიანებზე თავდასხმისგან. ამ სახის ქმედებები უეჭველია, რომ მორალურად გამართლებულია. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც პირს უხდება თვალი გაუსწოროს მორალურ ნორმათა კონფლიქტს, მაშინ მას უწევს გარკვეული მორალური კანონის დარღვევა და ამათუიშ სიკეთის შელახვა უფრო მაღალი სიკეთის დასაცავად. მორალური კონფლიქტების ფაქტი გვიჩვენებს, ამ კონფლიქტების გადასაჭრელად ჩვენ გესაჭიროება თანხმობა სიკეთეთა იერარქიაზე, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება იმ დაშვებას, რომ მორალური მოთხოვნები კატეგორიულია (ან შესაბამისად უპირობო).

3. მორალური მოტივაციის ორი პარადოქსი

არსებობს მორალური მოტივაციის ორი პარადოქსი. პირველი გახლავთ უნივერსალური ნების პარადოქსი. ის ჭეშმარიტია; ინდივიდუალური პირები იღებენ გადაწყვეტილებას მოქმედების სასარგებლოდ. ჩვენ მორალურად მივიჩნევთ მათ ქმედებებს იმ შემთხვევაში, თუკი მათი ნყაროა ნება, რომელიც ერთნაირია ყველა ადამიანში. ეს არის კანტის კატეგორიული იმპერატივის იდეა: ჩვენ განვიხილავთ საკუთარ მორალურ ნებელობას (moral wanting) ისე, თითქოს იგი ყოფილიყოს არა უბრალოდ ჩვენი ინდივიდუალური ნება, არამედ უნივერსალური – კანტის სიტყვებით: „იმოქმედე მხოლოდ იმ მაქსიმის შესაბამისად, რომლის შემთხვევაშიც შენ შეგიძლია ამავდროულად ისურვო, რომ ის იქცეს უნივერსალურ კანონად.“¹ მეორე პარადოქსი შეეხება ნებელობით აუცილებლობას.² არ არსებობს აუცილებლობა ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღებასა და მოქმედებაში. როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას, ყოველთვის შეგვიძლია (მინიმუმ ორ) ალტერნატიულ შესაძლებლობას შორის არჩევა. ახლა განვიხილავთ გადაწყვეტილებებს მორალური ქმედების სასარგებლოდ ისე, თითქოს არ გვქონდეს სხვაგვარად მოქცევის არჩევანი. ეს არის მოვალეობის (Pflicht) იდეა. მოვალეობებია ის, რაც მხედველობაში გვაქვს, იმ ქმედებებზე საუბრისას, რაც უნდა გავაკეთოთ. მოვალეობა არის თვით-შემმოჭავი და იგი ქმნის კვაზი-აუცილებლობას.

4. საერთო სიკეთები და ადამიანობის ცნობიერება (Awareness for Humanity)

საერთო სიკეთეთა ცალკეულ ინსტანციებს (ინსტანცებს) მოწყვლადი თვისებები გააჩნიათ, რომელთა დაცვაც არის მორალურ მოთხოვნათა საქმე. ესა თუ ის თვისება მოწყვლადია, ვინაიდან შეიძლება მისი ხელყოფა ან განადგურებაც კი, და ჩვენ ამ თვისებას მოწყვლადად განვიხილავთ იმიტომ, რომ მისი დაცვა გვწადია. ადამიანთა მოდგმას სხვადასხვა საერთო სიკეთე გააჩნია, რომელთაც ეთიკური არგუმენტის ზოგადი

1. კანტი: ზნეობის მეტაფიზიკის საფუძვლები, გვ. 421.

2. ნებელობით აუცილებლობაზე, Cf. ფრანკფურტი 1999.

შეფასებითი წანამძღვარი მიემართება, როგორცაა ადამიანის ღირსება, სოციალური სამართლიანობა, საერთო სარგებელი. მე ვიზიარებ ღირებულებით პლურალიზმს, მაგრამ ვუშვებ, რომ არსებობს ერთი უმაღლესი საერთო სიკეთე ყველა ადამიანური არსებისთვის: ადამიანის ღირსება, რომელიც მოიცავს, უპირველეს ყოვლისა – სხეულებრივ ხელშეუხებლობას და პიროვნულ ავტონომიას. თუ ეს მართალია, ჩვენ ყველას შეგვიძლია შევთანხმდეთ იმ დაშვებაზე, რომ ჩვენ ყოველთვის უნდა დავიცვათ და გვსურს, რომ დავიცვათ ღირსების ეს ელემენტები – მიუხედავად ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, ენის, სქესის, რელიგიის ან პოლიტიკური შეხედულებების. ადამიანის ღირსების უმაღლესი ღირებულების გააზრება (insight) არის მამოტივირებელი მიზეზი მორალური ვალდებულებისა: ჩვენ ვიცით, რომ თითოეული შეიძლება დაიტანჯოს ფიზიკური ტკივილისგან და დაკარგოს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი, და ჩვენ არ გვსურს, რომ ვინმეს დაემართოს ერთი ან მეორე. მოდით ვუწოდოთ ამ გააზრებას *ადამიანობის ცნობიერება*.

ადამიანობის ცნობიერება არის ორივე – გარკვეული სახის ცოდნა (ან შესაბამისად გაგება), და ემპათია. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რას ნიშნავს, როცა გტკენენ ან რას ნიშნავს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის დაკარგვა. ეს გამოცდილებები საერთოა – ჩვენ უბრალოდ ვერ განვიცდით მათ, თუ არა სხვა პირებთან ერთად. ჩვენთვის ეს გამოცდილებები საერთოა, იმდენად რამდენადაც ადამიანები ვართ. ემპათია უზრუნველყოფს ადამიანობის ცნობიერებას ნებელობითი და მამოტივირებელი ძალით. მაგრამ არ არსებობს უნივერსალური ემპათია, და მხოლოდ პროპოზიციონალურ დამოკიდებულებათა განზოგადებაა შესაძლებელი. მასასადამე, ადამიანობის ცნობიერება მოითხოვს ემპათიასა და გაგებას – *ადამიანური მდგომარეობის* გაგებას. მას მერე რაც გავაცნობიერებთ ფიზიკური მთლიანობისა (integrity) და ავტონომიურობის უმაღლეს ღირებულებას, დანამდვილებით გვეცოდინება, რომ არავისთვის გვინდა ვნების მიყენება.¹

1. თანამედროვე დასავლურ სამოქალაქო საზოგადოებებში, ადამიანის ღირსებისა და ავტონომიის პატივისცემა არის ხანგრძლივი პოლიტიკური პროცესის შედეგი, რომელმაც მიგვიყვანა ადამიანის უფლებების, როგორც საერთო სიკეთეების ფორმულირებასთან და ერების ფორმირებასთან, რომელთაც გააჩნიათ ადამიანის უფლებათა დამცავი სამართლებრივი ინსტიტუტები. არ-

ლუდვიგ ზიპი წარმოადგენს ეთიკას რომელშიც ცენტრალური სიკეთეა *მთლიანობაში კარგი მსოფლიო* (overall good world). მისი არგუმენტაციით, გარკვეული სიკეთეების ცოდნა თავისთავად განაპირობებს ჩვენს მოტივირებას იმ მოქმედებისკენ, რომლის მიზანიცაა ამა თუ იმ სიკეთის დაცვა. მისწრაფება სიკეთის დაცვისა არ ითხოვს აგენტის რაიმე სხვა პარტიკულარულ ინტერესს:

„ჩემი თეზისია, რომ სიკეთეში ანდა მდგომარეობის პოზიტიურ ღირებულებაში გათვითცნობიერებას, მაშინაც როდესაც ეს უკანასკნელი რამენაირ მიმართებაში არ იმყოფება მოქმედის სხვა სურვილთან [...], მასში უშუალოდ შეუძლია ამ მდგომარეობის შენარჩუნების ანდა მიღწევის განზრახვის გამოწვევა. გასაგებია, რომ მიზეზთა ეთიკურ წესრიგში უმაღლესი წონა მათზე მოდის, რომლებიც ვრცელ სიკეთეს მიემართებიან. იმას, რომ „კარგი მთლიანი“ უნდა იყოს, შეუძლია იმდენადვე იყოს მოქმედების მამოტივირებელი, როგორც სხვებისადმი მოვალეობის რწმენას. ამ სიკეთეთა კონკრეტიზირებას მივყავართ შეფასებებამდე და შეფასებით აღწერებამდე, რომლებსაც ასევე შეუძლიათ იყონ მოქმედებისკენ მამოტივირებელნი, როგორც ყველაფერს, რაც ჩვენ როგორც ღირებული ისე გამოვცადეთ [...]”.¹

ვეთანხმები, თუმცა ასეთ მიმართულებას მივცემდი: ვინაიდან მორალური მდგომარეობა შეიცავს ორივეს – გაგებასა და ემპათიას, მორალური გათვითცნობიერების ის სახე, რომელსაც გააჩნია საკმარისად ძლიერი მამოტივირებელი ძალა არის აღიარება და მიღება (საერთო) სიკეთის. სიკეთის მიღება გულისხმობს გაცნობიერებას, რომ ესა თუ ის მოწყვლადი და ღირებული რამ ფაქტიურად არის სიკეთე იმ განზრახვით, რომ დაიცვას ასეთი სიკეთე თვითმიზნურად – მიუხედავად სხვა პარტიკულარული ინტერესისა, რომელიც მავანს ასევე შეი-

სებობდნენ და არსებობენ საზოგადოებები რომლებიც არ იცნობენ ღირსებისა და ადამიანთა უფლებების იდეებს, როგორც საერთო სიკეთეს. თუმცა ის რასაც მე ვუწოდებ ადამიანობის ცნობიერებას, როგორც ჩანს არის შეუქცევადი მორალური გაგება (insight); მას მეერე რაც ადამიანები მიდიან ღირსებისა და ავტონომიის აღიარებამდე საერთო სიკეთედ, ისინი აღარ დათმობენ ამ გაგებას. Cf. ლუდვიგ ზიპი: ადამიანის ღირსების ისტორიულობასა და შეუქცევადობაზე. გამოუქვეყნებელი ხელნაწერი.

1. ზიპი, 2004, გვ. 88-93.

ძლება ჰქონდეს ამათუ იმ სიკეთის დასაცავად. ჩვენ უბრალოდ არ გვექნებოდა რწმენა, რომ რაიმე არის სიკეთე მისი დაცვის განზრახვის გარეშე. სხვა სიტყვებით: სიკეთის მიღება გახლავთ მამოტივირებელი რწმენა.¹

5. ღირსების სამი სახე და ავტონომიის არგუმენტი

როგორც ვთქვე, ადამიანობის ცნობიერება გულისხმობს ადამიანის ღირსების აღიარებასა და მიღებას, როგორც უმაღლესი სიკეთის. მოდით ერთმანეთისგან გავარჩიოთ სამი სახის ღირსება. ადამიანის ღირსება არის

(1) სამართლებრივი სტატუსი; ღირსების დაცვა არის გარანტია ადამიანის უფლებათა დაცვის, როგორც არის მოცემული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლში, ისევე, როგორც გერმანიის კონსტიტუციის პირველ მუხლში.

(2) მორალური სტატუსი, რომელსაც მორალური აგენტები მიაწერენ ერთმანეთს მორალური მოთხოვნების მიღებისას.

(3) ინდივიდუალური პირის თვით-მიმართება.

5.1 ღირსება როგორც სამართლებრივი სტატუსი

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, და შესაბამისად გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 217-ე A რეზოლუცია აცხადებს:

მუხლი 1 ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2 ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა წმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობის.

მუხლი 3 ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

გერმანიის კონსტიტუციის პირველი მუხლი ადგენს:

1. Cf. ჰარდი 2011, გვ. 344-352.

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. მისი პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს მთელი სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობას.

ამიტომ გერმანელი ხალხი აღიარებს ხელშეუხებელ და განუსხვისებელ ადამიანის უფლებებს, ყოველი ადამიანური საზოგადოების, მსოფლიოში მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძვლად.

შემდეგი ძირითადი უფლებები ბოჭავენ კანონმდებლობას, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი.

გერმანიის კონსტიტუციის პირველი მუხლი ერთად კრავს ადამიანის ღირსებასა და ადამიანის უფლებათა დაცვას. ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებათა ნაკრების სამართლებრივი სტატუსი ტოლფარდოვანია (coextensive). ადამიანის ღირსების დაცვა მოიცავს ადამიანის სხვადასხვა პარტიკულარული უფლების დაცვას. თუმცაღა, გამართლებულია ადამიანის ღირსების ექსპლიციტური გამოყოფა, როგორც ერთი უმაღლესი სიკეთის, ვინაიდან ეს სამართლებრივი სტატუსი უზრუნველყოფს ადამიანის ღირსებაში ადამიანის ყველა უფლების შეყვანას, და ეს ასევე იძლევა საშუალებას სხვა სიკეთეთა და კავშირში მყოფი უფლებების ინკლუზიისა ღირსების ცნებაში. თომას გუტმანი ხსნის ადამიანის ღირსების სამართლებრივ სტატუსს, როგორც აბსოლუტური შეზღუდვის: „ღირსების პრინციპი (ძირითადი კანონის მუხლი 1. აბზ. 1) აღწერს ადამიანების, როგორც სამართლებრივი პირების ორმხრივი აღიარების ფუნდამენტს. მისი პირველადი ფუნქცია შემზღუდავია, როგორც იმის დეონტოლოგიურად გაგებული საზღვრის, თუ რა შეიძლება სამართლებრივ პირებს შეეხოთ. ღირსების პრინციპი არ არის საგანი და არც შედეგი სხვადასხვა სიკეთეთა ანონ-დანონვისა.“¹

1. Gutmann 2014, p. 62. Blömacher 2016 provides a comprehensive study of the interpretation of the statement on human dignity in Art. 1 Abs. 1 GG, its application in the German law, the interpretation of the idea of human dignity in the Council of Europe, and the application of the idea of human dignity by the European Court of Justice (EuGH). Schaber 2012 and Sandkühler 2014 explore the political, juridical and philosophical dimensions of the concept of human dignity and its history. Sandkühler proposes a convincing defence of the absolute status of dignity (cf. my review of his book in: *Zeitschrift für Menschenrechte* 2015). For a discussion of the status and function of the idea of dignity in applied ethics cf. Borchers 2007. Many facets of human dignity are illuminated in the *Cambridge Companion on Dignity*, edited by Jens Braarvig/Roger

5.2 ღირსება, როგორც მორალური სტატუსი და ცხოვრების წესი

ღირსების, როგორც მორალური სტატუსის მიღება, სოციალური პრაქტიკაა, რომელიც აუცილებლად არ არის დამოკიდებული სამართლებრივ წესებზე. კანტი ბრწყინვალედ ახმოვანებს ღირსების იდეას, როგორც უმაღლესი მორალური ღირებულების მქონესი, ამ უკანასკნელის ფორმულირებაში კატეგორიული იმპერატივის შესახებ. როგორც უკვე ციტირებულია, პირველი ფორმულირება კატეგორიული იმპერატივისა ამბობს:

„იმოქმედე მხოლოდ იმ მაქსიმის შესაბამისად, რომლის შემთხვევაშიც შენ შეგიძლია ამავედროულად ისურვო, რომ ის იქცეს უნივერსალურ კანონად.“¹ კანტი შემდგომ აგრძელებს კატეგორიული იმპერატივის, როგორც ადამიანობისა და ღირსების პატივისცემის ახსნას:

„პრაქტიკული [კატეგორიული, ი. ჰ.] იმპერატივი იქნება შემდეგი: მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა, როგორც შენი, ისე ყოველი სხვა პირის სახით, შენთვის მუდამ იყოს ამავედროულად მიზანი, და არასოდეს – მხოლოდ საშუალება. პრაქტიკული აუცილებლობა, ამ პრინციპის მიხედვით მოქმედებისა, ე.ი. მოვალეობა, სულაც არ ეფუძნება გრძნობებს, მისწრაფებებსა და მიდრეკილებებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გონიერი არსებების ურთიერთმიმართებას, რაშიც ერთი გონიერი არსების ნება ამავედროულად განხილული უნდა იყოს, როგორც კანონმდებლის ნება. მაშასადამე, გონება ნების მაქსიმას მიმართავს, როგორც საყოველთაო კანონმდებელს ყოველ სხვა ნებაზე, აგრეთვე საკუთარი თავისადმი ყოველ ქმედებაზე, და ეს არა რაიმე სხვა პრაქტიკული მოტივის გამო, არამედ გონიერი არსების ღირსების იდეიდან გამომდინარე, რომელიც არც ერთ კანონს არ ემორჩილება, გარდა იმისა, რომელსაც ამავედროულად საკუთარ თავს თვითონ უწესებს. მიზანთა სამეფოში ყველაფერს გააჩნია ან ფასი ან ღირსება. რასაც ფასი აქვს მის ადგილას შეიძლება სხვა რამე როგორც ექვივალენტი დადგინდეს; ხოლო რაც ყოველგვარ ფასზე აღამტებულია, მას გააჩნია ღირსება. მაშ, მორალურობა არის პირობა, რომლის ქვეშაც მხოლოდ გონიერი არსებას შეუძლია იყოს მიზანი თავისთავად.

Brownsword/Marcus Düwell/Dietmar Mieth, 2014.

1. Kant: Grundlegung zur Metaphysik der Sitten, p. 421.

მაშასადამე ზნეობრიობა და ადამიანობა, იმდენად რამდენადაც ამის უნარი შესწევს, ის, ერთადერთი რასაც ღირსება გააჩნია.¹

კანტის (ერთი და მხოლოდ მისი) კატეგორიული იმპერატივი ამბობს, რომ ყოველმა პირმა სხვა პირი უნდა მიიღოს არა როგორც მხოლოდ საშუალება, არამედ როგორც მიზანი თავისთავად. ღირსების პატივისცემა არის გონებისა და სოციალური პრაქტიკის შემეცნება (insight). მიზანთა სამეფო („das Reich der Zwecke“) შეიძლება აიგოს მხოლოდ მორალურობის საფუძველზე. ღირსებას არ გააჩნია, ფასი, არც ექვივალენტი. როდესაც ბაზარზე პროდუქტი გაგვაქვს, კარგი საფასურის მიღება გვსურს. ჩვენ ვანარმოებთ ბიზნესს პროდუქტზე ვილაცასთან, თუ – ჩვენ ვიღებთ ექვივალენტს იმის სანაცვლოდ რასაც გავიღებთ. მაგრამ ამის საპირისპიროდ, ღირსების პატივისცემა არ არის დამოკიდებული ექვივალენტის მიღებაზე და მაშასადამე – კანტის თვალსაზრისით – არ არის დამოკიდებული პირის რაიმე პარტიკულარულ ინტერესზე. თუკი ჩვენ მივყევით მაქსიმას, რომელიც უნდა გახდეს უნივერსალური კანონი და მივიღებთ ყოველ პირს, როგორც მიზანს თავისთავად, მაშინ ჩვენ ვახდენთ უნივერსალური, უპირობო მორალური მოთხოვნების აქცეპტირებას. თუკი თვითმმართველი ნება (der gesetzgebende Wille) დამოუკიდებელია პირის პარტიკულარული ინტერესისგან, მაშინ იგი არის ნებელობითი მეორადი ნესრიგის უნარი (volitional second order capability).²

პიტერ ბიერი ნათელს ჰფენს ღირსებას, როგორც ცხოვრების ნებს (Lebensform), რომელიც მოიცავს იმას, რასაც იგი უწოდებს მორალურ მთლიანობას:

ჩვენ გამოცდილებაში გვეძლევა [ღირსება, როგორც ცხოვრების ფორმა] როგორც სოციალურ არსებებს, იმად, რაც ისინი არიან, აგრეთვე სხვადასხვა ხერხით იქცევიან, როგორც სხვებს ეპყრობიან (Wir erleben [Würde als eine Lebensform, JH] als soziale Wesen, die das, was sie sind, auch durch die Art und Weise werden, wie sie andere behandeln). მორალური ინტიმურობა ამ თვალსაზრისით არის ღირსების წყარო: იმით, რომ მე სხვებს მათი მოთხოვნილებებით

1. Kant: Grundlegung zur Metaphysik der Sitten, pp. 429-435. Audi 2015 provides an excellent

interpretation of this formulation of the categorical imperative, which has come to be known as the humanity formula.

2. I explain this thesis about the Kantian theory of practical reason in Hardy 2011, pp. 413-417.

ვცემ პატივს და ჩემს ქმედებას იმის მივმართავ ამის მიხედვით, ვიძენ ღირსების იმ ფორმას, რომელსაც მორალური ღირსება შეიძლება ეწოდოს. [...] ის გახლავთ მორალური მთლიანობის განსაკუთრებული ფორმა: ისეთი, რომელის შემთხვევაშიც არა სხვების რაიმე ინტერესებზეა საუბარი, არამედ მოთხოვნილებებზე, რომლებიც არსობრივად მათ ღირსებას შეეხება: მოთხოვნილება დამოუკიდებლობის, ნამდვილი მიღების Begegnungen, დაცული ინტიმურობისა და გაგების, სარწმუნოებისა და თვითპატივისცემის.¹

5.3. ღირსება, როგორც პერსონალური ავტონომია

ღირსება, როგორც თვით-რელაცია არის პიროვნული ავტონომიის უნარი; ავტონომიური პირი არის მისი საკუთარი ღირსებისა და მენტალური ავტონომიის დაცვის უნარის მქონე. სოციალური ავტონომია არის პირის უნარი საკუთარ თავზე კონტროლის განხორციელების და სამართლებრივი და მორალური უფლებების წამოყენების, მაშინ როდესაც მენტალური ავტონომია – უპირველეს ყოვლისა არის – თვით გამორკვევა და საკუთარი თავის მართვა. სოციალური ავტონომია მოითხოვს კანონისმიერ დაცვას (სამართლებრივი სისტემის მეშვეობით), წვდომას ელემენტარულ სიკეთეებზე, როგორიცაა წყალი, საკვები, ჯანდაცვა და განათლება, მინიმალური შემოსავალი, იძულებისა და მანიპულაციის გამორიცხვას, და – ბოლო მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი – პრივატულობას.²

მენტალური ავტონომია (gedankliche Selbstbestimmung) არის პირის შესაძლებლობა ნათლად გაიგოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს თავის მენტალურ მდგომარეობებს. ავტონომიური პირი არის შემძლე ისე უხელმძღვანელოს საკუთარ შეხედულებებს, მოსწრაფებებსა და განზრახვებს, რომ რომ მისდიოს მის ზოგად უმაღლეს მიზანს, როგორიცაა კვლევის წარმოება, სახლის მშენებლობა, თავის ოჯახზე ზრუნვა და სხვა. ყველა ჩვენი ცალკეული განზრახვი ქმედებით ჩვენ ვესწრაფვით ძირითადი, უმაღლესი მიზნების მიღწევას. ჩვენ გვესაჭიროება ასეთი მიზნების ქონა, რათა ავირჩიოთ ალტერნატიულ ქმედებებს

1. Bieri 2013, pp. 269-270.

2. „Die Würde eines Menschen hat [...] viel damit zu tun, daß er auf die Grenzen seines intimen Raums achtet und den inneren Bezirk seines Denkens und Fühlens nicht bedenkenlos für jedermann öffnet“ (Bieri 2013, p. 186)

შორის და მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილებები. გენერალური მიზანი არის ის მიზანი, რომლისკენაც მივისწრაფვით რიგი მსგავსი სახის მოქმედებების მეშვეობით. თუ მე ყოველ დილით 5 კილომეტრს დავრბივარ, მე ვისახავ გენერალურ, უმაღლეს მიზნად ჯანმრთელობის შენარჩუნებას. სხვა შეიძლება იგივეს დილაობით აკეთებდეს, იმიტომ რომ მარათონისთვის ემზადება, რაც საბოლოოდ ემსახურება მის მთავარ მიზანს – გამოსცადოს საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების საზღვრები. უმაღლესი მიზანი ის მიზანია, რომელსაც ენიჭება პრიორიტეტი სხვებთან შედარებით. თუ გადავწყვეტ გავიღო ფული ქველმოქმედებისთვის, რომლის დახარჯვა შემდეგ მსოფლიოს ირგვლივ სამოგზაუროდ, მაშინ მე სხვების დახმარებას ვანიჭებ პრიორიტეტს ახალი ქვეყნების და მათი კულტურის გაცნობასთან შედარებით. თუ მსურს ფილოსოფიური წიგნის დანერა, პრიორიტეტს ფილოსოფიურ არგუმენტებზე ფიქრს ვანიჭებ, სხვა კოგნიტიურ აქტივობებთან შედარებით, როგორიცაა მაგალითად რომანის დანერა ან ვერდოს ოპერების კომპოზიციის შესწავლა – რაც შემდეგ გამეკეთებინა ამ გრძელვადიან პერიოდში. თუ ჩვენ გვინევს არჩევანის გაკეთება ორ ან მეტ ალტერნატიულ ქმედებას შორის, მაშინ ვირჩევთ იმას, რომელიც ემსახურება გენერალურ, უმაღლეს მიზანს. ჩვენ ვინყებთ ასეთი მიზნებისკენ სწრაფვას, მას მერე რაც გვეცოდინება, თუ რისი გაკეთება გვსურს და აღმოვაჩენთ ნებას რომელიც გვინდა რომ გვქონდეს. სხვა სიტყვებით: ჩვენ მივესწრაფვით გენერალურ, უმაღლეს მიზნებს თვითგამორკვევის მეშვეობით.

თვითგამორკვევა თავისთავად არის გენერალური მიზანი. მოდით გავმიჯნოთ მატერიალური მიზნები მოდალური მიზნებისგან. თუ ჩვენ ვესწრაფვით მატერიალურ მიზანს, გვსურს გარკვეული მდგომარეობის შექმნა სამყაროში, როგორიცაა წერილის დანერა, სახლის აშენება ან აფრების გაშლა. თუ ჩვენ მივისწრაფვით მოდალური მიზნისკენ, ჩვენ გვსურს რაიმე გარკვეული გზით. მოდალური მიზნისკენ სწრაფვისას, ჩვენ ვცდილობთ შესაძლებლობის (ან უნარის) პრაქტიცირებას და წარმატებული მოქმედებები იძლევა მოდალურ სიამოვნებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს, თითქოს ყოველთვის ვისწრაფით ორივესკენ – მატერიალური და მოდალური მიზნებისკენ ერთი და იმავე მოქმედებით, მაინც მიზანშეწონილია, რომ გავარჩიოთ

მიზნის ეს ორი სახე. მართალია, რომ ადამანები ესწრაფვიან სხვადასხვა მატერიალურ მიზანს. თუმცაღა, თვითდეტერმინაციის წარმატებული პრაქტიკა არის ის მოდალური მიზანი, რომელსაც თითოეული მიესწრაფვის, ვინაიდან ჩვენ მატერიალური მიზნების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუკი დანამდვილებით ვიცით, რისი გაკეთება გვსურს და დაგვგაჩნია ნება, რომელიც გვინდა რომ გაგვაჩნდეს.

თვითდეტერმინაცია მოიცავს თვითშეფასებას, რაც გვაძლევს ჩვენი სპონტანური რწმენებისა და მისწრაფებების დადასტურების ან უარყოფის საშუალებას. არსებობს სამი საბაზისო თვით მიმართება: ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ ან უარვყოთ სპონტანური რწმენა, მისწრაფება ან განზრახვა, და ჩვენ ასევე შეგვიძლია გვექონდეს ამბივალენტური დამოკიდებულება სპონტანური რწმენის ან მისწრაფების მიმართ. მაგალითად, მე შეიძლება ვიფიქრო ჩემი ნავით ნაოსნობაზე ჰამბურგიდან დასავლეთით ნიუ იორკისკენ 2018 წლის ზაფხულში. ასეთი გეგმა საჭიროებს ფრთხილ გააზრებას. შესაბამისად, მე ვაანალიზებ ასეთი მოგზაურობის დადებით და უარყოფით მხარეებს და ვაფასებ ჩემს განზრახვას მეორე რიგის ნებელობის ფორმირების (second order volitions) გზით. თუ მივალ დასკვნამდე, რომ მართლა მინდა მოგზაურობის მოწყობა, მაშინ მე ვადასტურებ ამის გაკეთების მანამდე, სპონტანურ განზრახვას გამეკეთებინა ეს. ხოლო თუ მივალ იმ დასკვნამდე რომ არ მინდა მოგზაურობის მოწყობა, მაშინ მე უარვყოფ ჩემს მანამდე განზრახვას და ხელს ავიღებ მასზე. ორივე შემთხვევაში როდესაც ვეუბნები „კის“ ან „არას“ ჩემს ადრინდელ, სპონტანურ განზრახვას, ბოლოსდაბოლოს ვიღებ ნათელ, ექსპლიციტურ განზრახვას, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ბაზისის როლი რაციონალური გადაწყვეტილებისთვის. მე ვიღებ რაციონალურ გადაწყვეტილებას, თუ ფრთხილად გავიაზრე ყველა რელევანტური და შესაძლო მიზეზი, რომლებიც არგუმენტირებენ მოქმედების სასარგებლოდ ან მის საწინააღმდეგოდ. ჩვენ ამ მენტალურ მდგომარეობებს ვეხმადურებით და ვეუბნებით, რომ ვართ დარწმუნებულნი და დანამდვილებით ვიცით, რომ გვსურს ამის და ამის გაკეთება. იქამდე სანამ ჩვენ გადაუწყვეტელნი ვართ – ვყოყმანობთ ორ (ან მეტ) ვარიანტს შორის – ჩვენ ვართ ამბივალენტურნი გარკვეულ, სპონტანურ რწმენასა ან მისწრაფებასთან მიმართებაში,

და ამბივალენტურობა საფრთხეს უქმნის ჩვენს ავტონომიას. როგორც ავტონომიური აგენტები, ჩვენ ვართ შემძლე შევაფასოთ ჩვენი სპონტანური მენტალური მდგომარეობები რათა მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილებები. ჩვენ გვესაჭიროება სოციალური და მენტალური ავტონომია, რათა დავიცვათ ჩვენი საკუთარი ღირსება. სავსებით ჩვეულებრივი ამბავია, რომ ჩვენ გვესაჭიროება სოციალური ავტონომია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია – მენტალური ავტონომია, ვინაიდან მენტალურ ავტონომიას შეუძლია დაგვიცვას მანიპულაციისგან და ეპისტემიური დამოკიდებულების ნეგატიური ასპექტებისგან.

მორალური მოთხოვნების აქცეპტირება გახლავთ აუცილებელი პირობა ავტონომიისკენ ჩვენი მისწრაფებისა და ამდენად მორალური მდგომარეობა ჩაშენებულია ბედნიერებისკენ ჩვენს რეფლექსიურ სწრაფვაში. აქ არის ამ მოთხოვნის არგუმენტი (ნება მიბოძეთ მას ავტონომიიდან მომდინარე არგუმენტი ვუნოდო): ბედნიერებისკენ ჩვენს რეფლექსიურ სწრაფვაში ჩენ მიზნად ვისახავთ საუკეთესო პირობების შექმნას ჩვენი საკუთარი (სოციალური და მენტალური) ავტონომიისთვის. თუ ჩვენ მიზნად ვისახავთ საუკეთესო პირობების შექმნას ჩვენი საკუთარი ავტონომიისთვის, მაშინ ჩვენ ინტერაქციაში შევდივართ სხვა ადამიანებთან ისეთი ფორმით, რომ ჩვენ ვახდენთ მათი ავტონომიის სტიმულირებას. თუ ჩვენ ასეთი ფორმით ვურთიერთებდებით სხვა ადამიანებთან, ჩვენ ვიკავებთ მორალურ პოზიციას. სხვა სიტყვებით: ჩვენ ვართ შემძლე მოვახდინოთ ერთმანეთის ავტონომიის სტიმულირება თუ (და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ) ჩვენ ვიცავთ ერთმანეთის მონყვლადობას (protect each other's vulnerability) და პატივს ვცემთ ერთმანეთის ბედნიერების ხელშემწყობ ინტერესებს. მაშასადამე ჩვენი ბედნიერების რეფლექსიურ მისწრაფებაში ვიკავებთ მორალურ პოზიციას.¹

1. I explain my argument from autonomy in Hardy 2011, pp. 407-430, Hardy 2017 and Hardy (forthcoming): *Würde und Autonomie*. With my assumption about the happiness-conducive function of the moral stance I follow the Socratic argument in Plato's *Republic* (cf. Hardy 2011, pp. 251-281). I also endorse, in principle, Korsgaard 2009. Korsgaard argues that a person's work of self-constitution and creating a practical identity implies the commitment to moral laws. Ancient philosophers from Socrates to the Stoics argue that the commitment to morality is an essential element of a good life (*eudaimonia*). Kant seems to hold a similar view – despite of his criticism of Ancient eudaimonism, cf. Weidemann 2001. For the various forms of Ancient eudaimonism cf. Hardy/Rudebusch 2014.

6. ეთიკური არგუმენტაციის სტრუქტურა

მიზეზები წარმოადგენენ არგუმენტების ნანამძღვრებს. არგუმენტებს ნორმატიული, ეთიკური დანასკვებით გააჩნიათ ორივე შეფასებითი და დესკრიფციული ნანამძღვრები, რომლებიც საერთო სიკეთეებს და მორალურ ქმედებებს მიემართებიან. როდესაც ჩვენ ვდავობთ ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვთანხმდებით გენერალურ შეფასებით ნანამძღვრებზე, რომლებიც გამოსატყვევებ დაშვებებს საერთო სიკეთეების შესახებ, რომელთა ცალკეულ ინსტანციებს გააჩნიათ გარკვეული მოწყვლადი თვისებები $\{V1, ..., Vn\}$. მაგალითად, ადამიანის სხეულის მოწყვლადი თვისებაა ის ფაქტი, რომ ის შეიძლება იტანჯოს ტკივილისგან. პირის გონება შეიძლება დაექვემდებაროს მანიპულაციას. შესაძლებელია პირის ღირსების შელახვა. ესენია ის მოწყვლადი თვისებები, რომლებსაც ეთიკური არგუმენტები ტიპიურად მიემართებიან. უფრო რომ დავაზუსტოთ: როდესაც ჩვენ ვდავობთ ეთიკური მოთხოვნიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა (ი) გავაკეთოთ გენერალური შეფასებითი დაშვებები საერთო სიკეთეების შესახებ, რომელთა დაცვაც გვსურს, რომელთა თაობაზეც ყველა აგენტს იდეალურ შემთხვევაში შეუძლია შთანხმდეს, (იი) მთავარი და პარტიკულარული დესკრიფციული დაშვებები საერთო სიკეთის მოცემული პარტიკულარული ინსტანციის მოწყვლადი თვისებების თაობაზე, (იიი) მთავარი და პარტიკულარული დაშვებები, რომლებიც ამტკიცებს რომ გარკვეული A ქმედება (ან შესაბამისად A -ს სახის ქმედებები) რაც საჭიროა და ადექვატური საერთო სიკეთის პარტიკულარული ინსტანციის მოწყვლადი თვისებების დასაცავად. მორალური ქმედება A ადექვატურია თუ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგენტი არის A -ს განხორციელების პოზიციაში და A -ს განხორციელება არ აზიანებს მის საკუთარ კეთილდღეობას.

ეთიკური მოთხოვნის არგუმენტები იღებენ ასეთ ძირითად ფორმას:

(1) (საერთო სიკეთე CG^1 , მორალური აგენტი, მოწყვლადი თვისება V^2): თუ აბსტრაქტული არსობა (entity) CG არის საერთო

1. Comon Good-ის აღსანიშნად ავტორის მიერ გამოყენებული აბრივიატურა (მთარგმნ. შენიშვნა).

2. vulnerable property-ს აღსანიშნად ავტორის მიერ გამოყენებული აბრივიატურა (მთარგმნ. შენიშვნა)

სიკეთე და თუ (ლოგიკურად) საერთო სიკეთის CG პარტიკულარული ინსტანციას, რომელიც არის ყოველი ინდივიდუალური პირი, გააჩნია მოწყვლადი თვისება V, მაშინ თითოეულ მორალურ აგენტს, რომელიც არის ყოველი პირი, ვინც დაიკავა მორალური პოზიცია, სურს ნებისმიერი სხვა პირის მოწყვლადი თვისების V დაცვა. (ამ დაშვების წინარე პირობები (*antecedens*) შეიცავს როგორც შეფასებით ისე დესკრიპციულ განაცხადს).

(2) (საერთო სიკეთე CG` მოწყვლადი თვისება V): არსობა CG არის არის საერთო სიკეთე და ყოველ ინდივიდუალურ პირს გააჩნია მოწყვლადი თვისება V.

(3) (მორალური აგენტი, მოწყვლადი თვისება V): მაშასადამე ყოველ მორალურ აგენტს სურს დაიცვას ყველას მოწყვლადი თვისება V.

(4) (მორალური აგენტი, მოქმედება A^1 , მოწყვლადი თვისება V): თუ თითოეულ მორალურ აგენტს, სურს დაიცვას ყველს მოწყვლადი თვისება V და თუ A-ს სახის ქმედებების განხორციელებისას A აუცილებელი და ადექვატურია პირის მოწყვლადი თვისების V დასაცავად, მაშინ ყოველმა მორალურმა აგენტმა უნდა განახორციელოს A-ს სახის ქმედებები და უარი უნდა თქვას არა A-ს სახის ქმედებებზე.²

(5) (მორალური აგენტი, მოქმედება A): A-ს სახის მოქმედებების განხორციელება აუცილებელია და ადექვატური პირის მოწყვლადი თვისების დასაცავად.

დასკვნა: მაშასადამე ყოველი მორალური აგენტი უნდა ახორციელებდეს A-ს სახის ქმედებებს.³

აქ არის მაგალითი:

(1) თუ ადამიანის ღირსება საერთო სიკეთეა და თუ ყოველ ინდივიდუალურ პირს – როგორც საერთო სიკეთის ადამიანის ღირსების მატარებელ პარტიკულარულ ინსტანციას – გააჩნია მოწყ-

1. action-ის აღმნიშვნელი აბრივიატურა (მთარგმნ. შენიშვნა).

2. A person's action is adequate for the protection of another persons vulnerable property V, if performing this action does not impair the agent's own well-being.

3. An alternative approach to the logical analysis of ethical reasoning is deontic logic, but classical logic is, in my view, a sufficient instrument for an understanding of ethical reasoning. Hardy/Schamberger 2017 provide a theory of the calculus of natural deduction. On deontic logic in moral philosophy and the philosophy of law cf. Aqvist 2002, Carmo/Jones 2002, Lisanyuk 2014. For an alternative analysis of ethical reasoning cf. Bayertz/Kompa 2016.

ვლადი თვისება, რომელიც შეიძლება დაიტანჯოს სილატაკისგან, მაშინ ყოველ მორალურ აგენტს სურს ყველა მათგანის სამომავლო სილატაკისგან დაცვა, ვინც ამჟამად ცხოვრობს სილატაკეში.

(2) ადამიანის ღირსება არის საერთო სიკეთე და ყოველი ინდივიდუალური პირს შეიძლება მიადგეს ვნება სილატაკისგან.

(3) მაშასადამე ყოველ პირს სურს ყველას დაცვა, ვინც ამჟამად არის სილატაკეში, მომავალი სილატაკისგან.

(4) თუ ჩვენ ყველა მათგანის დაცვა გვსურს სილატაკისგან, ვინც ამჟამად იტანჯება მისგან, და თუ ჩვენი მთლიანი შემოსავლის **ხუთი პროცენტის** გაღება გლობალური ორგანიზაციების მისამართით, რომლებიც სარწმუნოდ და ეფექტიანად ეხმარებიან ადამიანებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სილატაკეში, არის საჭირო და ადექვატური ამ ადამიანთა მომავალსილატაკისგან დასაცავად, მაშინ ჩვენ მოვალენი ვართ გავიღოთ ჩვენი მთლიანი შემოსავლის ხუთი პროცენტი გლობალური ორგანიზაციებისთვის, რომლებიც სარწმუნოდ და ეფექტიანად ეხმარებიან ადამიანებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სილატაკეში.

(5) ხუთი პროცენტის გაღება ჩვენი მთლიანი შემოსავლიდან გლობალური ორგანიზაციებისთვის, რომლებიც სარწმუნოდ და ეფექტიანად ეხმარებიან ადამიანებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სილატაკეში, არის აუცილებელი და ადექვატური (საკმარისიც კი) ამ ადამიანთა მომავალი სილატაკისგან დასაცავად.

დასკვნა: მაშასადამე ჩვენ მოვალენი ვართ გავიღოთ ხუთი პროცენტი ჩვენი მთლიანი შემოსავლის გლობალური ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც სარწმუნოდ და ეფექტიანად ეხმარებიან ადამიანებს, რომლებიც ახლა ცხოვრობენ სილატაკეში.

ნიშანდობლივია, რომ ამ სახის არგუმენტები არ ნეიტრალიზდებიან ე.წ. ნატურალისტური ფალსიფიკირების მეშვეობით უარყოფით, გამომდინარე იქიდან, რომ დაშვებები შეიცავს დანასკვის მთლიან შეფასებით ინფორმაციას.

აქ მე მხოლოდ ვეხები პირებს, მაგრამ ზემოთ თქმული ძირითადი ეთიკური არგუმენტები შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვა არსებებსაც, როგორიცაა ცხოველები და თვით მცენარეებიც კი, თუ ჩვენ შევიყვანთ ამ არა-პიროვნულ არსებებს მორალური სიკეთეების ცნებაში.¹

თარგმნილია ქეთევან რჩეულიშვილის მიერ.

1. An important desideratum of current meta-ethics is to formulate moral rules, which can be implemented into the algorithms of autonomous systems of artificial intelligence, cf. Kuiper 2016.

References

Aqvist, Lennart 2002: Deontic logic, in: Dov M. Gabbay/F. Guentner (eds.), *The Handbook of Philosophical Logic*, volume 8, second edition, Dordrecht.

Audi, Robert 2007: *Moral Value and Human Diversity*, Oxford.

Audi, Robert 2015: *Means, Ends, and Persons: The Meaning and Psychological Dimensions of Kant's Humanity Formula*, Oxford.

Bayertz, Kurt/Kompa, Nikola 2016: Moralisches Argumentieren, in: Johann Ach/Michael Quante/Ludwig Siep (Hg.), *Grundkurs Ethik. Band I: Grundlagen*, Münster.

Bieri, Peter 2013: *Eine Art zu leben: Über die Vielfalt menschlicher Würde*, München.

Blömacher, Sabine 2016: *Die Menschenwürde als Prinzip des deutschen und europäischen Rechts. Kohärenz der Konzepte?* (Schriften zum Öffentlichen Recht, Band 1327), Berlin.

Borchers, Dagmar 2007: Menschenwürde in der Angewandten Ethik: verzichtbar und unverzichtbar. Ein Versuch, die These von der Verzichtbarkeit des Menschenwürdebegriffs in den Debatten der Angewandten Ethik vor möglichen Missverständnissen in Schutz zu nehmen, in: Hans Jörg Sandkühler (Hg.), *Menschenwürde. Philosophische, theologische und juristische Analysen*, Frankfurt am Main.

Braavig, Jens et al. (eds.): *Cambridge Handbook of Human Dignity: Interdisciplinary Perspectives*, Cambridge 2014.

Carmo, José /Jones, Andrew 2002: Deontic Logic and Contrary-to-Duties, in: Dov M.

Gabbay/F. Guentner (eds.), *The Handbook of Philosophical Logic*, volume 8, second edition, Dordrecht.

Frankfurt, Harry 1999: *Necessity, Volition, and Love*, Cambridge.

Gutmann, Thomas 2014: Struktur und Funktion der Menschenwürde als Rechtsbegriff, in:

Angewandte Philosophie. Eine Internationale Zeitschrift/Applied Philosophy. An International Journal 2014, pp. 49-74.

Hardy, Jörg 2011: *Jenseits der Täuschungen – Selbsterkenntnis und Selbstbestimmung mit Sokrates*, Göttingen.

Hardy, Jörg 2017: Würde und gedankliche Selbstbestimmung, in: *Angewandte Philosophie. Eine Internationale Zeitschrift/Applied Philosophy. An International Journal* 2017.

Hardy, Jörg/Schamberger, Christoph 2017: *Logik der Philosophie. Eine Einführung in die Logik und Argumentationstheorie*, zweite Aufl., Göttingen.

Hardy, Jörg/Rudebusch, George (eds.) 2014: *Ancient Ethics*. Göttingen.

Kant, Immanuel: *Grundlegung zur Metaphysik der Sitten*, in: *Gesammelte Schriften*, Akademie-Textausgabe, Bd. 4, Berlin.

Kant, Immanuel: *Kritik der praktischen Vernunft*, in: *Gesammelte Schriften*, Akademie-Textausgabe, Bd. 5, Berlin.

Korsgaard, Christine 2009: *Self-Constitution. Agency, Identity, and Integrity*, Oxford.

Kuiper, Benjamin 2016: Human-like Morality and Ethics for Robots, in: *Proceedings of the*

Association for the Advancement of Artificial Intelligence, Ann Arbor, Michigan.

Lisanyuk, Elena 2014: Three faces of deontic logic in law, in: *Simpósio Intenacional de Filosofia del Derecho 'Racionalidad en el Derecho' 5-7 Mayo 2014*, Buenos Aires Facultad de Derecho (UBA).

Quante, Michael 2003: *Einführung in die Allgemeine Ethik*, Darmstadt.

Rawls, John 1971: *Theory of Justice*. Cambridge, MA.

Rudebusch, George 2002: *Socrates, Pleasure, and Value*, second edition, Oxford.

Sandkühler, Hans Jörg 2014: *Menschenwürde und Menschenrechte. Über die Verletzbarkeit und den Schutz der Menschen*, Freiburg, München.

Schaber, Peter 2012: *Menschenwürde* (Grundwissen Philosophie), Stuttgart.

Siep, Ludwig 2004: *Konkrete Ethik. Grundlagen der Natur- und Kulturethik*, Frankfurt am Main.

Stemmer, Peter 2000: *Handeln zugunsten anderer. Eine moralphilosophische Untersuchung*. Berlin.

Strawson, Peter F. 1962: Freedom and Resentment, in: *Proceedings of the British Academy* 48, pp. 187-211.

Weidemann, Herman 2001: Kants Kritik am Eudaimonismus und die Platonische Ethik, in: *Kant-Studien* 2001 (92), pp. 19-37.



დავით ხვედელიანი

*შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის დოქტორი, პროფესორი*

DEVI KHVEDELIANI

*Shota Meskhia Zugdidi state Teaching University
Doctor of Law, Professor*

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, როგორც ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი

რეზიუმე: აზარტული თამაშების ბიზნესი საქართველოში იზრდება წლიდან-წლამდე. მისი რეკლამირება ხორციელდება ყველა შესაძლო საშუალებებით და წლიური ბრუნვა ამჟამად აღემატება ხუთ მილიარდ ლარს. ამის მიუხედავად საქართველოს, რომელიც არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები, თუ ადამიანების რა რაოდენობაა დაავადებული ლუდომანიით. ასევე არ არსებობს სარეაბილიტაციო ცენტრები აღნიშნული სენის მკურნალობისათვის. არც სამართლებრივი სისტემა იძლევა დაცვის მექანიზმს, რომელიც შეზღუდვად ლუდომანს და ამით დაიცავდა მასაც და მის ოჯახსაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლში შევიდეს დამატება და სრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძვლად განისაზღვროს ასევე ლუდომანია. ვინაიდან შეზღუდულქმედუნარიანი პირი, რომელსაც დაენიშნება მზრუნველი, ვერ განკარგავს (ანუ ვერ დადებს გარიგებებს) მისი თანხმობის გარეშე თავის შემოსავალს, შესაბამისად ვერც ითამა-

შეზღუდვებს. ამით გაჩნდება ოჯახის და თვით ლუდომანის გადარჩენის სამართლებრივი შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: ქმედუნარიანობა, აზარტული თამაში, ლუდომანია, სასამართლო.

ADDICTION TO THE GAMBLING GAMES AS THE GROUND FOR RESTRICTION THE INDIVIDUAL FREE ACTION

***Resume:** Business of gambling games grows in Georgia from year to year; it is advertised with all possible means and annual turnover for now is more than five billion Gel. Despite this, Georgia, which is a member of the World Health Organization, has no statistical data about what number of people is suffering from addiction to the gambling. Also, there are no rehabilitation centers for treatment of this disease. Not even legal system provides some protection mechanism, which would restrict the addictive people and protect their families.*

With taking into consideration the above-mentioned issue, it is possible to be determined in the Article 16 of Civil Code of Georgia, the issue of addiction to the gambling games as the ground of restriction of the action of an adult person. Because a person with a limited capacity, who will have a guardian, will not be able to manage (e. i. will not be able to make deals) his/her income without agreement of his/her guardian, he/she will not be able to play gambling games. In this way it will become legally possible to survive an addictive person and his/her family.

Key words: Capacity, Gambling game, addiction to the gambling games, court.

ადამიანის სამართლებრივი სტატუსი საზოგადოებაში განისაზღვრება მისი უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით. ვინაიდან უფლებაუნარიანობის შეზღუდვა დაუშვებელია, წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძვლებს.

ქმედუნარიანობა არის უნარი საკუთარი ნებელობითი მოქმედებებით შეიძინო უფლებები და იკისრო მოვალეობები (Kropsheri 2014, 30). ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან

გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პირთა ქმედუნარიანობა, წარმოადგენს ასაკი და ჯანმრთელობა (*ჭანტურია 2011, 179*). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (მუხლი მე-12) ქმედუნარიანობა იწყება სრულწლოვანების მიღწევისთანავე ანუ 18 წლის ასაკიდან. ქვეყნების უმრავლესობაში ქმედუნარიანობა ასევე იწყება 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ასაკობრივი ზღვარი უფრო მაღალია (19 წელი ავსტრია, 20 წელი შვეიცარია, 18-21 წელი აშშ). ინგლისი - 18 წლამდე ქმედუნარიანობა დამოკიდებულია არა ასაკზე, არამედ გარიგებათა სახეებზე. დასაშვებია გარიგებების დადება, როდესაც არასრულწლოვანი გონივრულ ფასად იძენს პირველადი მოხმარების საგნებს. ბათილია გარიგებები, რომელთა საგანიც არის სესხი, მიწის ნაკვეთი, აქციები, ამხანაგობაში მონაწილეობა (<http://isfic.info/foretor/graztor13.htm> 2018).

სრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა გავლენას ახდენს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკული ნივთიერების მიღება. ბოროტად გამოყენების მაკვალიფიცირებელი ნიშანი ის არის, რომ პირი „ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს“. მძიმე მატერიალურ მდგომარეობას იწვევს ის ფაქტი, რომ სრულწლოვანი პირი თავის შემოსავლებს იყენებს არამიზნობრივად ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების შესაძენად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს ოჯახის არსებობისათვის აუცილებელი სახსრების გაფლანგვას, რაც ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენებად კვალიფიცირდება. ამიტომაცაა, რომ მას ქმედუნარიანობა ეზღუდება მხოლოდ იმ ურთიერთობებში, რაც დაკავშირებულია აღნიშნული შემოსავლების განკარგავსასთან. კერძოდ, 16 | 2 მუხლის თანახმად, „იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით.“ ამ შეზღუდვას აქვს პრევენციული მნიშვნელობა, ვინაიდან სრულწლოვანი პირი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად ისეთი გარიგების დადებას, რაც შეიძლება მისი ოჯახისათვის აღმოჩნდეს ზიანის მომტანი (*ზოიძე 2017, 88*).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე და 1277-ე მუხლების თანახმად, სრულწლოვან პირს ასევე შეიძლება

შეზღუდოს ქმედუნარიანობა მისივე თხოვნით, როდესაც ის არ არის არც ნარკომანი და არც ალკოჰოლიკი, თუმცა პირადი და ქონებრივი უფლებების განსახორციელებლად და დასაცავად მას სჭირდება მზრუნველი. ასეთ შემთხვევაშიც სრულწლოვან პირს ქმედუნარიანობას უზღუდავს სასამართლო, რის შემდეგაც მას ენიშნება მზრუნველი.

როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების სამართალი ითვალისწინებს ქმედუნარიანობის შეზღუდვას სასამართლოს მიერ მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში. გარიგებით ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაუშვებელია, თუნდაც ორივე მხარე ამაზე თანახმა იყოს (სსკ მუხლი 13). მიუხედავად იმისა, რომ კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლინება კერძო სამართლის ფუნდამენტია, გარიგებით არ დაიშვება ქმედუნარიანობის შეზღუდვა. ისეთი გარიგება, რომლითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იზღუდება ქმედუნარიანობა, ბათილია და სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს (*ჭანტურია 2011, 183*).

მნიშვნელოვანი სხვაობა სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში სასამართლოს არ შეუძლია შეზღუდოს ქმედუნარიანობა იმ სრულწლოვან პირს, რომელიც არის მატერიალური სახსრების მფლანგველი და ეს დაკავშირებულია იგრომანიასთან. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, სრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა დასაშვებია არა მხოლოდ ფსიქიკური მდგომარეობის გამო, არამედ მაშინაც, როდესაც ის ფლანგავს მატერიალურ საშუალებებს და ამით საფრთხეში აყენებს თავის თავს და ოჯახის კეთილდღეობას. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, სრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობა შესაძლებელია შეზღუდულ იქნას იგრომანიის, ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის გამო, თუ ის ამით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ოჯახს.

ლუდომანია გულისხმობს პირის ავადმყოფურ ლტოლვას აზარტული თამაშებისადმი. აღნიშნული დაავადება და ტერმინი შეტანილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაავადებათა ჩამონათვალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკატორით ლუდომანია აღინიშნება კოდით F 63.0. აღნიშნული

დაავადებით შეპყრობილი პირისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მოიგებს, თუ წააგებს თამაშის შედეგად, მისთვის მთავარია ითამაშოს. ამდენად თავისი შედეგებით ლუდომანია ისეთივე საშიში და დამანგრეველი დაავადებაა, როგორც ნარკომანია და ალკოჰოლიზმი. მით უფრო საშიში ეს დაავადება არის ლუდომანის ოჯახისათვის, რომელიც ასეთი პირის თამაშის შედეგად სრულიად უქონელი შეიძლება დარჩეს.

აშშ-ს ასოციაციამ, რომელიც სპეციალიზირდება აზარტული თამაშების პრობლემებზე, ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი საშუალო სტატისტიკური ადამიანი შეიძლება გახდეს კრიმინალი 6%-ში, ალკოჰოლიკი – 34%-ში, ნარკომანი – 32%-ში, ხოლო ლუდომანი 48%-ში 100-დან (<http://stgkrf.ru/30/2018>). აღსანიშნავია, რომ აზარტული თამაშების ბიზნესი საქართველოში იზრდება წლიდან-წლამდე, მისი რეკლამირება ხორციელდება ყველა შესაძლო საშუალებებით და წლიური ბრუნვა ამჟამად აღემატება ხუთ მილიარდ ლარს. ამის მიუხედავად საქართველოს, რომელიც არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები, თუ ადამიანების რა რაოდენობაა დაავადებული ლუდომანიით. ასევე არ არსებობს სარეაბილიტაციო ცენტრები აღნიშნული სენის მკურნალობისათვის. არც სამართლებრივი სისტემა იძლევა დაცვის მექანიზმს, რომელიც შეზღუდავდა ლუდომანს და ამით დაიცავდა მასაც და მის ოჯახსაც. ზუსტად აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლში შევიდეს დამატება და სრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძვლად განისაზღვროს ასევე ლუდომანია. ვინაიდან შეზღუდულქმედუნარიანი პირი, რომელსაც დაენიშნება მზრუნველი, ვერ განკარგავს (ანუ ვერ დადებს გარიგებებს) მისი თანხმობის გარეშე თავის შემოსავალს, შესაბამისად ვერც ითამაშებს. ამით გაჩნდება ოჯახის და თვით ლუდომანის გადარჩენის სამართლებრივი შესაძლებლობა. ამდენად ლუდომანისათვის ქმედუნარიანობის შეზღუდვა შინაარსობრივად გაუთანაბრდება შეზღუდულ „გარიგებაუნარიანობას“. „გარიგებაუნარიანობა“ ტერმინის სახით არ არის ცნობილი ჩვენი სამოქალაქო კოდექსისათვის, თუმცა თავისი შინაარსით ის მოიცავს როგორც გარიგებების, ისე მოქმედებების შესრულების უნარს, რაც განსხვავებულია მაგალითად

გერმანიის სამართალში (*კერესელიძე 2009, 115*). უნდა ითქვას ისიც, რომ ლუდომანის ქმედუნარიანობის შეზღუდვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ორი გარემოების კუმულაციის დროს, როგორც ეს გათვალისწინებულია ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის შემთხვევაში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს დაუდგინდება აზარტული თამაშებისადმი ლტოლვა და ამასთანავე აღნიშნულით ის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენებს (აყენებს) ოჯახს. ის, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ლუდომანი ოჯახს დამოკიდებულია კონკრეტული ოჯახის და ფაქტის შეფასების შედეგზე.

ქმედუნარიანობის შეზღუდვის საკითხი არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ საპროცესო სამართლებრივი საკითხიც არის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საკითხი განიხილება იურიდიული ფაქტის დადგენის ჩრილში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363⁸-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმე ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ შეიძლება მოითხოვონ მისმა ოჯახის წევრებმა ან მეურვეობის და მზრუნველობის ორგანომ. განცხადება შეიტანება ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (*ქურდაძე, ხუნაშვილი 2015, 492*). ანალოგიური დანაწესი შეიძლება დადგინდეს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირებთან მიმართებაში. მტკიცებულებებად ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ კატეგორიის მტკიცებულებები, რაც გათვალისწინებულია პირის ალკოჰოლის ან ნარკომანიის გამო ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის სათაური და შინაარსი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის, ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუნესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, დამოკიდებულია აზარტულ თამაშებზე და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების

განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმება“.

როგორც წარმოდგენილი რედაქციიდან ჩანს წვრილმანი გარიგებების დადების ნაწულში, რომლითაც ასეთ პირს შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი ყოველდღიური მოთხოვნილებები, ის შეზღუდული არ იქნება. მნიშვნელოვანია იმის თქმაც, რომ წარმოდგენილი კანონის მიღება არ უკავშირდება საბიუჯეტო ხარჯებს და ამდენად მისი მიღებისათვის ფინანსური საკითხი დაბრკოლებას არ წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ლუდომანი გამოჯანმრთელდება, ქმედუნარიანობა აღუდგება კვლავ სასამართლოს მიერ და მზრუნველობა მოეხსნება.

გამოყენებული ლიტერატურა და ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ბოლო რედაქციით;
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ბოლო რედაქციით;
3. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, ბოლო რედაქციით;
4. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, ბოლო რედაქციით;
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, იან კროპჰოლერი, 2014 წ;
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, ბ.ზოიძე 2017 წ;
7. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 წ;
8. ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011 წ;
9. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, 2015 წ;
10. <http://stgkrf.ru/30/> 2018 w; 11. <http://isfic.info/foretor/graztor13.htm> 2018.



ნუზარ სარია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

NUGZAR SARIA

*Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi
Doctor of law, Associate Professor*

ქირითადი უფლებების ეროზია

EROSION OF THE BASIC HUMAN RIGHTS

Resume: *The modern world is unthinkable without a constitutional order, which is rightly perceived as one of the most important social values. Its main problem is basic human rights. Therefore, the regulation of relations between a person and the state, maintaining a balance between power and freedom is the main task of the law. The restriction of fundamental human rights must comply with the legitimate aim and must also be proportionate to it. Particularly common is the restriction of fundamental human rights associated with the commission of a crime, during which there are certain risks in the state system regarding the unlawful restriction of human rights. At the same time, there are radical changes in the field of security in the world. On the agenda is the question: security or freedom. Especially this problem has become aggravated after the terrorist acts in several countries of Europe and the USA. In response, civilized countries have passed restrictive laws. There was a danger of restriction of freedom. Legal state is obliged to*

fully respect the freedom recognized by the constitution and to ensure appropriate security. For this it is necessary to maintain a balance between power and freedom.

Keywords: *Constitutional order, fundamental human rights, restriction of basic rights, security or freedom, preventive state.*

რეზიუმე: თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია კონსტიტუციური წესწყობილების გარეშე, რომელიც სამართლიანად აღიქმება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ ფასეულობად. მისი უმთავრესი საკითხი კი ადამიანის ძირითადი უფლებებია. აქედან გამომდინარე, ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის რეგულირება, ხელისუფლებასა და თავისუფლებას შორის წონასწორობის შენარჩუნება სამართლის უპირველესი ამოცანაა. ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება. ასევე აუცილებლად უნდა იყოს ამ საჭიროების, ანუ მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი (პროპორციული). განსაკუთრებით ხშირია დაცულ სფეროში ჩარევა ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, რა დროსაც სახელმწიფო სისტემაში არსებობს გარკვეული რისკები ადამიანის ძირითადი უფლებების არალეგიტიმურ შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამავ დროს, მსოფლიოში შეიმჩნევა რადიკალური ცვლილებები უსაფრთხოებასთან მიმართებაში. დღის წესრიგში დგას საკითხი: უსაფრთხოება თუ თავისუფლება. განსაკუთრებით ეს საკითხი გამწვავდა ამერიკისა და ევროპის რიგ ქვეყნებში ტერორისტული აქტების განხორციელების შემდეგ. საპასუხოდ ცივილიზებულმა ქვეყნებმა მიიღეს უფლებების შემზღუდავი კანონები. საფრთხის წინაშე დადგა თავისუფლება. სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია ბოლომდე დაიცვას კონსტიტუციით აღიარებული თავისუფლება და უზრუნველყოს სათანადო უსაფრთხოება. ამისათვის აუცილებელია წონასწორობის შენარჩუნება ხელისუფლებასა და თავისუფლებას შორის.

ამოსავალი სიტყვები: კონსტიტუციური წესწყობილება, ადამიანის ძირითადი უფლებები, ძირითადი უფლების შეზღუდვა, უსაფრთხოება თუ თავისუფლება, პრევენციული სახელმწიფო.

თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია კონსტიტუციური წესწყობილების გარეშე, რომელიც სამართლიანად აღიქმება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ ფასეულობად. „კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დარგი, იმ იურიდიულ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას, მოქალაქეთა უფლებამოსილებებს, ეროვნულ სახელმწიფო წესწყობილებას, სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, მათ ფუნქციებსა და ურთიერთქმედებას, განამტკიცებს სახელმწიფოს, ხალხისა და ერების სრულუფლებიანობას, მათ სუვერენიტეტს, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ საფუძველს, დემოკრატიზმის პრინციპებს“. /ოთარ მელქაძე, 2004, გვ. 22/. მაშასადამე, კონსტიტუციური წესწყობილება დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია. მისი უმთავრესი საკითხი კი ადამიანის ძირითადი უფლებებია. ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ძირითადი უფლებების მიმართება სამართლის ისეთ რეპრესიულ დარგთან, როგორიცაა სისხლის სამართალი და ხაზი გავუსვათ იმ გამოწვევებს, რის წინამეც შეიძლება საზოგადოება დადგეს.

ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის რეგულირება სამართლის უპირველესი ამოცანაა. „ისტორიულმა განვითარებამ ცხადყო, რომ ამ ურთიერთობებში სახელმწიფო, როგორც საზოგადოებაში არსებული ერთ-ერთი რეალური პოლიტიკური ძალა, ხშირად ხელყოფს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. სწორედ ამიტომ, ამგვარი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, კაცობრიობის განვითარების პროცესში შემუშავებულ იქნა სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, ფორმირებისა და ფუნქციონირების ხერხებისა და მეთოდების გარკვეული მოთხოვნები“ /ავტორთა კოლექტივი, თბ. 2005 წ. გვ.49/. კონსტიტუციონალიზმი, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრება, აყალიბებს ამ მოთხოვნებს, რომელთა შორის მთავარია წონასწორობის შენარჩუნება ხელისუფლებასა და თავისუფლებას შორის, „რამეთუ თავისუფლება მყარი, ქმედითუნარიანი სახელმწიფოებრიობის გარეშე ანარქიაში გადაიზრდება, ხოლო სახელმწიფო, რომელიც უარყოფს, უგულვებელყოფს, ხელყოფს მოქალაქეთა თავისუფლებას, გარდაიქმნება ანტიდემოკრატიულ, ტოტალიტარულ სახელმწიფოდ“ /ავტორთა კოლექტივი, თბ. 2005 წ. გვ.17/.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ხაზგასმულია,

რომ საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი. ხოლო კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. მართლაც, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია სახელმწიფოსა და ხალხის შეზღუდვა ძირითადი უფლებებით.

კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად დათმობილი აქვს ადამიანის ძირითად უფლებებს. ესენია: ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები, თანასწორობის უფლება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ადამიანის თავისუფლება, მიმოსვლის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები, აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები, საკუთრების უფლება, შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა, შეკრების თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, პოლიტიკური პარტიების თავისუფლება, საარჩევნო უფლება, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება, შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება, განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, გარემოს დაცვის უფლება, ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები, საპროცესო უფლებები /საქართველოს კონსტიტუცია/.

კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის

მიღწევასაც იგი ემსახურება. ცალკეულ მუხლებში მითიებულია კონკრეტული უფლებების შეზღუდვის შესახებ. მაგალითად, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით. შემდგომ პუნქტებში მითიებულია ამ შეზღუდვის თავისებურებებზე. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. ანალოგიური შეზღუდვებია ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით. ე.ი. სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ კანონის საფუძველზე შეზღუდოს კონკრეტული უფლებები.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში „სახელმწიფოს მოქმედება გამართლებულია მაშინ, როდესაც სახეზეა ძირითადი უფლების ზღვარი, ანუ მისი შემზღუდავი კანონი. მაგრამ ... აქ მოქმედებს ე.წ. თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის პრინციპი /ე.წ. ზღვრის ზღვარი/, რომელიც მოითხოვს, რომ ყოველი კანონი და მის საფუძველზე განხორციელებული ძირითადი უფლების შეზღუდვა, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს გამოწვეული მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით, ასევე აუცილებლად უნდა იყოს ამ საჭიროების, ანუ მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი /პროპორციული/. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევი ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად რადიკალური, ძირითადი უფლების ნაკლებად შემზღუდავი საშუალება. უფრო მკაცრი ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვაგვარად შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა და დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სიკეთის დაცვა,“ /ავტორთა კოლექტივი, 2005 წ. გვ. 95/.

კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციის მე-13-15, მე-17-19, 21-ე და 26-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებები. ეს არის უფლებების შეზღუდვის ზოგადი საფუძველი.

მაშასადამე, ძირითადი უფლებები დაცული სფეროა და სახელმწიფოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია ჩარევა. განსაკუთრებით ხშირია დაცულ სფეროში ჩარევა ჩადენილ დანაშაულთან ან დანაშაულის მომზადებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც უფლებათა შეზღუდვასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს /საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019 წლის რედაქციით/.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას.

ამავე კოდექსის მე-16 თავი ითვალისწინებს კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს სასამართლოს განჩინების საფუძველზე. 143¹ მუხლში ჩამოთვლილია ფარული საგამოძიებო მოქმედებები: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; ფარული ვიდეოჩანერა ან/და აუდიოჩანერა, ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პრინციპებია: ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად; მისი ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა; სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის (გამოძიებისთვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს/დაიწყოს მოსა-

მართლის განჩინების გარეშე, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით. პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამოძიებული მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. პირი, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია. კანონით დეტალურად არის რეგლამენტირებული ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

სსსკ-ის 147-ე მუხლის შესაბამისად მხარეს უფლება აქვს, აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუში სასამართლოს განჩინების საფუძველზე. სსსკ-ის 151-ე მუხლით სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

სსსკ-ის 160-ე მუხლის საფუძველზე ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლო-

ბით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ.

სსსკ-ის 171-ე მუხლი განმარტავს პირის დაკავების საფუძველს, რა დროსაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება დაკავების შესახებ. ხოლო პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე. მათ შორის პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების საფუძველებია:

ა) პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალება მის/მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ;

ბ) პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის დავალება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი წესით მიღებულია განცხადება ან შეტყობინება, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც აუცილებელია გამოძიების ჩატარება, მაგრამ არ არსებობს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, რაც საკმარისი იქნებოდა გამოძიების დასაწყებად.

ასეთ შემთხვევაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს;

გ) დადგენილება იმ პირის ძებნის შესახებ, რომელიც ემალება გამოძიებას, სასამართლოს ან თავს არიდებს სასჯელის მოხდას;

დ) პირის უგზო-უკვლოდ გაუჩინარება, ამოუცნობი გვამის ან უპატრონო ქონების აღმოჩენა;

ე) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნა-შეკითხვა;

ვ) საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციის ან უცხო ქვეყნის სამართალდაცვის ორგანოს თხოვნა-შეკითხვა სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად;

ზ) პატიმრობის კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის წერილობითი ბრძანება /საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 2019 წლის რედაქციით/.

მოკლე მიმოხილვიდან ირკვევა, რომ ძირითად უფლებათა შეზღუდვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დეტალურად არეგულირებს შეზღუდვის საფუძვლებს, ფარგლებს, სასამართლო კონტროლის მექანიზმს, რაც მინიმუმამდე ამცირებს უფლებათა შეზღუდვის არალეგიტიმურ მიზნებს. იგივეს ვერ ვიტყვით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, რაც ბუნებრივად აჩენს უფლებათა დაცვის სფეროში გარკვეულ რისკებს. ამას ემატება უახლესი ტექნიკური საშუალებების გამოყენების სიხშირე. კერძოდ, დღეს ყველა ქალაქში, ცენტრალურ გზებზე, საჯარო დაწესებულებებში, კერძო სტრუქტურებში განთავსებულია ვიდეოკამერები, მათ შორის ე.წ. ჭკვიანი კამერები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია პირთა იდენტიფიცირება. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები იძლევა შესაძლებლობას ვიცოდეთ პირის ადგილმდებარეობის, საუბრების შესახებ. ინტერნეტმონეობილობები გვაძლევს შესაძლებლობას მივიღოთ ნებისმიერი ინფორმაცია. საქმისწარმოება დაწესებულებათა დიდ ნაწილში ელექტრონულად ხდება.

როგორც ვხედავთ, პერსონალური ინფორმაციის დიდი ნაკადი ინახება ელექტრონულ საცავებში. ელექტრონული ინფორმაციის დაცვის გარანტია კი დღეს არ არსებობს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ძირითად გამოწვევებად სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავებაში სახელდება: ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებულ მონაცემთა არამიზნობრივი და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადამონმება, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე მოპოვება და გამჟღავნება, პრინციპის დარღვევით შენახვა, მონაცემთა სუბიექტის არაჯეროვანი ინფორმირება, ინსპექტორისთვის შეტყობინების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება. სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩანერასთან დაკავშირებული ერთი საქმე, დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. საგულისხმოა, რომ 2018 წელს, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობა.

მაშასადამე, სახელმწიფო სისტემაში არსებობს გარკვეული რისკები ადამიანის ძირითადი უფლებების არალეგიტიმურ შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მსოფლიოში შეიმჩნევა რადიკალური ცვლილებები უსაფრთხოებასთან მიმართებაში. დღის წესრიგში დგას საკითხი: უსაფრთხოება თუ თავისუფლება. განსაკუთრებით ეს საკითხი გამწვავდა ამერიკისა და ევროპის რიგ ქვეყნებში ტერორისტული აქტების განხორციელების შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზებულ სამყაროს გადაუარა ტერორიზმის გამანადგურებელმა ტალღამ. ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეენირა ამ უბედურებას. დადგა დრო, უსაფრთხოება ვალდაროთ მთავარ ღირებულებად, რა დროსაც ადგილი არ რჩება ძირითადი უფლებებისთვის, თავისუფლებისთვის. ეს არის დილემა, რის წინაშე დადგა კაცობრიობა.

ამ დილემის გადაჭრის მცდელობაა გერჰარტ ბაუმის წიგნი „იხსენით ძირითადი უფლებანი! მოქალაქეთა თავისუფლება თუ უსაფრთხოება.“ რამდენიმე სიტყვა ავტორის შესახებ. გერჰარტ რუდოლფ ბაუმი მიეკუთვნება გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გამორჩეულ ლიბერალებს, 1972 წლიდან

იყო საპარლამენტო სახელმწიფო მდივანი, 1978-1982 წლებში იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, 1978-1994 წლებში ბუნდესტაგის წევრი. 1992 წლიდან ჩართულია ადამიანთა უფლებების საერთაშორისო პოლიტიკაში.

ნიგნში აღწერილია გასული საუკუნის 70-იანი წლების გერმანია, როცა ქვეყანა ტერორმა მოიცვა. კლავდენ პოლიტიკოსებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს, მოქალაქეებს. მოსახლეობა შოკირებული იყო. ის ითხოვდა უსაფრთხოებას და მზად იყო დაეთმო თავისუფლებანი. შედეგად შემოღებულ იქნა ძიების მასობრივი აქციები, პირის იდენტიფიკაციის გამკაცრებული კონტროლი, ახალი ანტიტერორისტული კანონები, კომუნიკაციის აკრძალვის შესახებ კანონი, ეჭვმიუტანელი პირების ძიება ზოგადი ნიშნების საფუძველზე, სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდება, საგამოძიებო ორგანოებს გაეზარდათ უფლებები. დაიწყო არნახული შიდაპოლიტიკური შეიარაღება. სამართლებრივი სახელმწიფო ნელ-ნელა იქცა პრევენციულ სახელმწიფოდ. „მაგრამ პრევენცია მას შეუძლია, ვინც აკონტროლებს, ვინც უთვალთვალეს, ვინც იძიებს – არა მხოლოდ პოტენციურ დამნაშავეებს, არამედ ყველა მოქალაქეს. საზღვარი პრევენციულ სახელმწიფოსა და მოთვალთვალე სახელმწიფოს შორის გადღაბნილია“. / გერჰარტ ბაუმი, 2018 წ. გვ. 26/. ასეთ სახელმწიფოს ყველაფრის უფლება აქვს, მას თითოეული მოქალაქის ამბავი აინტერესებს. 90-იან წლებში შემოღებულ იქნა ე.წ. დიდი მიყურადების კანონი. პრევენციული სახელმწიფო მოქალაქეებს საცხოვრებელ ბინებში შეეჭრა. მეტი უსაფრთხოება მიღწეულ იქნა ძირითადი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. დაიწყო თავისუფლების მცოცავი ეროზია.

დიდი კოალიციის მიერ დაგეგმილია „უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაულის მომზადების დევნის შესახებ“ კანონი მიღება. ის იმ პირებს ეხება, რომლებიც ტერორისტულ ბანაკებს სტუმრობენ. რა თქმა უნდა, მათი დიდი ნაწილი უსაფრთხოების რისკის მატარებელია. კანონის მიზანია სავარაუდო დამნაშავეს დაუმტკიცოს სავარაუდო განზრახვა, რომ სავარაუდოდ ჩაიდენს ტერორისტულ აქტს. საუბარია შემოღებულ იქნას ახალი კატეგორია „სისხლის სამართალი მტრებისთვის“. ბუშის ადმინისტრაციამ აბუ-გრეიბსა და გუან-

ტანამოში დასაშვებად მიიჩნია დაკითხვის საშინელი მეთოდების გამოყენება. მხოლოდ აბუ-გრეების ციხეში 2400 პატიმარი იხდიდა სასჯელს ტერორიზმის ბრალდებით. მსგავსი მოვლენები კორეის ომსა და ვიეტნამშიც ხდებოდა. აქ უკვე კომენტარი ზედმეტია.

პრევენციული სახელმწიფოს მისწრაფებებს საზღვარი არა აქვს. მაგრამ ეს საზღვარი უნდა დაანესოს საკონსტიტუციო სასამართლომ. გერმანიაში სასამართლომ 14 გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც უსაფრთხოების ზომებში შესწორებები იქნა შეტანილი. ეს ეხებოდა „დიდ მიყურადებას“, ტელეკომუნიკაციის პრევენციულ თვალთვალს, თვითმფრინავების ჩამოგდებასა და ონლაინჩხრეკას //გერჰარტ ბაუმი, 2018 წ. გვ. 75/. უფრო მეტიც, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფოსთან უთანასწორო ტიდილში შექმნა ახალი ძირითადი უფლებები: საინფორმაციო თვითგამორკვევის და საინფორმაციო-ტექნიკური სისტემების კონფიდენციალურობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფის ძირითადი უფლება.

კაცობრიობა საუკუნეები იბრძოდა ძირითადი უფლებების დასამკვიდრებლად. თავისუფლება ბრძოლით იქნა მოპოვებული. დიდი ინკვიზიტორი თავისუფლებას ებრძოდა და ბედნიერებას გვპირდებოდა. დღეს თავისუფლებას უსაფრთხოება დავუპირისპირეთ, სანაცვლოდ უარი უნდა ვთქვათ აბსოლუტურ უფლებებზე. სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია ბოლომდე დაიცვას კონსტიტუციით აღიარებული თავისუფლება და უზრუნველყოს სათანადო უსაფრთხოება. თავისუფლებას ვერ დავიცავთ უსაფრთხოებით, თავისუფლება შეიძლება დავიცვათ მხოლოდ თავისუფლებით. ამისათვის აუცილებელია წონასწორობის შენარჩუნება ხელისუფლებასა და თავისუფლებას შორის, ვინაიდან სახელმწიფო, რომელიც ხელყოფს მოქალაქეთა თავისუფლებას, გარდაიქმნება ანტიდემოკრატიულ, ტოტალიტარულ სახელმწიფოდ. ასეთ შემთხვევაში, ჯორჯ ორუელის წინასწარმეტყველებით, სამყარო გაიხლიჩება სამ დიდ სუპერსახელმწიფოდ, მათი ლოზუნგი იქნება: „ომი მშვიდობაა, მონობა თავისუფლებაა, უმეცრება ძალაა“. თუ ეს არ გვინდა, კაცობრიობამ უნდა იბრძოლოს ძირითადი უფლებების ეროვნის დასაძლევად.

ბიბლიოგრაფია:

მელქაძე, ოთარ. 2004. კონსტიტუციონალიზმის თეორია. თბ.
კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. 2005. ავ-
ტორთა კოლექტივი, თბ.

ბაუმი, გერჰარტ. 2018. *იხსენით ძირითადი უფლებანი! მო-
ქალაქეთა თავისუფლება თუ უსაფრთხოება.* თბ.

საქართველოს კონსტიტუცია, 2019 წლის რედაქციით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,
2019 წლის რედაქციით.

საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის
შესახებ“, 2019 წლის რედაქციით.